საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი A2 | „თქვენი აფხაზეთი„ A8 | სატირალ-იუმორისტული გვერდი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 15 აპრილი, 2004 წელი, №88 (637 ) | ფასი 50 თეთრი

# უკიდურესი ზღვარი

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ აჭარაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ დაპირისპირება თბილისსა და ბათუმს შორის უკიდურეს ზღვრამდეა მისული და არც ერთი მხარე დათმობებზე წასვლას არ აპირებს. ჩოლოქთან კვლავ შეიარაღებული ადამიანები დგანან. აჭარის ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტილია და ყველა თბილისელი მაღალჩინოსნისთვის ავტონომიის ტერიტორიაზე შესვლა შეუძლებელი ხდება. ადმინისტრაციულ საზღვარზე კი, საქართველოს ხუთჯვრიანი დროშის ნაცვლად, "აღორძინების" დროშა ფრიალებს.*

შეიძლება ითქვას, რომ მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ასლან აბაშიძე რეგიონში საკუთარი ძალაუფლების თუნდაც მცირეოდენ შესუსტებას ნებაყოფლობით არასდროს დათანხმდებოდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ან რის ხარჯზე შეინარჩუნებდა იგი საკუთარ ტახტს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*„რუსთავი-2"-ის ჟურნალისტს და ოპერატორს ჩოლოქზე ფიზიკურად უსწორდებიან.*

# აჭარის მოსახლეობა შეძლებს

## თავისი საქმეთებელი თავადვე გააკეთოს

გახსოვთ, ალბათ, მოსკოვში, საქართველოს საელჩოს წინ ჟირინოვსკიმ მცირერიცხოვანი მყვირალა აქცია მოაწყო დევიზით - "ხელები შორს აჭარისაგან". ჩემი ინფორმაციით, იმ ორსაათიანი აქციის გამართვისთვის, ჟირინოვსკიმ აბაშიძისგან ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო.

მოსახლეობას ძალიან ეშინია იმის, რაც წლების მანძილზე არსებობდა - რომ მათ ზურგს უკან ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას შორის რაიმე გარიგება და დათმობა არ მოხდეს.

მოსახლეობის მხოლოდ ერთი ჯგუფის აქტიურობა დანარჩენ საზოგადოებას გამარჯვებას ვერ მოუტანს. ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ და მალე გავიმარჯვებთ.

გაგრძელება B1 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ედვარდ სურმანიძე*

# გასარკვევი დღეს გაირკვევა

B5





*დღეს ბიძინა გეგიძე და მერაბ ანთაძე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.*

## პოლიტიკა

### პრემიერ-მინისტრი აჭარის გონზე მოსაყვანად საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს

ჟვანიამ დავალება მისცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს საქმის კურსში ჩააყენოს საერთაშორისო საზოგადოება და საქართველოს მეგობარი ქვეყნები აჭარაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

A2

## ეკონომიკა

### გადამხდელთა კავშირი, ტრადიციისამებრ, ხელისუფლების გვერდითაა

გადამხდელთა კავშირს ახალი თავმჯდომარე ჰყავს - ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. ძველმა - ნიკო ლეკიშვილმა - გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება გუშინ, კავშირის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა. გუშინდელ შეკრებაზე ახალმა თავმჯდომარემ კავშირის წევრებს უახლოესი თვეების სამოქმედო გეგმა გააცნო და ყველას ხელისუფლების გვერდით დგომისკენ მოუწოდა.

A4

## უცხოეთი

### ოკუპაციის ერთი წელი ერაყში

მხოლოდ აშშ-ს კონგრესს ამ ხნის მანძილზე ერაყის დაპყრობისა და რეკონსტრუქციისათვის 162 მილიარდი დოლარი აქვს გამოყოფილი.

A5

## საზოგადოება

### არქიტექტორები ზოდელავას კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ

თბილისის არქიტექტურის სამსახურში არქიტექტორთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულმა გუშინდელმა სხდომამ საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა. სხდომის ინიციატორთა განცხადებებმა ქალაქის მერიც გაალიზიანა.

A6

## სამართალი

### სლობოდან მილოშევიჩი ბილ კლინთონისა და ტონი ბლერის მოწმედ დაკითხვას ითხოვს

A7

## ეკონომიკა

### "მინა" - საინვესტიციო წარმატების ქართული სახელმძღვანელო

A4

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 13 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 13 | |
| თელავი | 14 | |
| ზუგდიდი | 14 | |
| გორი | 13 | |
| ჭიათურა | 13 | |
| გაგრა | 10 | |
| სამტრედია | 13 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9850 |
| ევრო | 2.3715 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5915 |
| რუბლი | 0.0694 |

# "ჩვენი აჭარა" აბაშიძეს ბოლო შანსს აძლევს

ქობულეთსა და ხულოში ხელახალი არჩევნების ჩაშლისა და ცენტრალური ხელისუფლების სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარა", 20 აპრილიდან, ასლან აბაშიძის რეჟიმთან ბრძოლას მასობრივი საპროტესტო აქციებით დაიწყებს. როგორც "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა ხაბაზმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, აჭარაში დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის სერიოზული მოძრაობა დაიწყება. თბილისსა და ბათუმს შორის უფლებამოსილების გამიჯვნისა და აჭარაში მოქმედი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების განიარაღების საკითხებზე პრემიერ-მინისტრ ჟვანიასა და

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავრობა სხდომებს ნაწილობრივ "ხსნის"

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს მთავრობამ გუშინ საკუთარი სხდომის ნაწილი ჟურნალისტებისთვის "გახსნა". ამის მიზეზი, ოფიციალურად, აჭარასთან დაკავშირებით გასაკეთებელი განცხადება გახლდათ, თუმცა თავად "გახსნილი" საკითხების შინაარსმა ცხადყო, რომ მთავრობა ცდილობს, გაფანტოს მოსაზრებები მისი უმოქმედობის შესახებ და პოტენციურად პოპულარული ნაბიჯების შესახებ საზოგადოებას დროულად ამცნოს.*

მაგალითად, გუშინ გაჟღერდა, რომ მთავრობა მეწარმეებს საგადასახადო შეღავათებს ჰპირდება, თუ ისინი ქველმოქმედებისთვის თანხებს გაიღებენ. როგორც მთავრობის სხდომაზე კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, ის მეწარმეები, რომლებიც კულტურული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სპორტისა და გარემოს დაცვის ორგანიზაციებისთვის საქველმოქმედო თანხებს გაიღებენ, შემდეგი შეღავათით ისარგებლებენ: მათი წლიური მოგების თანხის რვა პროცენტი გათავისუფლდება დაბეგვრისაგან.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ილჰამ ალიევი ანკარასთან ალიანსის შენარჩუნებას ცდილობს

სამშაბათს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ოფიციალური ვიზიტი დაიწყო თურქეთში. მისი ვიზიტი ანკარაში ამერიკისა და ევროკავშირის მხრიდან თურქეთზე მზარდ ზეწოლას დაემთხვა, რათა ამ უკანასკნელმა მეზობელ სომხეთს ბლოკადა მოუხსნას.

აზერბაიჯანი იმედოვნებს, რომ თურქეთი სომხეთთან საზღვარს არ გახსნის მანამ, სანამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არ დარეგულირდება, - განაცხადა აზერბაიჯანის ლიდერმა ილჰამ ალიევმა თურქულ გაზეთ "ზამანთან" ინტერვიუში.

ყარაბაღის ომის გამო, თურქეთს სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს დამყარებული. ამ ომის შედეგად სომხეთმა ანკარას მოკავშირე აზერბაიჯანის იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიები დაიკავა.

"ზოგიერთი დიდი სახელმწიფო საკუთარი ინტერესების მიღწევას თურქეთზე ზეწოლის განხორციელებით ცდილობს, - აღნიშნა ილჰამ ალიევმა თურქული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში, - თურქეთი დიდი ქვეყანაა. ჩვენ გვჯერა, რომ ის ამ ზეწოლას გაუძლებს".

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროსტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## "ჩვენი აჭარა" აბაშიძეს ბოლო შანსს აძლევს

პირველი გვერდიდან



*კობა ხაბაზი აბაშიძის მიერ "კონფრონტაციისკენ ღიად გადადგმულ ნაბიჯზე" ამახვილებს ყურადღებას.*

აჭარის ლიდერს შორის მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულებას კობა ხაბაზი აბაშიძის მიერ **"კონფრონტაციისკენ ღიად გადადგმულ ნაბიჯად"** აფასებს და აჭარის ხელისუფლებას ცენტრთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. ხაბაზის განცხადებით, თუ აბაშიძე ხელს შეუშლის ქობულეთისა და ხულოს საარჩევნო ოლქებში 18 აპრილისთვის დანიშნული ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და არ დაიწყებს მოსახლეობაში მის მიერვე დარიგებული იარაღის ამოღებას, მაშინ აჭარის მოსახლეობა მის წინააღმდეგ ქუჩაში გამოვა.

**"აბაშიძეს 20 აპრილამდე კიდევ აქვს დრო, უარი თქვას ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაზე და თუ იგი არ შეიცვლის პოზიციას ცენტრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, აჭარაში აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით უამრავი ხალხი გამოვა. აქციები, რომლებსაც ჩვენ გავმართავთ, კიდევ ერთი, ამჯერად ბოლო შანსი იქნება აბაშიძისთვის, რათა ეყოს ჭკუა და მშვიდობიანად გადადგეს"**, - განაცხადა ხაბაზმა.

მისი თქმით, თუ აბაშიძე მომიტინგეთა დარბევას შეეცდება, აჭარის მოსახლეობა დახმარებისთვის ცენტრს მიმართავს. **"ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ცენტრალურ ხელისუფლებას ვთხოვოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, აბაშიძე მოგვაშორონ. თუ ჩვენმა მშვიდობიანმა აქციებმა შედეგი ვერ გამოიღო, იძულებულნი ვიქნებით ცენტრს მივმართოთ - ნებისმიერი გზით გადააყენონ აჭარის ხელისუფლება,"** - აცხადებს ხაბაზი. იგი იმედს გამოთქვამს, რომ თავისუფალი აზრის, არჩევანისა და დემოკრატიის დასაცავად საქართველოს ხელისუფლებას მხარს საერთაშორისო საზოგადოებაც დაუჭერს.

*24 საათი*

## გაუჩინარებული რუსი სამხედრო დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის სერჟანტი რომან კასპიროვიჩი, რომელიც 2 აპრილს გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა, 13 აპრილს სამხედრო შენაერთის დისლოკაციის ადგილზე, სოფელ ნიქოზში დაბრუნდა. საინფორმაციო სააგენტო "მედია-ნიუსის" ცნობით, ბატალიონის ხელმძღვანელობა ამ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა აცხადებს, რომ კასპიროვიჩი უკვე გაემგზავრა როსტოვთან ახლო მდებარე ქალაქ ხალადეევკაში, სადაც ერთ-ერთი რუსული სამხედრო ბაზაა დისლოცირებული. სერჟანტი კონფლიქტის ზონაში სწორედ ამ სამხედრო ბაზიდან იყო მივლინებული.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეების გაუჩინარების გამო განგაში ატყდა. მეტიც, დაახლოებით ერთი წლის წინათ ერთი კი არა - შვიდი ჯარისკაცი დაიკარგა, თუმცა ისინი რამდენიმე დღეში დაბრუნდნენ. როგორც გაირკვა, სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვება ადგილობრივი მცხოვრების გადამეტებულმა სტუმართმოყვარეობამ გამოიწვია, რომლის მიერ გაშლილ სუფრასაც საველე სამზარეულოთი თავმობეზრებული სამხედროები რამდენიმე დღე ვერ შეელიენ.

*24 საათი*

## იუსტიციის საბჭო ფართოვდება

იუსტიციის საბჭოს ფუნქციების გაფართოებას, მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგის საკითხებს ეძღვნება მრგვალი მაგიდა, რომელიც თბილისში, სასტუმრო "მარიოტში", ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ტარდება.

ღონისძიება ორგანიზებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ევროპის საბჭოს სამართლებრივ საქმეთა გენერალური დირექტორატის მხარდაჭერით.

ევროპის საბჭოდან შეხვედრაში მონაწილეობენ ევროპის საბჭოს სამართლებრივ საქმეთა გენერალური დირექტორატის წარმომადგენლები - ფილიპ ბიუჟ-დუვალი და ხოსე მარია ფერნანდეს ვილალობოსი. ქართულ მხარეს მრგვალ მაგიდაზე წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის საბჭოს აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზურაბ აბაშიძე და იუსტიციის სამინისტროს სხვა წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, იუსტიციის საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ჩანაცვლება ახლახან მოხდა; კერძოდ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გია გეწაძემ და იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ აბაშიძემ თანამდებობები გაცვალეს.

"მარიოტში" მიმდინარე შეხვედრაზე განიხილება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგის სფეროში სამართლებრივი რეფორმის საკითხები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლს, რომელიც იუსტიციის საბჭოს ბაზაზე შეიქმნება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვალს ცვლილებები უკვე შევიდა, თუმცა ამ უწყების შესახებ ორგანული კანონი, ჯერჯერობით, მიღებული არ არის.

ცნობილია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო პროკურორების ტრენინგსაც გაუწევს ორგანიზებას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ევროპის საბჭო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები მზად არიან, საქართველოში სამართლებრივი რეფორმის მხარდაჭერა გააგრძელონ.

*მედია-ნიუსი*

## საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი

ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო, ჩემო თანამოქალაქეებო!

აჭარა ჩემთვის, ისევე როგორც თითოეული ნამდვილი ქართველისთვის, წარმოადგენს უსაყვარლეს კუთხეს. არ გავა ჩემი ცხოვრების არც ერთი დღე, რომ ბევრს არ ვფიქრობდე ჩემი აჭარელი ძმების კეთილდღეობაზე, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, თითოეული აჭარელის მომავალზე.

დღეს აჭარის ხელისუფლებაში, ყველა ჩვენგანის სამარცხვინოდ, არიან ძალები, რომლებმაც პირდაპირი დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს ქართულ სახელმწიფოს. ისინი კბილებამდე შეიარაღდნენ, ემზადებიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ომის საწარმოებლად, აღარ ასრულებენ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებს.

ეს ერთი მუჭა ადამიანები უსირცხვილოდ ავრცელებენ ჭორებს იმის შესახებ, რომ თითქოს, საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს აჭარის ავტონომიის გაუქმება, აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვა, მეჩეთების დანგრევა, აჭარაში სხვა რეგიონებიდან ხალხის მასობრივად ჩასახლება.

მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ეს ყველაფერი არის ბინძური სიცრუე!

ამ სიცრუეს ავრცელებენ ის ადამიანები, რომელთაც მიისაკუთრეს თითოეული თქვენგანის კუთვნილი შემოსავლები, ისინი, ვინც მეფურად ცხოვრობს მაშინ, როცა ბევრი თქვენგანი უმძიმესი შრომით ძლივს ირჩენს თავს; ადამიანები, ვინც აქამდე კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდნენ და ახლა ღიად დაადგნენ ღალატის გზას.

ერთად გავცეთ მათ საკადრისი პასუხი! ერთად დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოს მტრების მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს აჭარის მოსახლეობას არ სურს დანარჩენ ქართველებთან ერთად ცხოვრება, ცილისმწამებლური მონაჭორია! ყველაზე პატრიოტი ქართველები, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნამდვილი პატრიოტები, სწორედ აჭარლები არიან.

ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი.

დიდი იმედი მაქვს თქვენი!

*საქართველოს პრეზიდენტი*
*მიხეილ სააკაშვილი*

## პრემიერ-მინისტრი აჭარის გონზე მოსაყვანად საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს

გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ აჭარაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ კიდევ მანამდე გააკეთა, სანამ საბოლოოდ გაირკვეოდა, რომ აბაშიძემ კვლავ მოახდინა ჩოლოქზე, ხულოსა და ქობულეთში ხალხის მობილიზება და სანამ ცნობილი დარბევები დაიწყებოდა.

პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა, რომ აჭარაში გამართული სამშაბათის მოლაპარაკებები უშედეგო იყო. **"მოლაპარაკებების შემდეგ დავრწმუნდი, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს არ სურს ადგილობრივი მოსახლეობისათვის დარიგებული იმ იარაღის ამოღება, რომელიც ე.წ. აჭარის კრიზისის დროს სხვადასხვა გზებით აღმოჩნდა მოსახლეობის ხელში,"** - განაცხადა მან.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ჟვანიამ დავალება მისცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, რომ ამ მიმართებით გააააქტიუროს თავისი მუშაობა, საქმის კურსში ჩააყენოს საერთაშორისო საზოგადოება და საქართველოს მეგობარი ქვეყნები აჭარაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რათა შემდგომში რეაგირება (გნებავთ, ზეწოლა დაარქვით) მოხდეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე.

ჟვანიას თქმით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მზადაა, გააგრძელოს ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები როგორც აჭარის ხელმძღვანელობასთან, ასევე საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ჟვანიას იმედი აქვს, რომ საქართველოს მეგობარი ქვეყნები გაგებით მოეკიდებიან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნება აჭარაში სიტუაციის დასარეგულირებლად და არსებული პრობლემის სამართლებრივი გზით მოსაგვარებლად.

*24 საათი*

## გოგა ხაინდრავა ცხინვალში ჩავიდა

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა, სავარაუდოდ, 16 აპრილს გაიმართება. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავასა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას მიიღებენ, რომელიც ცხინვალში გაიმართება. ცხინვალში ხაინდრავა საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელთან როი რივთან ერთად ჩავიდა. შეგახსენებთ, რომ საკონტროლო კომისიის სხდომა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ აღარ ჩატარებულა.

*მედია-ნიუსი*

## საქართველოში უკრაინის ელჩი აფხაზეთში გაემგზავრება

საქართველოში უკრაინის ელჩი მიხაილ სპისი უახლოეს დღეებში აფხაზეთში გაემგზავრება. მისი თქმით, აფხაზეთში ვიზიტი დაკავშირებულია უკრაინის საკუთრების მდგომარეობის შესწავლასთან. გუშინ იგი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა და საკუთარი გეგმის თაობაზე ესაუბრა.

მიხაილ სპისის განცხადებით, ნინო ბურჯანაძესთან მისი შეხვედრა უკრაინასა და საქართველოს შორის მომავალ საპარლამენტთაშორისო ურთიერთობებს შეეხებოდა. "საქართველო-უკრაინას შორის საპარლამენტო ურთიერთობებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ეს კავშირები სათანადო შეთანხმებებს ეყრდნობა, რომლებიც წინა წლებში ჩვენივე პარლამენტების მიერ არის მიღებული," - აღნიშნა სპისმა.

მისივე განცხადებით, ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოს პარლამენტის მომავალი რესტრუქტურიზაციის გეგმაზეც.

*ინტერ-პრესი*

## "ჩვენი აჭარას" აქტივისტებს ფიზიკურად უსწორდებიან

გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ქობულეთის ოფისთან აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის მხარდამჭერებსა და ოპოზიციის მომხრეთა მიტინგის მონაწილეებს შორის შეტაკება მოხდა.

"ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, ოპოზიციის მიტინგზე შეკრებილ 500-ზე მეტ მოქალაქეს თავს დაესხა აბაშიძის მხარდამჭერთა 100-კაციანი ჯგუფი, ცნობილი კრიმინალების ვაჟა მჟავანაძის, ქემალ და რომან ვერულიძეების, ძმები გოგოლებისა და ქობულეთის გამგებლის ტარიელ ხალვაშის ვაჟის ერეკლე ხალვაშის მეთაურობით. მისივე თქმით, დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნახევარსაათიანი ხელჩართული ბრძოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც აბაშიძის ოპოზიციამ, ქობულეთში ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, მიტინგი გამართა.

დიასამიძის მტკიცებით, შეტაკების შედეგად ოპოზიციის 50-მდე მომხრე დაშავდა, ხოლო აბაშიძის მხარდამჭერებს შორის დაშავებულთა რაოდენობა, სავარაუდოდ, ბევრად მეტი უნდა იყოს. ადგილობრივი პოლიცია ვითარების განმუხტვას შეეცადა.

**"აბაშიძის ხელისუფლებას ვაჟა მჟავანაძის, თამაზ შამილიშვილის, ქემალ და რომან ვერულიძეებისა და ძმები გოგოლების კრიმინალური ჯგუფები ოპოზიციის წინააღმდეგ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში არაერთხელ გამოუყენებია,"** - განაცხადა დიასამიძემ, რომლის მონაცემებით, ამავე დაჯგუფებებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ოპოზიციის მიერ რეგიონის თითქმის ყველა ქალაქსა და დაბაში გამართული მიტინგების დარბევაში.

*ინტერ-პრესი*

## ფოსტის თანამშრომლები ხელმძღვანელობას დაუპირისპირდნენ

შპს "საქართველოს ფოსტის" თანამშრომლები "კორუმპირებული ხელმძღვანელობის" გადაყენებას და საწარმოს გადარჩენას ითხოვენ. მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ "ქონების მართვის სამინისტრო "საქართველოს ფოსტის" ხელმძღვანელ თანამდებობაზე ისეთ კადრებს ნიშნავდა, რომლებმაც გასული წლების მანძილზე უნიათო და მიზანმიმართული სამეურნეო საქმიანობით გაანიავეს და გაყიდეს საფოსტო დარგის ქონება". კერძოდ, ჩალის ფასად - 2674 ლარად გაიყიდა ფოსტის კუთვნილი 12 საფოსტო ვაგონი. ამაზე ხელშეკრულება ფოსტის ამჟამინდელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ნესტორ ხურცილავას გენერალურ დირექტორად ყოფნის პერიოდში, 2002-2003 წლებში გაფორმდა.

ფოსტის თანამშრომლები 2001-2002 წლებში საფოსტო ბლანკების დაბეჭდვისა და ფილიალებზე გაწერის საქმის გამოძიებასაც მოითხოვენ. მაშინ დანაკლისმა 39 ათასი ლარს გადააჭარბა, ხოლო უშუალო შემსრულებლები თანამდებობიდან გადააყენეს. იმ დროს ექსპლუატაციის დირექტორი იგივე ნესტორ ხურცილავა იყო.

განცხადების ავტორები გენერალური პროკურატურისგან საპენსიო თანხების უკანონოდ განკარგვაზე 2002 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმეების განხილვას მოითხოვენ. გარდა ამისა, ფოსტის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას თანამშრომლები 2 მილიონ ლარამდე სახელფასო და მილიონ ლარამდე სახელშეკრულებო დავალიანებების შეგნებულად დაგროვებასა და 900 ათასი ჰოლანდიური გულდენის ოდენობის ჰოლანდიური გრანტის გაფლანგვაში ადანაშაულებენ და ამ საქმეების გამოძიებასაც მოითხოვენ.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში ეუთო-ს მისიის საზღვრის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი მორის ბონო დღეს მოვალეობის შესრულებას შეუდგა. საქართველოში ჩამოსვლამდე ფრანგი დიპლომატი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე 14 ქვეყანაში საფრანგეთის დიპლომატიურ კორპუსებში მოღვაწეობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამერიკული კომპანია "ორიონ სტრატეგის" პრეზიდენტს რენდი შონემანს შეხვდა. როგორც შონემანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, საქართველოს ახალ ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს რესურსი, აჭარის პრობლემა პოლიტიკური დიალოგით გადაწყვიტოს. მისივე თქმით, საერთაშორისო საზოგადოებრიობა მხარს დაუჭერს საქართველოს მცდელობას, შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოსა და რუსეთის საგანგებო ელჩების შეხვედრა გაიმართა. იგი "ჩარჩო" ხელშეკრულების მომზადების საკითხებს ეხებოდა. რუსული მხრიდან შეხვედრას ესწრებოდა საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი და საქართველოში ფედერაციის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი.

შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი არ ესწრებოდა.

მხარეებმა განიხილეს ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების პროცესის შემდგომი სამოქმედო გეგმა. ლევ მირონოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას ამ მოლაპარაკებებს "კონსტრუქციული" უწოდა. "მოლაპარაკებები ახლო მომავალში გაგრძელდება", - განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ტრადიციონალისტთა" ლიდერის აკაკი ასათიანის განცხადებით, ცენტრსა და აჭარას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის დარეგულირება, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით უნდა მოხდეს. მისი თქმით, ხელისუფლებამ რეგიონთან მიმართებაში მწყობრი კონცეფცია უნდა შეიმუშაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ჯორჯ მარშალის ცენტრის" დირექტორი, დოქტორი ჯონ როუზი ოთხშაბათს, საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ეწვევა. საქართველოში ამერიკის საელჩოს ცნობით, ვიზიტის მიზანია რეგიონის უკეთ გაცნობა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, ასევე, "მარშალის ცენტრის" პროგრამების მონაწილეებთან შეხვედრების გამართვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, ცენტრთან დამოკიდებულებაში ასლან აბაშიძის პოზიციამ "საქართველოს მოსახლეობისთვის ცხადი გახადა აბაშიძის მოღალატური მოქმედება ქვეყნის მიმართ, რომელსაც ის აჭარის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, უკვე 12 წელია, ახორციელებს".

ბერძენიშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და ასლან აბაშიძეს შორის მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემდეგ "ნათელი გახდა, რომ აბაშიძეს ცენტრთან ურთიერთობების დარეგულირება არ სურს. "ცენტრის მიმართ აბაშიძის გამომწვევ ქმედებებს არც ერთი ცივილიზებული ქვეყნის ხელისუფლება არ მოითმენდა" **ინტერ-პრესი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №286

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

ი. კოპალიანისათვის იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრს იგორ კოპალიანს მიენიჭოს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №284

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

გ. ბენიძისათვის იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრს გრიგოლ ბენიძეს მიენიჭოს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №283

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

დ. გვაძაბიასათვის იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრს დავით გვაძაბიას მიენიჭოს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №281

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკ დ. ლეკიაშვილისათვის ვადამდე პოლკოვნიკის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკ დარეჯან ლეკიაშვილს მიენიჭოს პოლკოვნიკის მორიგი სამხედრო წოდება ვადამდე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №285

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. მიქაიასათვის იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრს ზაურ მიქაიას მიენიჭოს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №282

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

ვ. შაკაიასათვის იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრს ვალერი შაკაიას მიენიჭოს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №278

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

რ. გილიგაშვილის საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს როლანდ გილიგაშვილი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანამდებობიდან "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №288

*2004 წლის 14 აპრილი ქ. თბილისი*

გ. ბედინეიშვილის საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი ბედინეიშვილი საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №289

*2004 წლის 14 აპრილი ქ. თბილისი*

გ. მჟავანაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი მჟავანაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარედ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №277

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

თ. ნინიძის საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს თევდორე ნინიძე საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №280

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. აბაშიძის საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრისა და საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ზურაბ აბაშიძე საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრისა და საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნის თანამდებობიდან "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №287

*2004 წლის 14 აპრილი ქ. თბილისი*

ნ. ამაღლობელის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ.

1. შეიქმნას გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს პარლამენტის წევრის აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნინო ბურჯანაძე (კომისიის თავმჯდომარე), ალექსანდრე ლომაია, ალბერტ თავხელიძე, ივანე ზოდელავა, როინ მეტრეველი, ზურაბ ნოღაიდელი.
2. ნ. ამაღლობელის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღოს სახელმწიფომ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №417

*2004 წლის 14 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. მელიქიშვილის საქართველოს სახელმწიფო მინისტრად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ზურაბ მელიქიშვილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრად რეგიონალური პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების საკითხებში.

*ზურაბ ჟვანია*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ATHENS 2004
VISA WORLDWIDE PARTNER

## გინდა მოხვდე ოლიმპიურ თამაშებზე? იმოქმედე მარტივად!

### პრომო აქციის ჩატარების წესები

- აქციის ორგანიზატორია სარეკლამო სააგენტო "კოკა".
- აქციაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს 18+ ასაკის ყველა მოქალაქეს, რომელიც ფლობს VISA/ VISA Electron პლასტიკურ ბარათს, გაცემულს აქციის მხარდამჭერი ბანკების მიერ.
- აქციის ჩატარების პერიოდია: 2004 წლის 19 აპრილიდან 2004 წლის 19 ივნისის ჩათვლით.
- გამარჯვებულის გამოსავლენი გათამაშება გაიმართება 2004 წლის 30 ივნისს ორგანიზატორი სააგენტოს მიერ, მისამართზე: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 51/6; ბ.11
- აქციაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ: აქციის ორგანიზატორი სააგენტოს თანამშრომლებსა და წარმომადგენლებს, მათი ოჯახის წევრებს; მოცემული აქციის ორგანიზებასთან ან ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვა იურიდიულ პირებს, თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს.
- აქციის მონაწილე ხდება მომხმარებელი, რომელიც აქციის პერიოდში VISA/ VISA Electron პლასტიკური ბარათით ახდენს ანგარიშსწორებას სავაჭრო და სამომსახურებლო ადგილებში.
- აქციაში თამაშდება 1 (ერთი) მთავარი პრიზი ათენი 2004 ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის შანსი 2 კაცისათვის, საჩუქარი VISA-სგან. აგრეთვე სხვა პრიზები ათენი 2004 ოლიმპიური თამაშებისა და VISA სიმბოლიკით: 12 (თორმეტი) მამაკაცის და 10 (ათი) ქალის ქურთუკი; 20 (ოცი) სპორტული ზურგჩანთა; 19 (ცხრამეტი) ზურგჩანთა - მაცივარი; 16 (თექვსმეტი) "ნოუთ-ბუქის" ჩანთა; 15 (თხუთმეტი) გოლფის ქუდი; 15 (თხუთმეტი) ბანილი; 15 (თხუთმეტი) სამგზავრო საფულე.
- მთავარი პრიზით დაჯილდოებული მოგზაურობს მოსკოვში, საბოლოო ტურში მონაწილეობის მისაღებად.
- იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული უარს ამბობს მთავარ პრიზზე ხელმეორედ გათამაშება არ მოხდება.
- გამარჯვებულის გამოვლენა ხდება ტრანზაქციიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, ავტორიტეტული კომისიისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით.
- პლასტიკური ბარათის საშუალებით ბანკომატიდან და ბანკის სალაროებიდან ფულის მოხსნის ოპერაციები გათამაშებაში არ მონაწილეობენ.
- ორგანიზატორი სააგენტოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გამარჯვებულის გამოვლენას ყველა პუნქტის არის საბოლოო და აუცილებელი ყველა მონაწილისათვის.
- გამარჯვებული, გამარჯვების შესახებ ინფორმირებული იქნება ტელეფონით, ორგანიზატორების მიერ 2004 წლის 8 ივლისამდე.
- მთავარი პრიზი - საჩუქარი VISA-სგან, ათენი 2004 ოლიმპიურ თამაშებზე 2 კაცის წასვლის შანსი. გამარჯვებული მოგზაურობს მოსკოვში, ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. გათამაშება ტარდება 5 (ხუთი) ქვეყნის წარმომადგენელს შორის (თითო ქვეყნიდან თითო წარმომადგენელი). ფინალური პრიზიორი მოგზაურობს ათენში. მოსკოვში მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯს გასწევს ორგანიზატორი. მთავარი პრიზი - საჩუქარი VISA-სგან ათენი 2004 ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება მოიცავს: 2 კაცის მგზავრობას ათენში და უკან დაბრუნებას, ცხოვრებას, ტრანსფერს, კვებას და დაზღვევას. პრიზი აგრეთვე მოიცავს ბილეთებს სხვადასხვა ოლიმპიურ ღონისძიებებზე დასასწრებად. წასვლის უფლება არ შეიძლება გადაცემული იყოს სხვა პირისათვის.
- ორგანიზატორი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას, მთავარი პრიზის მფლობელის ჯანმრთელობაზე, საცხოვრებლისა და ქონებაზე, ნებისმიერი სახის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, აგრეთვე არ იღებს პასუხისმგებლობას, მესამე პირის ჯანმრთელობაზე, საცხოვრებლისა და ქონებაზე საბერძნეთში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.
- ორგანიზატორი, ასევე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაზე, თუ გამარჯვებულს არ შეუძლია მგზავრობა ათენსა და მოსკოვში, სხვადასხვა აუცილებელი საბუთების არ ქონის გამო (საზღვარგარეთული პასპორტი და ა.შ.), აგრეთვე იმ შემთხვევაზეც, თუ გარკვეული მიზეზების გამო საბერძნეთის ან რუსეთის საელჩო უარს ამბობს გამარჯვებული პირისათვის ვიზის გაცემაზე.
- თუ მთავარი პრიზის გამარჯვებული არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე გამარჯვების შესახებ შეტყობინების მომენტში, მისი საქართველოში ჩამოსვლა მოხდება იმ პირობების სრულყოფისამებრ, მისი საკუთარი სახსრების ხარჯზე.
- სხვა პრიზები მამაკაცისა და ქალის ქურთუკი, სამი სახის ჩანთა, ბანილი, ქუდი, საფულე გაიცემა გათამაშების დღიდან 1 თვის მანძილზე თბილისში მაცხოვრებლებისათვის მისამართზე: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 51/6; ბ.11, ხოლო თბილისის გარეთ მცხოვრები პირებისათვის, პრიზების გადაცემა განხორციელდება საკურიერო მომსახურებით, წინასწარი სატელეფონო შეტყობინებით.
- მოქმედი წესების თანახმად, გადასაცემი პრიზების ეკვივალენტური თანხის გადახდა აკრძალულია.
- ყოველი გამარჯვებული ჯილდოვდება მხოლოდ ერთი პრიზით და მოგების შემდეგ მისი მონაცემები ავტომატურად ვარდება გათამაშების მონაცემთა ბაზიდან.
- აქცია წარმოადგენს სარეკლამო კამპანიას, რომლის მიზანია VISA/ VISA Electron პლასტიკური ბარათების პოპულარიზაცია.
- აქციის წესები განთავსებული იქნება სარეკლამო მასალებზე აქციის მხარდამჭერი ბანკების ოფისებში. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, დამატებით გამოაქვეყნოს ინფორმაცია აქციის შესახებ.
- აქციაში მონაწილეობა ავტომატურად გულისხმობს მონაწილეთა მიერ აქციის წესების გაცნობასა და თანხმობას.
- თუ VISA/ VISA Electron პლასტიკური ბარათის მფლობელს არა აქვს სურვილი, ტრანზაქციის განხორციელებისას გახდეს აქციის მონაწილე, მან ამის შესახებ დროულად უნდა აცნობოს ბანკს, რომლის მიერაც არის გაცემული VISA/ VISA Electron პლასტიკური ბარათი.
- აქციის გათამაშების წესები გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათის" 15 აპრილის გამოშვებაში.

**აქციაში მონაწილე ბანკები :**

თი-ბი-სი ბანკი
საქართველოს ბანკი
თბილუნივერსალბანკი
გაერთიანებული ქართული ბანკი

ვიზა
ვიზა
ვიზა
ათენი 2004
VISA
VISA Electron

# უკიდურესი ზღვარი

პირველი გვერდიდან

უკანასკნელი მოვლენები კი ცენტრალურ ხელისუფლებას საკმაოდ რადიკალური ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგებს. თავად განსაჯეთ: ჯერ იყო და, აბსოლუტურად უშედეგო აღმოჩნდა ის მოლაპარაკებები, რომელიც აჭარის მეთაურსა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს შორის ბათუმში გაიმართა. კონფლიქტის უკიდურესად გამწვავება კი ქობულეთიდან და ხულოდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპეციალური წარმომადგენლების გამოძევებას მოჰყვა. თბილისს, ძალიანაც რომ სურდეს, ნამდვილად არ აქვს უფლება, ამ ინციდენტს წაუყრუოს. მით უფრო, რომ საქმე არჩევნებს ეხება და კენჭისყრის პროცესისთვის მიზანმიმართული ხელისშეშლა არათუ საქართველოს საარჩევნო და სისხლის სამართლის კოდექსებს ეწინააღმდეგება, არამედ იგი კონსტიტუციის პირდაპირი და უხეში დარღვევაც არის.

ასე რომ, ცენტრალურ ხელისუფლებას ნამდვილად აქვს უფლება, კანონით გათვალისწინებული ყველა ბერკეტი გამოიყენოს, რათა ორ საარჩევნო ოლქში - ქობულეთსა და ხულოში არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს. თანაც, ასეთი პრეცედენტები საქართველოში უკვე იყო (მაგალითისთვის თუნდაც ჭუბერის საარჩევნო უბანი და აბაშის ოლქიც გამოდგება, სადაც კენჭისყრები სპეცრაზმის თანხლებით იმართებოდა, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეეძლო, არჩევნების ორგანიზება უზრუნველეყო).

გუშინდელი მოვლენები კი მთელი დღის მანძილზე ელვის სისწრაფით ვითარდებოდა.

აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობამ და "აღორძინების" აქტივისტებმა, ფაქტობრივად, ძალის გამოყენებით აიძულეს ცესკო-ს წარმომადგენლები, აჭარის ტერიტორია დაეტოვებინათ. შეტაკება მოხდა ხულოში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წევრებმა "ჩვენი აჭარის" აქტივისტებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მანამდე კი, გვიან ღამით, ქობულეთის დატოვება მოუხდათ ცესკო-ს მეორე სპეცჯგუფის წევრებს. აჭარიდან გაძევებულებმა ფოთში გადაინაცვლეს, სადაც მათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც შეუერთდა, რომელიც რეგიონში საარჩევნო ბიულეტენების ჩატანას გეგმავდა.

ცესკო-ს თავმჯდომარე პირველ კატეგორიულ განცხადებებს ფოთში ჩასვლისთანავე აკეთებს და პასუხისმგებლობას ხულოსა და ქობულეთის გამგებლებს აკისრებს. ცესკო-ს თავმჯდომარე მათ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასა და საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს.

**"საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში გამგებლების ჩარევა, რასაც შესაძლოა, არჩევნების ჩაშლა მოჰყვეს, კონსტიტუციის უხეში დარღვევაა და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. არ არსებობს იმის გარანტია, რომ სპეციალური ჯგუფის წარმომადგენლებმა ქობულეთსა და ხულოში მუშაობის გაგრძელება უსაფრთხოდ შეძლონ. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ძალით გამოძევებული სპეციალური ჯგუფის წევრები აჭარაში უნდა დაბრუნდნენ და მუშაობა გააგრძელონ, რადგან არჩევნების ჩასატარებლად ცესკო-მ სპეციალური დადგენილება მიიღო, რომლის აღსრულება სავალდებულოა. თუ ვინმე შეეცდება, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას კანონიერი უფლების განხორციელებაში ხელი შეუშალოს, ის პასუხს კანონის წინაშე აგებს,"** - ასეთი კომენტარის შემდეგ ზურაბ ჭიაბერაშვილი, სპეცჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად, აჭარაში შესვლის გადაწყვეტილებას იღებს. თუმცა, მას ჩოლოქთან ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი და შეიარაღებული პირები ხვდებიან და საზღვრის გადაკვეთის საშუალებას არ აძლევენ. სასტიკად სცემენ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადამღებ ჯგუფებს ჯერ ჩოლოქზე, ხოლო შემდეგ - ქობულეთში.

**"ქობულეთში არჩევნები არ შედგება!"** - ეს უკვე ქობულეთის გამგებელი ტარიელ ხალვაშია, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, რომ **"საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური აბსოლუტურად უკანონოა და საფუძველს მოკლებული"**. ქობულეთის გამგებელი ირწმუნება, რომ მისი პოზიცია **"ემთხვევა მოსახლეობის პოზიციას. ჩვენ დავიღალეთ ამდენი არჩევნებით და ამიტომ ვაპროტესტებთ ზურაბ ჭიაბერაშვილის შემოსვლას. მე მხოლოდ იმ შემთხვევაში დავეხმარები ცესკო-ს თავმჯდომარეს ჩოლოქის საზღვრის გადმოლახვასა და უსაფრთხოდ ქობულეთში მისვლაში, თუ ზურაბ ჭიაბერაშვილი თავად მომმართავს თხოვნით,"** - ქობულეთის გამგებლის კომენტარი და ქმედებები, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, უშუალოდ არის შეთანხმებული აჭარის ლიდერთან.

მოგვიანებით, იგივე სიტყვებს იმეორებს აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ გოგიტიძეც, რომელიც ცალსახად აცხადებს, რომ რეგიონის მოსახლეობა არც არჩევნებზე მისვლას აპირებს და არც იარაღის ჩაბარებას.

**"ძალიან ბევრს უნდა, რომ ეს მოვლენები სხვა კალაპოტში გადაიყვანოს. ჩოლოქზე შეიარაღებული ხალხი არ ყოფილა. იყვნენ ქალები და ბავშვები. ჭიაბერაშვილმა თავისი ერთპიროვნული და უკანონო გადაწყვეტილებებით იგნორირება გაუკეთა მოსახლეობას და ამან გამოიწვია ეს. ხელისუფლების გადადგმული ყველა ნაბიჯი პროვოკაციისკენ არის მიმართული. მათ არჩევნები კი არ უნდათ, სიტუაციის დაძაბვა სურთ. ეს ვის მოუტანს კარგს, ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია,"** - განაცხადა ჯემალ გოგიტიძემ.

თბილისში კი, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები შექმნილ მდგომარეობაზე ბჭობდნენ. გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამერიკის კონგრესში ნატო-სთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ბრიუს ჯექსონს შეხვდა. უცხოელმა დიპლომატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა შეძლებისდაგვარად დაუჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლებას აჭარის პრობლემის მოგვარებაში, თუმცა, მას მიაჩნია, რომ აჭარის პრობლემა მშვიდობიანი დიალოგის პროცესით უნდა გადაიჭრას.

სპეციალურ განცხადებას აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე, რომლის თქმითაც, ცენტრსა და აჭარას შორის ურთიერთობების დარეგულირებაში მშვიდობიან დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია. ამავდროულად, ბარამიძეს აუცილებლად მიაჩნია აჭარის მოსახლეობაში დარიგებული იარაღის ამოღება, თუმცა იგი ვერ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსახლეობის განიარაღება.

იარაღის ამოღების აუცილებლობაზე საუბრობს საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილიც, მაგრამ კონკრეტულ სამოქმედო გეგმას ვერც იგი ასახელებს. როგორც თავდაცვის, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრები იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის შედეგად, აჭარის ხელმძღვანელობა უფრო კონსტრუქციული გახდება.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ კატეგორიულად აცხადებენ, რომ 18 აპრილს ქობულეთსა და ხულოში განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები აუცილებლად უნდა გაიმართოს. ვრცელდება ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები კენჭისყრის დღეს აჭარაში ჩავიდნენ.

დედაქალაქში აჭარის ავტონომიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, პარლამენტარ ჰამლეტ ჭიპაშვილის თქმით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე (რომელმაც უახლოეს დღეებში უნდა განიხილოს "აღორძინებისა" და "ახალგაზრდა იურისტთა" სარჩელები ხულოსა და ქობულეთში 28 მარტს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის საკითხზე), ამ რაიონებში 18 აპრილს ხელახალი არჩევნები არ უნდა გაიმართოს. მისივე თქმით, **"უხერხულია, რომ არჩევნები აჭარაში თბილისიდან ჩასულებმა ჩაატარონ."**

დღის ორ საათზე პრესკონფერენციას მართავენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლებიც და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ქვეყნის ხელმძღვანელობას აჭარის ხელისუფლების პროვოცირებაში ადანაშაულებენ. მათი განცხადებები საკმაოდ მკვეთრია. ასოციაციის თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი პირდაპირ აცხადებს, რომ **"ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში ცესკო-ს მიერ უკანონოდ დანიშნული ხელახალი არჩევნების მიზანს ადგილობრივი ხელისუფლების პროვოცირება წარმოადგენდა. ქობულეთში წუხელ მომხდარ ინციდენტამდე ვფიქრობდი, რომ ცესკო-ს ხულოსა და ქობულეთში ხელახალი არჩევნების დანიშვნით იურიდიული შეცდომა გაეპარა, თუმცა ეს ინციდენტი იძლევა ეჭვის საბაბს, რომ ხელახალი არჩევნების დანიშვნა შეგნებული ნაბიჯი იყო."** ხიდაშელი დარწმუნებულია, რომ ცესკო-მ, ამ ორ ოლქში არჩევნების დანიშვნით, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და განცხადებები, თითქოს ამ ოლქების მოსახლეობას არჩევანის გაკეთების უფლება უნდა მიეცეს, მხოლოდ დემაგოგიაა.

დღის ბოლოს კი ფოთში პრესკონფერენციას მართავს ჩოლოქიდან ძალით გამოძევებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ ის, რაც აჭარაში მოხდა, კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. მანვე გენერალურ პროკურატურას ამ მოვლენების შესწავლა მოსთხოვა.

უკვე დღეს ცნობილი გახდება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ცენტრალური ხელისუფლება, თუმცა ისიც ცხადია, რომ ამ ფონზე ავტონომიის ხელისუფლებასთან დიალოგის გაგრძელება აშკარად რთული იქნება.

## სიახლე ჯეოსელში!

თუ გსურთ, გარე სამყაროსთან გქონდეთ **უწყვეტი კავშირი**, ისარგებლეთ ჯეოსელის **3-ჯერ სწრაფი მობილური ინტერნეტით!**




ჯეოსელი
GEOCELL

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ნომრებზე: 928 და 822 770177 www.geocell.ge

# გადამხდელთა კავშირი, ტრადიციისამებრ, ხელისუფლების გვერდითაა

## პატარკაციშვილი აჭარასთან ურთიერთობის მოგვარებას ბიზნესმენების საშუალებით ცდილობს

*გადამხდელთა კავშირს ახალი თავმჯდომარე ჰყავს, ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. ძველმა - ნიკო ლეკიშვილმა - გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება გუშინ, კავშირის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა. გუშინდელ შეკრებაზე ახალმა თავმჯდომარემ კავშირის წევრებს უახლოესი თვეების სამოქმედო გეგმა გააცნო და ყველას ხელისუფლების გვერდით დგომისკენ მოუწოდა.*

ეთერ მამულაშვილი

ახალი საგადსახადო პოლიტიკის შემუშავება, უკეთესი ბიზნესკლიმატის ჩამოყალიბება, ბიზნესმენებისთვის საიმედო საინვესტიციო გარემოს შექმნა და მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება - ეს არის ის ძირითადი პუნქტები, რომელთა რეალიზაციაც პატარკაციშვილს გადაუდებლად მიაჩნია. თუმცა პირველი, რის გაკეთებასაც გადამხდელთა კავშირის ახალი თავმჯდომარე კავშირის დანარჩენ წევრებთან ერთად აპირებს, ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის მოგვარებაა. პატარკაციშვილი ფიქრობს, რომ პრობლემის მოგვარების ყველა პოლიტიკური გზა ამოწურულია და ის კონფლიქტის დარეგულირებას ეკონომიკური ფორმით შეეცდება. ცნობილი ბიზნესმენის გადაწყვეტილებით უნდა შეიქმნას ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელიც თავისუფლად შეძლებს ბათუმში ჩასვლას და, ადგილობრივ ბიზნესმენებთან ერთად, რეგიონის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოებას. **"როცა პრობლემა პოლიტიკურად ვერ გვარდება, ვფიქრობ, რომ მის მოგვარებაში ყველა ჯგუფმა, მათ შორის - ბიზნესმენებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. მიმაჩნია, რომ ჩვენ, ბიზნესმენებს, კონფლიქტის დარეგულირების ძალა შეგვწევს",** - აღნიშნა პატარკაციშვილმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს.



*გადამხდელთა კავშირს სათავეში პატარკაციშვილი ჩაუდგა.*

კონკრეტულად რომელი ბიზნესმენები შეიძლება მოგვევლინონ მედიატორის როლში, ჯერჯერობით, უცნობია. "24 საათთან" საუბარში ბადრი პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ ბიზნესმენთა ხსენებული ჯგუფის დაკომპლექტების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ის საბჭოს წევრებთან ერთად ამ დღეებში მიიღებს.

უახლოეს ერთ კვირაში პატარკაციშვილი გადამხდელთა კავშირის სტრუქტურაშიც სერიოზული ცვლილებების გატარებას გეგმავს. სავარაუდოდ, მომავალ კვირასვე გაირკვევა კავშირის თანათავმჯდომარის ვინაობაც. შეგახსენებთ, რომ გუშინდელ დღემდე გადამხდელთა კავშირის თანათავმჯდომარე ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი იყო, რომელმაც ეს პოსტი ოზურგეთის მაჟორიტარობის გამო დატოვა.

რაც შეეხება გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარის უფრო შორეულ გეგმებს, პატარკაციშვილი სპეციალური ქარტიის შემუშავებას აპირებს, რომელიც ბიზნესმენებსა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გაფორმდება და ის ბიზნესის გათეთრებას დაისახავს მიზნად. ბიზნესმენთა მხრიდან ამ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში პატარკაციშვილი აცხადებს: **"ის ჩვენ მიერ იქნება გასამართლებული და სამაგალითოდ დავსჯით კიდეც. ოღონდ, ეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხელისუფლება ქვეყანაში ნორმალურ, ჩვენთვის სასურველ საგადასახადო პოლიტიკას შექმნის".**

გუშინვე პატარკაციშვილი "მრეწველთა" ლიდერის გოგი თოფაძის ინიციატივასაც შეეხო, რომელიც სპეციალური ფონდის შექმნას ეხება. თოფაძე აცხადებს, რომ ის და მისი რამდენიმე კოლეგა მზად არიან, ქართველ მინისტრებისა და სხვა ჩინოვნიკების ხელფასები სოროსის ნაცვლად თავად დააფინანსონ. **"ვფიქრობ, რომ ბატონი გოგის ეს ინიციატივა ძალიან სწორია, რადგან ყველა უნდა გავერთიანდეთ და მხარში ამოვუდგეთ ახალგაზრდა ხელისუფლებას, თუმცა ხელისუფლების მხარდაჭერა მის მიმართ კრიტიკულად ყოფნას არ გამორიცხავს",** - განაცხადა პატარკაციშვილმა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ეგმონტის ჯგუფში" გაწევრიანებისას საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს რეკომენდაციას რუსეთიც გაუწევს. მარტში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის ფინანსური მონიტორინგის კომიტეტის დელეგაცია. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა "ეგმონტის ჯგუფში" ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მუშაობის გაცნობა და მისი საქმიანობის შეფასება. დელეგაციამ დაასკვნა, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს "ეგმონტის ჯგუფის" წესდებით გათვალისწინებული ყველა ფუნქცია და უფლებამოსილება გააჩნია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური სიძნელეების გადალახვის შემთხვევაში საფოსტო ბანკის ლიკვიდაცია არ მოხდება. უკვე ორი კვირაა, რაც ბანკს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული დროებითი ადმინისტრაცია მართავს. როგორც საფოსტო ბანკის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლევან ნოზაძემ განაცხადა, ამჟამად ბანკის დამფუძნებელს ბანკში თანხები შეაქვს, რაც ბანკის ლიკვიდურობის დონეს ამაღლებს. "არ არის გამორიცხული, რომ "საფოსტო ბანკის" იმ აქტივების რეალიზება მოხდეს, რომლებიც ამჟამად გირაოშია ჩადებული," - განაცხადა ნოზაძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა, 13 აპრილს ცენტრალური ბიუჯეტიდან 3,243 მლნ ლარის ოდენობის ხარჯი დააფინანსა. ამ თანხიდან 2 მლნ ლარი საგარეო ვალდებულებების მომსახურებას მოხმარდა, ხოლო დარჩენილი 1,243 მლნ ლარით შემდეგი ხარჯები დაფინანსდა: სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ღონისძიებებისთვის — 356 ათასი ლარი; საბიუჯეტო ორგანიზაციების აპრილის თვის დაფინანსებისათვის — 887 ათასი ლარი; საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯებისათვის — 267,9 ათასი ლარი; სხვა საქონლისა და მომსახურების მუხლით საქართველოს პარლამენტმა, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა, საერთო სასამართლოებმა, უზენაესმა და საკონსტიტუციო სასამართლოებმა და უშიშროების საბჭომ ხაზინიდან 587,1 ათასი ლარი მიიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების საერთო მოცულობა მიმდინარე წელს (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) 171,7 მილიონი ლარით გაიზარდა და 1.358 მილიარდი ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს ინფორმაციით, კომერციული ბანკების ნაღდი ფულადი სახსრების მოცულობამ - 90 671 000 ლარი, ფულადმა სახსრებმა საბანკო ანგარიშებზე - 336 746 000 ლარი, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ოპერაციებმა - 46 947 000 ლარი, წმინდა სესხებმა 702 172 000 ლარი შეადგინა. ბანკებმა სახელმწიფო სექტორს 7 444 000 ლარის მოცულობის სესხი მისცეს, კერძო სექტორის დაკრედიტებამ კი, ბანკთაშორისი სესხების გარდა, 734 810 000 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

# მთავრობა სხდომებს ნაწილობრივ "ხსნის"

პირველი გვერდიდან

მინისტრის თქმით, ეს მეწარმეებისათვის ქველმოქმედების გაწევის სტიმული იქნება. ასევე დაბეგვრისგან გათავისუფლდებიან თავად ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ საქველმოქმედო თანხებს მიიღებენ.

ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონით "საბიუჯეტო სისტემის რეფორმის შესახებ", ამ წლის ბოლომდე ან მომავალი წლის დასაწყისში 700-მდე სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტის დაწესებულება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გარდაიქმნებიან და, საბიუჯეტო დაფინანსების ნაცვლად, პროგრამულ დაფინანსებაზე გადავლენ.

ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ამ კანონის მიხედვით, აქამდე არსებული ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამინისტროების გარდა, პროგრამულ დაფინანსებაზე გადავა.

გუშინვე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მთავრობა პენსიების 3 ლარით გაზრდას აპირებს.

ამ საკითხების განხილვამდე კი ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრებისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოს სახით, კონტროლს აწესებს მსოფლიო ბანკის იმ პროექტებზე, რომლებიც შეღავათიანი კრედიტებით ფინანსდება და რომელთა კონტროლი ძველ მთავრობაში თემურ ბასილიას ჰქონდა "პრივატიზირებული". ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ მსგავსი პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები ტრენინგების ჩასატარებლად კი არა, კონკრეტული საქმის გასაკეთებლად უნდა იხარჯებოდეს.

# სემეკი ამუშავდა

გუშინ სემეკ-ის შემადგენლობა შეივსო - საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული სამკაციანი კომისიის მეორე წევრად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ირმა ქავთარაძე დაამტკიცა. იგი კომისიაში მხოლოდ ორ წელიწადს იმუშავებს. საქმე ისაა, რომ სემეკ-ის წევრობის სწორედ ეს ვადა ჰქონდა დარჩენილი კომისიის ყოფილ წევრს პაატა ცინცაძეს, რომლის თანამდებობიდან გადადგომის შედეგადაც ირმა ქავთარაძისთვის ადგილი გამოთავისუფლდა.

ირმა ქავთარაძე სემეკ-ის წევრობამდე "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მმართველ საკონსულტაციო კომპანია "პი-ეი კონსალტინგში" მუშაობდა, ქონების მართვის მინისტრად მიხეილ უკლებას მუშაობის დროს კი მისი მოადგილე იყო.

კომისიის მესამე წევრი, ჯერჯერობით, დანიშნული არ არის და, სავარაუდოდ, მანამდე ვერ დაინიშნება, სანამ სემეკ-ის ყოფილი თავმჯდომარის დავით მირცხულავას საქმეს ნათელი არ მოეფინება. ის, ჯერჯერობით, კომისიის მესამე წევრად ითვლება, რადგან გადადგომის შესახებ განცხადება არ დაუწერია, ხოლო მისი გადაყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ მას ბრალეულობას დაუმტკიცებენ.

კომისიაში ახლა ორი წევრია - ამ ცოტა ხნის წინ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული გია თავაძე და ახლად დანიშნული ირმა ქავთარაძე. კომისიის წევრების ეს რაოდენობა კი სემეკ-ის ფუნქციონირებისათვის სავსებით საკმარისია. კანონმდებლობით, გადაწყვეტილებების მიღებისა და ძალაში შეყვანისათვის კომისიას სწორედ ამდენი ხმა ესაჭიროება. ამდენად, უახლოეს მომავალში ენერგოსექტორის სუბიექტთათვის დაწესებულ თამაშის წესებში მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

**24 საათი**

# "მინა" - საინვესტიციო წარმატების ქართული სახელმძღვანელო

***საქართველოს ეკონომიკაში ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მომხდარი სასიკეთო ცვლილებები მიუთითებს, რომ გამოკვეთილი ტენდენციებისთვის სტაბილური ხასიათის მიცემის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა შეუძლებელი საქმე ნამდვილად არ არის. როგორც გამოჩნდა, ქვეყანაში საამისო მზაობაც არის და აუცილებელი რესურსებიც. ამდენად, საქმე მათ გონივრულ გამოყენებაზეა, რაც საკმაოდ ფრთხილ და წინდახედულ მიდგომას მოითხოვს. თუმცა, მიღწეული წარმატებების მუხედავად, შექმნილმა მდგომარეობამ კიდევ ერთხელ სავსებით ნათლად წარმოაჩინა, რომ წლობით ჩამოყალიბებული მძიმე ვითარებიდან მხოლოდ ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით გამოსვლა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი, ან სულაც შეუძლებელი იქნება. ამის გათვალისწინებით, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში უცხოური საინვესტიციო რესურსების შემოდინებას, რის გარეშეც გარდამტეხი წინსვლა, რასაც საქართველოს ეკონომიკა ასე ჰაერივით საჭიროებს, უბრალოდ ვერ განხორციელება.***





ზოგადად, საინვესტიციო გარემო ის ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრია, რომელიც ქვეყნის მიმზიდველობასა და მასთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მსგავსი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის ინვესტიციების მოზიდვისა და მათი დაცვისთვის მაქსიმალური გარანტიების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უპირველესი პრიორიტეტია. შესაბამისად, წარმატებული ინვესტიციების მაგალითები ის სავიზიტო ბარათია, რომელმაც საქართველოს მსოფლიოს ცივილური საქმიანი სამყაროს აქამდე მჭიდროდ დახშული კარი უნდა გაუღოს.

სამწუხაროდ, მსგავსი წარმატებული ინვესტიციების მაგალითები ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მწირად მოიპოვება. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ თეორიული დეკლარირების მიუხედავად, მსოფლიოში ცნობილი საინვესტიციო ინსტიტუტები საქართველოში შემოსვლას მაინც არ ჩქარობენ. ასეთ ვითარებაში უკვე არსებული წარმატებული საინვესტიციო ისტორიებისთვის სათანადო ყურადღების მიქცევას ორმაგად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მათი არსებობა პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოში შემოსვლის დამატებით არგუმენტად შეიძლება იქცეს.

ერთ-ერთი ასეთი წარმატებული ინვესტიციის მაგალითად სააქციო საზოგადოება "მინის" ისტორია შეიძლება მივიჩნიოთ, რომელმაც არათუ გაპარტახების პირას მდგარი საწარმო გადაარჩინა, არამედ რეგიონში დარგის ლიდერად და ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კომპანიად აქცია.

1987 წელს ამუშავებულ ქსნის მინის ტარის წარმოება რამდენიმე წლის შემდეგ უმოქმედოდ იქცა. 90-იანი წლების დასაწყისის რთულმა პოლიტიკურმა და კრიმინოგენულმა ვითარებამ და ეკონომიკური აქტივობის მორღვევამ საწარმოს რამდენიმეწლიანი პარალიზება გამოიწვია, საიდანაც სახელმწიფომ ყველაზე სწორი გამოსავალი ნახა - სააქციო საზოგადოებად გადაკეთებული "მინა" გაყიდა, რითაც ქარხანა, როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, გარდაუვალ დაღუპვას გადაარჩინა.

პრაქტიკულად, სრული დაშლისა და დანგრევისთვის განწირული საწარმოს მფლობელი სამრეწველო კორპორაცია "შიშეჯამი" გახდა, რომელსაც შესაბამის ბაზარზე 65-წლიანი მოღვაწეობის გამოცდილება გააჩნია და, აქედან გამომდინარე, მუდმივად და უშეცდომოდ არის ინფორმირებული მსოფლიო ბაზრის ყველა მოთხოვნისა და კონიუნქტურის ცვლილებების თაობაზე.

განხორციელებული ინვესტიციის წარმატების კიდევ ერთი გარანტი "მინის" სხვა აქციონერებიც იყვნენ - მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსურმა რესურსებმა საწარმოს ამოქმედების ბიზნეს-გეგმაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა. და ეს არ ეხებოდა საწარმოს ამუშავების მხოლოდ საწყის ეტაპს: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის "მინის" აქციონერად ყოფნა (ევრობანკი გარკვეულ ეტაპზე გავიდა საწარმოდან) დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გარანტია კომპანიის ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისით.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საწარმოში განხორციელებული 20-მილიონიანი ინვესტიციის შედეგები ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება. თავად განსაჯეთ: საწარმოს გადაიარაღებისა და ახალი ღუმელების დამონტაჟების შედეგად, "მინა" მაქსიმალურად შეეთვისა ბაზრის მოთხოვნებს, რაც კონკრეტულ მაჩვენებლებზეც აისახა: **2000-დან 2003 წლამდე გაყიდული პროდუქციის რეალიზაციამ 20 მილიონი ბოთლიდან 118 მილიონამდე იმატა, წლეულს კი საწარმო კიდევ ერთ რეკორდულ მაჩვენებელზე - 170 მილიონ ბოთლზე გასვლას გეგმავს.**

ეს შიშველი ციფრები უფრო კონკრეტულად მსოფლიო სტანდარტების შესაბამის 25-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის მინის ბოთლის გამოშვებას გულისხმობს, რომელიც მარტო საქართველოში მთლიანად აკმაყოფილებს **"ბორჯომისა" და "კოკა-კოლის" წარმოებას, 50-მდე ღვინის საწარმოს (მათ შორის, "ბაგრატიონს", "ვაზიანს", "ახაშენს", "თელავის ღვინის მარანს" და დარგის სხვა ლიდერებს), ასევე ლუდის ძირითად ქარხნებს ("ყაზბეგი", "კასტელი") და მინერალური წყლების სხვა სახეობებსაც (მაგალითად, "ნაბეღლავი").**

რაც შეეხება ექსპორტს, აქ ზოგადად იმის თქმაც საკმარისია, რომ "მინის" პროდუქციის ერთი ნაწილი სწორედ ექსპორტზე გადის. რაც შეეხება კონკრეტულ რეგიონებს, მათი გეოგრაფიაც გეგმაზომიერად ფართოვდება. სადღეისოდ უკვე სწორედ ქსნის "მინის" გამოშვებულ ბოთლში ჩამოისხმება აზერბაიჯანული ღვინო და ლუდი (უკვე გაჩნდა მოთხოვნილება ბროწეულის წვენის ჭურჭელზეც). შარშანდლიდან მოყოლებული ხორციელდება ექსპორტი ყირგიზეთშიც - ბიშკეკის "კოკა-კოლას" ქარხანა თავის პროდუქციას სწორედ ქართულ მინაში ჩამოსხმულს ყიდის. ამას ემატება პერიოდული შეკვეთები რუსული და თურქული კომპანიებისგანაც. ასე რომ, "მინის" საექსპორტო პოტენციალი ეჭვს არ იწვევს.

თუმცა, არც საქართველოშია ქარხნის პოზიციები ნაკლებად მზარდი: მარტო ღვინის ბაზარი 2002-დან 2003 წლამდე მთელი 30%-ით გაიზარდა, საიდანაც უმეტესობა სწორედ "მინის" პროდუქციის მომხმარებელია. იგივე ითქმის "ბორჯომზეც", რომლის მოთხოვნასაც მთლიანად ქსნის ქარხანა ფარავს.

ქართულ კომპანიებთან "მინის" ურთიერთობა მხოლოდ საკუთარი პროდუქციით უზრუნველყოფით არ შემოიფარგლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შუშის საწარმოებლად აუცილებელი ნედლეულის 80% სწორედ ადგილობრივი ნედლეულია, რაც ნიშნავს, რომ **ქარხნის ამ შეკვეთებზე მომუშავე მსხვილი თუ წვრილი საწარმოები მუდმივი შემოსავლით არიან უზრუნველყოფილი. ასეთი კი არაერთია, რომელთაგანაც განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ ქვიშის კარიერი საჩხერეში, კირქვის საამქრო დედოფლისწყაროში და დოლომიტის წარმოება აგარასა (ქარელი) და სქურში (წალენჯიხა). ქართული საწარმოები ამზადებენ პროდუქციის სათანადო შეფუთვისთვის აუცილებელ მუყაოს ყუთებსა და ხის საძირეებსაც. ასე რომ, "მინის" მიერ დასაქმებული საწარმოები მთელ საქართველოშია გაბნეული და უშუალოდ დასახელებული საწარმოების გარდა მთელ მიმდებარე ინფრასტრუქტურასაც (რკინიგზა, გადამზიდავები და ა.შ.) ასაქმებს.**

ეს არის ის წარმატებები, რისთვისაც სააქციო საზოგადოება "მინას" საკმაოდ მოკლე ხანში აქვს მიღწეული. ალბათ, ზედმეტიცაა იმაზე საუბარი, რომ ამ შედეგებამდე მისვლა ნამდვილად არ ყოფილა იოლი. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ "მინასაც", პრაქტიკულად, მთელი მოცულობით აქვს გადატანილი ის ბრძოლები, რაც საქართველოში შემოსვლისა და დამკვიდრების მოსურნე აბსოლუტურად ყველა სტრატეგიულ ინვესტორს გადახდა თავს. ეს ეხება როგორც ქარხანაში გავლენის მოპოვებისა თუ შენარჩუნებისთვის სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მხრიდან წარმოებულ შეტევებს, ასევე პირდაპირ საბოტაჟს თუ იმ აურაცხელ სასამართლო პროცესებს, რომელთაც ასევე დაინტერესებული ჯგუფები ქარხნის სრულფასოვანი ამოქმედების შემდეგ არაერთხელ მიმართავდნენ, რათა საწარმოსთვის სხვადასხვა აქტივები წაეგლიჯათ ან როგორმე მის საქმიანობაში ფეხი ჩაედგათ.

ცხადია, ამ პრობლემებს საკმაოდ სერიოზული კორექტივები შეჰქონდა ქარხნის საქმიანობაში და მაქსიმალურად აფერხებდა "მინის" წარმატებულ საქმიანობას, რაც, თავისთავად, არა მხოლოდ ერთი წარმოების მაჩვენებლების, არამედ ქვეყნის ზოგადი საინვესტიციო ფონის გაუარესების საკმაოდ ცუდ სიმპტომად აღიქმება. იმედია, მსგავსი მოვლენები მალე ისტორიას ჩაბარდება, რადგან ანალოგიური ფაქტების გაგრძელების შემთხვევაში როგორც უკვე მოქმედი სტრატეგიული ინვესტორების, ასევე ფულისა თუ ტექნოლოგიების პოტენციური დამბანდებლების დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ კიდევ უფრო ფრთხილი და თავშეკავებული გახდება. ეს კი სწორედ იმ წარმატებულ ბიზნესზე უარის თქმის ტოლფასია, რომელსაც იგივე სააქციო საზოგადოება "მინა" უცხოური ინვესტიციების დახმარებით უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს.

*გიორგი დოლიძე*

# ოკუპაციის ერთი წელი ერაყში

ლაშა გიორგიძე

ერაყში წინააღმდეგობა იზრდება. იზრდება იმ თანხების რაოდენობაც, რაც ამ ქვეყნის აღდგენისთვის იქნება საჭირო. მხოლოდ აშშ-ს კონგრესს ამ ხნის მანძილზე ერაყის დაპყრობისა და რეკონსტრუქციისათვის 162 მილიარდი დოლარი აქვს გამოყოფილი. თანხა საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა საკითხავია, კიდევ რამდენი მილიარდი იქნება საკმარისი. ომის დაწყებამდე ბუშის ადმინისტრაციამ გასაგებად ჩამოაყალიბა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო ომი ერაყში, თუმცა ზოგიერთი მიზეზი დღეს ცოტა გაუგებრად ჟღერს. თავის დროზე ზუსტად არ იყო განსაზღვრული, რამდენი ეღირებოდა სადამ ჰუსეინის ჩამოგდება და კიდევ უფრო ბუნდოვანია ქვეყნის საბოლოოო აღდგენის, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის გასაღები ხარჯები. მხოლოდ აშშ-ს სამხარი ოპერაციები 143 მილიარდი დაჯდა, აღდგენითი სამუშაოები - 33 მილიარდი, საიდანაც 18,7 მილიარდი აშშ-ზე მოდის, დამატებითი უსაფრთხოებისათვის კი 40-80 მილიარდია გათვალისწინებული. ამ მშრალი რიცხვების მიღმა ერთი რამის დანახვა შეიძლება, ბუშის ადმინისტრაციისათვის ერაყის ომის ეკონომიკური ღირებულება არ ყოფილა მთავარი განსახილველი საკითხი. კონგრესის საბიუჯეტო ოფისის მონაცემების მიხედვით, 130 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის შენახვა ქვეყანას ყოველთვიურად 4-5 მილიარდი უჯდება, რაც წელიწადში 48-60 მილიარდი გამოდის. ბევრი ექსპერტის თქმით, მათი რეგიონში ყოფნა მშვიდობის დასაცავად, მინიმუმ 3-5 წელიწადს გაგრძელდება. რაც თავის მხრივ აისახება აშშ-ს ეკონომიკაზე. ოდნავი შეღავათი ამ მხრივ შეიძლება ნატო-მ გააკეთოს რეგიონში თავისი ძალების ნაწილობრივი ჩანაცვლებით. ამერიკელთათვის კი შეუფასებელი მაინც თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლეა. დაღუპულთა რაოდენობა უკვე შვიდასს უახლოვდება. ერაყში დაგროვილი პრობლემები კვლავ გადაუჭრელია. უფსკრული, რომელიც ამერიკულ სამართალსა და მუსლიმურ სამართლიანობას შორის არსებობს, ვერც ერაყის დროებითმა კონსტიტუციამ ამოავსო.

ერაყის, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ისლამის ფაქტორი. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ. მიუხედავად მიღებული კანონმდებლობისა, ქვეყანაში შეიქმნა საკმაოდ დიდი მორალური და იდეოლოგიური ვაკუუმი, რაც, სავარაუდოდ, სწორედ ისლამური დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით შეივსება.

ერაყის მეზობელი ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ, რათა გამოიყენონ გარდამავალი პერიოდი და რაიმე გავლენა მოიპოვონ მის ტერიტორიაზე. გავლენის მოპოვების ერთ-ერთი საშუალება სწორედ რელიგიაა. ირანი, რა თქმა უნდა, შიიტი მოსახლეობის ხელშეწყობას შეეცდება, როდესაც ქვეყანაში 60 პროცენტი შიიტია და ასეთი პოლიტიკა ირანის მხრიდან, ბუნებრივია, მისი საგარეო (თუ სამეზობლო) ინტერესებიდანაა გამომდინარე. ვაჰაბიტური საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის სხვა მსგავსი ქვეყნები კი შესაბამისი თემის მხარდაჭერას დაიწყებენ. სადამ ჰუსეინის ათეისტურ სახელმწიფოში გავლენა არც ერთ მუსლიმურ ჯგუფს არ ჰქონდა. ქვეყნის დემოკრატიულ ყაიდაზე გადასვლასთან ერთად კი თავი იჩინა რელიგიურმა ფაქტორებმა, უფრო სწორად, ისლამურმა დაპირისპირებამ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია, ერაყი უძველესი დროიდან სუნიტურია. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი ვერ ჩამოყალიბდება ისეთ სახელმწიფოდ, სადაც რელიგიის წარმომადგენლები მართავენ ქვეყანას ან დაინიშნებიან რომელიმე ხალმძღვანელ თანამდებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირება საკმაოდ დიდია, ისინი მზად არიან, ერთად იბრძოლონ "ურჯულო მტრის" წინააღმდეგ.

მრავალი წლების შემდეგ, რაც შიიტურმა თემმა გაუძლო ოსმალეთის იმპერიას, ბრიტანეთის იმპერიას და სადამ ჰუსეინის "ბაასის" პარტიას, მას მიეცა, მართლაც, ისტორიული შანსი, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მიუხედავად ამისა, ამერიკელები რჩებიან შიიტებისათვის იმ ბარიერად, რაც ხელს უშლის მათ ხელში პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციას. შიიტი პოლიტიკოსებისათვის დამახასიათებელია რელიგიური პოლიტიკა, სადაც ცენტრალური ადგილი აუცილებლად სასულიერო პირს უჭირავს, ეს კი აშშ-ს მიზნებს ეწინააღმდეგება.

უფრო და უფრო აშკარად ჩნდება იმის ნიშნები, რომ შიიტები და სუნიტები ერთად გამოვლენ ამერიკელთა წინააღმდეგ. მათ შორის თანამშრომლობის ზრდასთან ერთად, იზრდება საფრთხე, რომ ბუში ერაყში ასე ადვილად წესრიგს ვერ დაამყარებს. მდგომარეობა ერთი წლის წინანდელ ახლად დაპყრობილ ერაყსა და დღევანდელ ტირანისაგან გათავისუფლებულ ქვეყანას შორის, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. 2003 წელს ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, აშშ-ს მთავარ მიზანს წარმოადგენდა, არ დაწყებულიყო სამოქალაქო ომი სუნიტებსა და შიიტებს შორის. დღეს ამერიკელები და დანარჩენი მსოფლიო უკვე იმაზე ფიქრობს, რა ფაქტორმა დააკავშირა ასე მჭიდროდ ისტორიული მოწინააღმდეგეები და როგორ გაუძლებს აშშ მათ შეტევას? **"ჩვენ ჩვენი სულიერი ლიდერისაგან ნაბრძანები გვაქვს, დავეხმაროთ სუნიტებს და ვიბრძოლოთ, როგორც ერთმა;" "ჩვენ გვინდა გაძლიერდეს ბრძოლა, გაიზარდოს მოკლულთა რაოდენობა და ამერიკელები განვდევნოთ ამ ქვეყნიდან. ამისათვის კი ძალების გაერთიანებაა საჭირო."** ასეთია შიიტების დამოკიდებულება აშშ-ს წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ ომმა მათ სუნიტებთან დაპირისპირებაც დაავიწყა, თუმცა, შეიძლება კარგად ახსოვთ, რომ სუნიტები მათთვის "ძენი შეცთომილნი" არიან, მაგრამ მაინც "ძენი, რომლებიც ალაჰმა ბოლომდე არ გასწირა." ასევე არ გასწირეს შიიტებმა სუნიტები, როდესაც ამერიკელებისაგან ალყაშემორტყმულ სუნიტურ ქალაქ ფალუჯაში მათ კონტეინერებით სხვადასხვა სახის დახმარება გაუგზავნეს. ეს სურსათი ჩვეულებრივი შიიტებისაგან იყო გაღებული, რომელთაც ისევე უჭირთ, როგორც ყველა სხვა მცხოვრებს ერაყში. ფალუჯა სუნიტების წმინდა ქალაქია და მისი დაცვის დროს მათ საოცარი გამძლეობა გამოიჩინეს. ამ დროს ხშირად გაიგონებდით შეძახილებს: **"სუნიტს და შიიტს მნიშვნელობა არა აქვს, ეს განსხვავება ხელოვნურია, ფალუჯაში მცხოვრებლები ერაყელები არიან და მათ ჩვენი დახმარება სჭირდებათ."** როდის დაიბრუნებს მნიშვნელობას სუნიტი და შიიტი, არავინ იცის. ალბათ, მაშინ, როდესაც საერთო მტერი აღარ ეყოლებათ. მანამდე კი შიიტები არა მარტო სურსათით, არამედ ცოცხალი ძალითაც ეხმარებიან მოძმეებს. **"ჩვენი ცალ-ცალკე ბრძოლა ერთ, საერთო ომში გადაიზარდა, ომში, რომელიც ამერიკელთა წინააღმდეგაა მიმართული,"** - ასეთია მებრძოლთა დამოკიდებულება.



*ერაყში წინააღმდეგობა იზრდება.*

რაც შეეხებათ აშშ-ს ოფიციალურ პირებს, ისინი აცხადებენ, რომ ორი განსხვავებული თემის წარმომადგენლებს გაუჭირდებათ საერთო ენის გამოძებნა. მათი თქმით, დღევანდელი მდგომარეობა, რომ მათ ჰყავთ საერთო მეტოქე ამერიკელთა სახით, მოჩვენებითია. საოკუპაციო ჯარების სარდალმა გენერალმა რიკარდო სანჩესმა განაცხადა: **"ჩვენ ძალიან ბევრი შრომა დაგვჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ მათი ურთიერთობა მხოლოდ გარკვეული ტაქტიკური მიზნებით არის ნაკარნახევი... მოწოდება გაერთიანებისაკენ, ეს აშკარა მცდელობაა, რათა არსებულ სიტუაციაში მათ უპირატესობას მიაღწიონ."** როგორც დაზვერვის ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებენ, საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს მოქთად ალსადრის დაჯგუფებასა და სუნიტურ ექსტრემისტულ ჯგუფ "მეჰდის არმიას" შორის, რაც ხაზს უსვამს სუნიტთა და შიიტთა ურთიერთობებს მხოლოდ სტრატეგიულ დონეზე. თავის დროზე სადამ ჰუსეინმა კარგად გამოიყენა დაპირისპირება ამ ორ თემს შორის, ასევე იქცეოდა ბევრი ერაყელი ლიდერიც, ამიტომაც არის, რომ დღევანდელი მათი თანამშრომლობა უპრეცედენტოა და გაკვირვებას იწვევს.

ერაყში განვითარებული მოვლენების შესახებ პროტესტს გამოთქვამენ მმართველი საბჭოს წევრებიც, რომლებიც თვით ამერიკამ შეარჩია, რათა მათ შეეთავსებინათ გარდამავალი ადმინისტრაციის ფუნქციები. თუმცა, ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ არც ერთი ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციის წინ მმართველი საბჭოს წევრებთან ამერიკელებს არანაირი კონსულტაცია არ გაუვლიათ. ასეთი საბჭოს "მარიონეტულობა" კი, რა თქმა უნდა, არ ახარებთ მის წევრებს. რამდენიმე მათგანმა შესაძლო გადადგომის შესახებ განაცხადა. ერთ-ერთმა წევრმა ნასირ ქამელ ჩადერჯიმ კი წერილით მიმართა საბჭოს პრეზიდენტს მასუდ ბარზანის, სადაც ნათქვამი იყო: **"საბჭოს როლის უგულებელყოფა და გადაწყვეტილებების მიღებაში ნაკლები მონაწილეობა საბჭოს წევრებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს და ერაყელ ხალხს უპირისპირებს, რომლებიც გვეკითხებიან, თუ რა გავაკეთეთ ხალხის საკეთილდღეოდ."** ისინი ინფორმირებულები არ ყოფილან ფალუჯაში დაგეგმილი შეტევის შესახებ. ბევრმა მათგანმა ეს ტელევიზიის საშუალებით შეიტყო. თუმცა, მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყების საქმეში. ბატონმა ბარზანიმ ოფიციალურ მიმართვაში განაცხადა, რომ მმართველი საბჭო მოითხოვდა ცეცხლის შეწყვეტას, ადგილობრივი მცხოვრებლების დაცვას და მასობრივი სადამსჯელო ოპერაციების დასრულებას. იქვე გაცხადებული იყო, რომ სხვადასხვა თემისა და პოლიტიკურ ლიდერებთან შეხვედრის წარუმატებლობის შემთხვევაში, მხოლოდ კანონიდან გამომდინარე უნდა ემოქმედათ. ამით საბჭოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ შეახსენა მოკავშირეებს ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოებაზე აღებული პასუხისმგებლობა.

ერაყში შექმნილ ვითარებაზე ვრცელი კომენტარი გააკეთა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. მას ახალი არაფერი უთქვამს, გარდა იმისა, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის მიღებისაკენ მოუწოდა, რაც ერაყში სხვადასხვა ქვეყნებიდან სამხედრო კონტინგენტების გაგზავნის სამართლებრივი საფუძველი უნდა გახდეს. სხვა ყველაფერი ბუშის გამოსვლაში ძველი და საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი იყო. მისი თქმით, ეს ერაყში განვითარებული მოვლენები არც სახალხო წინააღმდეგობაა და არც რევოლუცია. **"ერაყის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი სტაბილურია,"** - განაცხადა თეთრი სახლის მესვეურმა. მოკლედ, ჯორჯ ბუში მზადაა, რომ ბრძოლა ერაყის დემოკრატიისათვის ბოლომდე მიიყვანოს. ეს კი მან ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა მოასწროს და ერაყის სინდრომი როგორმე უნდა ჩააცხროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ოვალურ კაბინეტს გამოემშვიდობება. ყოველ შემთხვევაში ამაზე მიუთითებს ჟურნალ "ნიუსუიკში" გამოქვეყნებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმად, ამერიკელთა 51 პროცენტი უარყოფითად აფასებს ბუშის ერაყულ პოლიტიკას. იმ შემთხვევაში, თუ ერაყში ვითარება არ დარეგულირდა, ბუშის მიმართ უკმაყოფილება სწრაფი ტემპებით გაიზრდება. ჯერჯერობით კი ერაყის დაწყნარების ნიშნები არ არსებობს. შიიტების და სუნიტების გაერთიანების პროცესი დაწყებულია, რაც პირველ რიგში სწორედ რეგიონში ვაშინგტონის ინტერესებს უქმნის საფრთხეს.

# ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის ჩინური ტურნე

**"ჩინეთი ყველაფერს გააკეთებს ქვეყნის მშვიდობიანი და უმტკივნეულო გაერთიანებისათვის, მაგრამ არავის მისცემს უფლებას, ტაივანი რაიმე ფორმით ჩამოაშოროს ჩინეთს,"** - ასეთ განცხადებას აკეთებს ჩინეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი ძიან ძემინი. მისი სიტყვებით, ტაივანის პრობლემა არა მარტო ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხია, არამედ იგი დიდწილად განაპირობებს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებს და მშვიდობას მთლიანად რეგიონში.

ჩინეთში ვიზიტად მყოფმა აშშ-ს ვიცე-პრეზოიდენტმა დიკ ჩეინიმ გუშინ სულ რამდენიმე საათის მანძილზე სამი უმნიშვნელოვანესი შეხვედრის გამართვა მოასწრო. იგი შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთაურს ჰუ ძინტაოს, მის წინამორბედს, ამჟამად სამხედრო უწყების ხელმძღვანელ ძიან ძემინს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს. სამივე შეხვედრისას ერთ-ერთ მთავარ თემად ტაივანის საკითხი განიხილებოდა. თუმცა, ჩეინი ცდილობდა, ჩრდილოეთ კორეის თაობაზეც ჩამოეგდო საუბარი. ჩინეთის მთავარ საზრუნავს დღეს კუნძული ტაივანი და მისი ხელმეორედ არჩეული პრეზიდენტი ჩენ შუი ბიანი წარმოადგენს. კუნძულის ლიდერმა აშკარად განაცხადა ტაივანის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების შესახებ და ამით ჩინეთის დიდი რისხვა დაიმსახურა.



*ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი და ჩინეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი ძიან ძემინი*

თითქოსდა რა პრობლემა უნდა იყოს უზარმაზარი ჩინეთისათვის ერთი ციდა კუნძული, თავის 23 მილიონიანი მოსახლეობით (თავად ჩინეთის მოსახლეობის რიცხვმა უკვე 1,5 მლრდ-ს გადააჭარბა), მაგრამ ტაივანის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი არსებობის გარანტი მსოფლიოს ერთადერთი სუპერ-სახელმწიფოა და სწორედ აშშ-სთან სიტუაციის მოსალოდნელი გართულების საფრთხე იცავს კუნძულს მატერიკის პირდაპირი აგრესიისაგან. უფრო მეტიც, სულ ახლახანს ტაივანმა აშშ-საგან 3 მლრდ. ღირებულების უახლესი რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები შეიძინა, რასაც თან 1,8 მლრდ ღირებულების მაღალსიხშირული რადარების მიყიდვაზე აშშ-ს თანხმობაც ერთვის და მათი გამოყენებით შეეცდება კუნძულზე დამიზნებული ჩინური რაკეტების განეიტრალებას.

ასე რომ, ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის არცთუ სასიამოვნო სიტყვების მოსმენა მოუწია ჩინელებისაგან, მით უმეტეს, რომ ამერიკის დელეგაცია თავად აპირებდა საყვედურების წაყენებას ჩრდ. კორეის ბირთვულ თემასთან დაკავშირებით. აშშ-ს ჩინეთთან უარყოფითი სავაჭრო დეფიციტიც აწუხებს და ჩეინის ერთ-ერთი თხოვნა ჩინეთის ხელმძღვანელობისათვის აშშ-ს იმპორტის გაზრდაც იყო, განსაკუთრებით ძვირადღირებული თვითმფრინავებისა და ენერგეტიკული მოწყობილობების.

ბოლოს ჩინელებთან შეხვედრა მაინც ურთიერთგაგებით დასრულდა. ჩეინის მოუწია განცხადების გაკეთება, რომ აშშ მხარს არ დაუჭერს ტაივანის სუვერნენიტეტისაკენ სწრაფვას, ხოლო ძიან ძემინმა იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ჩინეთის ინტერესების გათვალისწინების შემთხვევაში აშშ-ჩინეთის შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

# ხოდორკოვსკი შეცდომებს აღიარებს

კომპანია "იუკოსის" ყოფილმა შეფმა, ამჟამად პატიმრობაში მყოფმა მიხაილ ხოდორკოვსკიმ ციხის საკნიდან წერილი გამოაგზავნა, სადაც ის რუს ლიბერალებს შეცდომების აღიარებისაკენ და პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან მოლაპარაკების გამართვისაკენ მოუწოდებს. თუმცა, ხოდორკოვსკი აცხადებს, რომ ლიბერალური ღირებულებები მისთვის ისევ უმთავრესია.

**"დღეს სიტყვა ლიბერალიზმი და დემოკრატია სალანძღავ სიტყვებადაა ქცეული, არა იმიტომ, რომ რუსეთში ხალხს არ უნდა თავისუფლება, უბრალოდ, მოსახლეობის უმრავლესობისათვის ეს სიტყვა 1991-93 წლების შოკს და 1998 წლის კრიზისს უკავშირდება,"** - აცხადებს რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი.

ამის შემდეგ ის რუსეთში ლიბერალიზმის განვითარების პერსპექტივაზე საუბრობს. **"ჩვენ კი, ქვეყნის განვითარების ლიბერალურ-დემოკრატიული ვექტორის მომხრეებს, მხოლოდ ორი შესაძლებლობა გვაქვს. პირველი, განვაცხადოთ, რომ ჩვენ (მე ვსაუბრობ საკუთარ თავზე და "ძველ ლიბერალებზე") ყველაფერს სწორედ და მართებულად ვაკეთებდით და ამაყად თავაწეულები წავიდეთ პოლიტიკური სცენიდან. ან გულახდილად განვაცხადოთ: ჩვენ უცოდინრობის, ამბიციების გამო ბევრი შეცდომა დავუშვით იმიტომ, რომ ვერ გავიგეთ, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში მისი რთული სოციალური და რეგიონული თავისებურებების ერთობლიობის გამო. ეს ჩვენი შეცდომებია და არა ლიბერალურ-დემოკრატიული რეფორმების გარდაუვალი შედეგი,** - აცხადებს ხოდორკოვსკი და იქვე აგრძელებს, - **მოგვიტევეთ, თუ შეგიძლიათ. მოგვეცით საშუალება, გამოვისყიდოთ ჩვენი შეცდომა. თუ როგორ, ეს ჩვენ ვიცით. და თუ არ შეგიძლიათ, მაშინ ჩვენ უნდა წავიდეთ - ადამიანები და არა დემოკრატიის და თავისუფლების იდეალები. და მაშინ ახალ ლიბერალებს ექნებათ თითქმის 4 წელი, რათა ბევრი რამ თავიდან დაიწყონ."**



*მიხაილ ხოდორკოვსკი.*

წერილის ბოლოს, მიხაილ ხოდორკოვსკი ძველ ლიბერალებს პრეზიდენტთან კომპრომისული დიალოგისაკენ მოუწოდებს. ის აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებობს ხალხის მიერ არჩეული ერთადერთი ინსტიტუტი. ეს არის პრეზიდენტი. **"დღეს ასეა, რაშიც დიდი წვლილი ჩვენს შეცდომებს მიუძღვით და ჩვენ უნდა შევძლოთ მოლაპარაკება,"** - ამბობს ხოდორკოვსკი.

ხოდორკოვსკის ამ წერილზე რუსი ლიბერალების და მისი თანამოაზრეების რეაქცია უცნობია. თუმცა, მარტის ბოლოს, გაზეთ "ვედომოსტიში" გამოქვეყნებული ხოდორკოვსკის პირველი წერილი ბევრმა დამკვირვებელმა ნავთობმაგნატის მონანიებად და ხელისუფლების წინაშე კაპიტულაციად აღიქვა.

მაშინაც, ხოდორკოვსკი პრეზიდენტთან მოლაპარაკებებზე საუბრობდა. როგორც ჩანს, "იუკოსის" ყოფილი შეფი საზოგადოების რეაქციით კმაყოფილი არ არის და კიდევ ერთხელ ცდილობს თანამოაზრეების დარწმუნებას საკუთარი პოზიციის სისწორეში.

# ილჰამ ალიევი ანკარასთან ალიანსის შენარჩუნებას ცდილობს

პირველი გვერდიდან

ყარაბაღის ექვსწლიანი ომი, რომლის დროსაც, დაახლოებით, 35 000 ადამიანი დაიღუპა, 1994 წელს დამთავრდა. საერთაშორისო თანამეგობრობისა და უამრავი მედიატორის ძალისხმევის მიუხედავად, კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელია.

თუმცა, უკანასკნელი კვირების განმავლობაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ვაშინგტონში მყოფმა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯერ ერდოღანმა სომხეთთან საზღვრის გახსნის სურვილი გამოთქვა. ამ ცნობას აზერბაიჯანში საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, აზერბაიჯანის პრესაში აგორებული ანტი-თურქული კამპანია ხელისუფლების მიერ იმართებოდა. ანკარაში ოფიციალური ვიზიტის წინ, ილჰამ ალიევს ფონის შექმნა სურდა, რათა ანკარაზე გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა.

ბევრი ფიქრობდა, რომ ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების შემდეგ, ბაქო თავის პოლიტიკას შეცვლიდა, მაგრამ ილჰამ ალიევმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ყარაბაღის მიმართ დამოკიდებულება უცვლელი იქნება.

"ჩვენ გვსურს, რომ ოკუპანტმა სომხებმა უპირობოდ დააბრუნონ მიწები. ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრაზე მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ," - განაცხადა ილჰამ ალიევმა იმავე ინტერვიუში.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა იქვე დასძინა, რომ აზერბაიჯანი ვერასოდეს შეურიგდება სომხეთის მოთხოვნას ყარაბაღის მიერთების, ან რეგიონის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

თურქეთის პრეზიდენტმა აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა თავის აზერბაიჯანელ კოლეგას განუცხადა, რომ თურქეთი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას უჭერს მხარს.

"ჩვენ მზად ვართ, ყველანაირი სახის ძალისხმევის გასაწევად, რათა საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად ჩვენს აზერბაიჯანელ ძმებს ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაში დავეხმაროთ," - სეზერის აღნიშნული სიტყვები საინფორმაციო სააგენტო "ანატოლიამ" გაავრცელა.

საერთაშორისო ზეწოლის გარდა, თურქეთის მთავრობაზე გავლენის მოხდენას ბიზნესმენებიც ცდილობენ, რომელთაც სომხეთთან ვაჭრობის დაწყება სურთ. თუმცა, თურქეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ აზერბაიჯანთან შეთანხმების გარეშე ანკარა არ იმოქმედებს.

ლინგვისტური და კულტურული კავშირების გარდა, ორ ქვეყანას ენერგეტიკული პროექტები აკავშირებთ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და შაჰ-დენიზის გაზსადენი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს სოლიდურ ეკონომიკურ საფუძველს სძენს.

*გამოსათხოვარი*

# ნოდარ ამაღლობელი



წავიდა ჩვენგან საქართველოს ღირსეული მოქალაქე, ჭეშმარიტი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, დიდსულოვანი ადამიანი, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი.

ნ. ამაღლობელი დაიბადა 1930 წელს თბილისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი წლების განმავლობაში მივლინებული იყო ქ. დუბნის (მოსკოვის ოლქი) ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში, სადაც გაიარა ასპირანტურის კურსი და აქტიურად ჩაერთო მაღალი ენერგიების ფიზიკის ექსპერიმენტებში. ბირთვული ძალების ბუნების დადგენაში მიღებული ფუნდამენტური მნიშვნელობის შედეგებისათვის ფართოდ აღიარებული მეცნიერი დაბრუნდა საქართველოში.

ნოდარ ამაღლობელის სამეცნიერო და ორგანიზატორული მოღვაწეობა ფართოდ გაიშალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც აწ გარდაცვლილ აკადემიკოს რევაზ სალუქვაძესთან ერთად საფუძველს უყრის ელემენტარული ნაწილაკების და მაღალი ენერგიების ფიზიკის განვითარებისათვის თანამედროვე ექსპერიმენტულ ბაზას, რომლის საფუძველზე, 1979 წელს შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ბატონი ნოდარი ამ ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი იყო დაარსებიდან 1996 წლამდე (როცა საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევასთან დაკავშირებით დირექტორობიდან გადადგა), თუმცა ინსტიტუტის საქმიანობის სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა.

თანამედროვე მეცნიერების განვითარებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას ბატონი ნოდარი პრინციპულ საკითხად მიიჩნევდა და სწორედ ამ თანამშრომლობათა ფარგლებში ხორციელდებოდა და დღესაც მიმდინარეობს ერთობლივი კვლევები რუსეთის, შვეიცარიის, გერმანიის და ამერიკის მსხვილ ექსპერიმენტულ ჯგუფებთან. ამის შედეგია ის, რომ საქართველოში არსებული მძიმე პირობების მიუხედავად, ქართველ მეცნიერებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ფუნდამენტური კვლევები, მათ ნაშრომებს კარგად იცნობს და ჯეროვნად აფასებს მსოფლიო ფიზიკოსთა საზოგადოება. ბატონი ნოდარი იყო საქართველოში სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელის - ინტერნეტის დაარსებისა და განვითარების ორგანიზატორი.

ბატონი ნოდარის მეცნიერული მიღწევები აღინიშნა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიითა (1976 წ.) და საქართველოს სახელმწიფო პრემიით მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1986 წ.). 1979 წელს ნ. ამაღლობელი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს ნამდვილ წევრად. ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ნ. ამაღლობელი დაჯილდოებული იყო საქართველოს "ღირსების" ორდენით, ხოლო დუბნის ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში წარმატებული სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობისათვის რუსეთის ფედერაციის მთავრობამ "მეგობრობის" ორდენით დააჯილდოვა. 1992 წლიდან, როცა საქართველო ქ. დუბნის ბირთვულ კვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის წევრი გახდა, ბ-ნი ნოდარი იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ბატონი ნოდარი თავისი დროისა და ენერგიის დიდ ნაწილს პედაგოგიურ და ორგანიზაციულ საქმიანობასაც უთმობდა. საკუთრივ, ფიზიკის მეცნიერებაში მისი ხელმძღვანელობით მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაა დაცული. 1981-85 წლებში ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1985-91 წლებში ამავე, მისთვის მშობლიური უნივერსიტეტის რექტორი. ბატონი ნოდარის რექტორობის პერიოდში განსაკუთრებით ამაღლდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ავტორიტეტი. მისი სიბრძნე, აუჩქარებლობა და წინდახედულობა იყო საჭირო, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი საქართველოსათვის თავისუფლების მოპოვებაში.

ბატონი ნოდარი არასდროს იფარგლებოდა ვიწრო პროფესიული ინტერესებით. ჭეშმარიტი პატრიოტი, აქტიური, მოქმედი ხასიათით დაჯილდოებული ნოდარ ამაღლობელი მისი სამშობლოს ცხოვრების მშფოთვარე წლებში უბრალო დამკვირვებლად ვერ დარჩებოდა. მისთვის სავსებით ბუნებრივი გახდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა. 1989 წელს ის აირჩიეს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატად, ხოლო 1996 და 1999 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ის ჰარმონიულად უთავსებდა საქართველოს პარლამენტის და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრობას. მისი უშუალო მონაწილეობით მიღებული იქნა საქართველოს კანონები: მეცნიერებათა აკადემიის, მეცნიერთა სოციალური დაცვის და მეცნიერების სახელმწიფო ატესტაციის შესახებ. ეს კანონები საფუძველია საქართველოს მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რეფორმირებისათვის.

ბატონმა ნოდარმა საქართველოს ჭეშმარიტი სიყვარული თავის ოჯახშიც დაამკვიდრა. მისმა შვილმა აჩიკო ამაღლობელმა, ახალგაზრდა პერსპექტიულმა მეცნიერმა საქართველოს ერთიანობასა და მომავალს შესწირა თავი. ბატონი ნოდარისთვის ეს ტრაგედია მუდმივ ტკივილად დარჩა.

მას ახასიათებდა პატიოსნება, სამართლიანობა, ადამიანებისადმი თანაგრძნობა, მუდმივი მზადყოფნა გაჭირვებულისათვის დახმარების გასაწევად - ყველანაირად, რაც კი მის შესაძლებლობებში იყო. ნოდარ ამაღლობელი ყველა მისი ახლობლის, მეგობრის, კოლეგისა და მოწაფის მეხსიერებაში მუდამ დარჩება ნათელ ადამიანად - ისეთად, როგორიც ასე სჭირდება დღეს ჩვენ ქვეყანას.

*მ.სააკაშვილი, ნ.ბურჯანაძე, ზ.ჟვანია, ი.მერაბიშვილი, გ.აბსანძე, თ.ბერუჩაშვილი, ჯ.ბაკურაძე, გ.ხაინდრავა, ზ.ადეიშვილი, ე.ასტემიროვა, გ.ბარამიძე, გ.ბეჟუაშვილი, გ.გაბაშვილი, ნ.გილაური, ს.ზურაბიშვილი, თ.ლებანიძე, ა.ლომაია, ზ.ნოღაიდელი, გ.პაპუაშვილი, ი.რეხვიაშვილი, თ.სულუხია, დ.შერვაშიძე, გ.წერეთელი, ა.აფაქიძე, ე.გამყრელიძე, თ.გამყრელიძე, გ.გველესიანი, მ.ზაალიშვილი, ა.თავხელიძე, გ.თევზაძე, გ.კვესიტაძე, თ.კოპალეიშვილი, ჯ.ლომინაძე, მ.ლორთქიფანიძე, პ.მარგველაშვილი, ჯ.მებონია, რ.მეტრეველი, ო.ნათიშვილი, მ.ნიორაძე, ვ.ოკუჯავა, თ.ონიანი, მ.სალუქვაძე, გ.სანაძე, თ.სანაძე, ვ.სართანია, ი.ფრანგიშვილი, ნ.ქარქაშაძე, რ.ქვათაძე, ბ.ჭილაძე, ნ.ცინცაძე, გ.ვ.ციციშვილი, გ.შ.ციციშვილი, გ.ჩოგოვაძე, გ.ხარაძე, თ.ხუროძე, რ.ხუროძე, ა.ხელაშვილი, რ.ხეცურიანი, ო.ჯაფარიძე, ლ.ალექსიძე.*

**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ატარებს სასწავლო კურსს**

**ინგლისური ენა იურისტებისათვის**

სწავლა ფასიანია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატებს.

საბუთების მიღება ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, 2004 წლის 15 აპრილამდე.

**მის.: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რუსთაველის 30 (იუსტიციის სამინისტრო)**
**ტელ: 98-42-69, 75-83-32**
**მობ: 899 208 708**
**ელ: ფოსტა: T.C.J@justice.gov.ge**

# არქიტექტორები ზოდელავას კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ

*თბილისის არქიტექტურის სამსახურში არქიტექტორთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულმა გუშინდელმა სხდომამ საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა. "რატომ მოგვიწვიეთ და რა მიზანს ემსახურებოდა ეს შეკრება, ვერ გავიგეთ", - გაღიზინებას არ მალავდა არქიტექტორთა ნაწილი. სხდომის ინიციატორთა განცხადებებმა ქალაქის მერიც გააღიზიანა.*

ნანა ქადაგიშვილი

არქიტექტორთა საინიციატივო ჯგუფმა საზოგადოებას "იანვრის დეკლარაციით" გააცნო თავი. მათ დეკლარაცია საკრებულოს წარუდგინეს და ქალაქმშენებლობის საქმეში თანამშრომლობა შესთავაზეს. **"არქიტექტურული საქმიანობა უნდა იყოს ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი. ამისთვის კი საჭიროა თბილისის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაცია, მისი მაღალპროფესიონალური და პატიოსანი კადრებით დაკომპლექტება და მათთვის ნორმალური ხელფასების გადახდა. უნდა შევისწავლოთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება, მათი კანონმდებლობა ქალაქების განვითარების დარგში. ობიექტურად უნდა შევაფასოთ თანამედროვე ტენდენციები და მოთხოვნები"**, - წერია "იანვრის დეკლარაციაში".

მთავარი პრობლემა კი, რაზეც გუშინდელი სხდომის ინიციატორებმა ყურადღება გაამახვილეს, არქიტექტურის დარგში გამეფებული კორუფციაა. **"კარგად ვიცით, რაც ხდება მერიასა და მის არქიტექტურის სამსახურში და ისიც ვიცით, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. ქალაქის მერიის სამსახურები და არქიტექტორთა ნაწილი დღემდე ურთიერთშეთანხმებით მოქმედებენ და კორუფციულ ორგანიზმს წარმოადგენენ. მათ სათავეში ვანო ზოდელავა უდგათ,"** - საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ქალაქის მერის მიერ რამდენიმე დღის წინათ მიღებული გადაწყვეტილებაც გააპროტესტეს. **"ზოდელავამ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილეები თანამდებობიდან პრემიერის დანიშვნამდე გაათავისუფლა. ეს კი დედაქალაქის შესახებ კანონს ეწინააღმდეგება. კანონის მიხედვით, ეს უფლება პრემიერს აქვს"**, - განაცხადეს საინიციატოვო ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომელთა შორის არქიტექტურის სამსახურის უფროსის ახლად გათავისუფლებული მოადგილეცაა - თემურ ჯაფარიძე. თუმცა, როგორც ქალაქის მერი გვარწმუნებს, მას კანონის საწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებია.

**"მათ გათავისუფლების შესახებ განცხადებები თვითონ ჰქონდათ დაწერილი და ეს განცხადებები დავაკმაყოფილე. სხვათა შორის, მათი გათავისუფლება, თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილმაც მოითხოვა"**, - განგვიცხადა ზოდელავამ.

არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დიმიტრი მოსულიშვილმა არქიტექტურის სამსახურის რეფორმის იდეა მოიწონა და კოლეგებს პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა აღუთქვა. **"გეთანხმებით, რომ სამსახურის რეორგანიზაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს. გპირდებით, კოლეგებისა და საზოგადოების აზრს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას გავითვალისწინებ და ყველა ობიექტი საჯარო განხილვის საგანი გახდება"**, - განაცხადა მოსულიშვილმა.



*საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები.*

არქიტექტორთა ნაწილი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელთა აქტიურობამ დააეჭვა. **"აქამდე სად იყვნენ; დღეს გაიგეს, რომ მერიასა და არქიტექტურის სამსახურში კორუფციაა? ეჭვი ჩნდება, რომ მათ აქტიურობას პირადი დაინტერესება უდევს საფუძვლად"**, - აცხადებენ არქიტექტორები.

საინიციატივო ჯგუფი კი იანვრის დეკლარაციის პრინციპების დასამკვიდრებლად და არქიტექტურის დარგში არსებული უკანონობის აღმოსაფხვრელად ბრძოლას განაგრძობს და საზოგადოების მხარდაჭერას ითხოვს.

# მოგვმართეთ შუამავლების გარეშე

*უმწეო მოსახლეობის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე განცხადებების განხილვის კომისიას 14 აპრილს მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. კომისია სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში, ორი თვეა, მუშაობს და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. თუმცა, ამჯერად უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო მუშაობის გამჭვირვალობა, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მესვეურებმა ჟურნალისტები თავად მიიპატიჟეს.*

ნონა მაისურაძე

ფონდის გენერალურმა დირექტორმა ლადო ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ კომისიის წევრები მსაჯულების როლს ასრულებენ და განცხადებების განხილვის შემდეგ ლადო ჭიპაშვილს წარუდგენენ იმ პაციენტების სიას, ვისაც კომისიის გადაწყვეტილებით, დახმარება უნდა აღმოუჩინონ.

ლადო ჭიპაშვილი: **"მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება მკვეთრად გაუმჯობესდა და ჩვენ მიმდინარე დავალიანება არ გვაქვს (ვაფინანსებთ 100%-ით), უნდა ვაღიაროთ, რომ არსებული თანხა ბევრად ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც მოსახლეობას სჭირდება. ბევრი ადამიანი დაგვრჩება დაფინანსების გარეშე და ამ პრობლემას ვერ გავექცევით, რადგან 130-ჯერ მეტი თანხაა საჭირო იმისთვის, რომ სათანადო, ხარისხიანი მკურნალობა ჩავატაროთ. აღნიშნული პროგრამა კვლავაც გაგრძელდება. ახალი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ იმ ღონისძიებების გატარებას ვფიქრობთ, რაც დაგვეხმარება ფონდში არსებული დაუსრულებელი რიგების შემცირებაში. ვის სჭირდება დახმარება და ვის - არა, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი კი არა, კანონი უნდა განსაზღვრავდეს. სახელმწიფო სამედიცინო პროგრამის ფარგლებში უნდა ფინანსდებოდეს კონკრეტული ნოზოლოგიები, რაც თავიდან აგვაცილებს ფონდში არსებულ უამრავ პრობლემას.**

**2003 წლის ჯანდაცვის ბიუჯეტთან შედარებით, რაც 65 მილიონ ლარს შეადგენდა, 2004 წლის ბიუჯეტი გაცილებით მეტ თანხას ითვალისწინებს - 80 მილიონ ლარს, რაც ბევრად მეტი უმწეო ადამიანის დახმარების საშუალებას მოგვცემს".**

ვატო სურგულაძე: **"უმწეოთა დახმარების პროგრამასთან არსებული კომისიისთვის პრიორიტეტული ბავშვების, პენსიონერების და ინვალიდების დახმარებაა, თუმცა, თუ თანხა მოგვრჩება, სხვა კატეგორიების მკურნალობასაც ვაფინანსებთ. სამწუხაროდ, თანხა ლიმიტირებულია და თვეში იგი 360 000 ლარს არ აღემატება, რის გამოც, ბევრი განცხადება დაუკმაყოფილებელი გვრჩება. ერთ კომისიაზე, დაახლოებით, 100 000 ლარის გახარჯვის უფლება გვაქვს. მასში უცხოეთში მკურნალობის დაფინანსებაც მოიაზრება. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ მხოლოდ ბავშვების მკურნალობას ვაფინანსებთ და ისიც იმ შემთხვევბს, როდესაც ვიცით, რომ მკურნალობა შედეგიანი იქნება. ასე რომ, ზოგჯერ ერთ მოქალაქეზე საკმაოდ დიდი ოდენობის თანხის გადახდა გვიწევს. დღეს განვიხილეთ 5 წლის გოგონას მკურნალობის საკითხი, რომელიც ბავშვთა სახლში ცხოვრობს და სმენასთან დაკავშირებით რთული პრობლემა აქვს. საჭიროა 26 000 ლარის ღირებულების ინპლანტანტი. ჩვენ უფლება არ გვაქვს, ეს განცხადება არ დავაკმაყოფილოთ".**

სასიამოვნოა, რომ, წინა წლებისგან განსხვავებით, ფონდის მიერ გაცემულ საგარანტიო წერილს ფასი დაედო. ყველა კლინიკა უპრობლემოდ იღებს "საგარანტიოს" მფლობელ პაციენტებს, რადგან საჭირო თანხა ორი კვირის ვადაში ირიცხება.

ფონდის მესვეურთა განცხადებით, კომისია სერიოზული დატვირთვით მუშაობს და აქ კონკრეტული გარიგებები გამორიცხულია. ფონდის პირველ სართულზე გამოკრულია განცხადება ყველა დახმარების მსურველი, გაჭირვებული ადამიანის საყურადღებოდ - "მოგვმართეთ შუამავლების გარეშე და საქმეში ტყუილად ნუ ჩარევთ ზემდგომ ორგანოებს, გავლენიან პარტიულ პირებს, რადგან ეს პერაქტიკა ახალ საქართველოში აღარ გაჭრის".

# "ლეიბორისტების" მორიგი პროტესტი

*მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა პარიზული ვოიაჟი დადებითად შეაფასა და თბილწყალკანალის ფრანგული კომპანიის "ჯენერალ დეზოსთვის" გადაცემა მოიწონა, "ლეიბორისტული" პარტიის წევრები ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ობიექტების გასხვისებაზე ალაპარაკდნენ. გუშინ საკრებულოს იურიდიული კომისის თავმჯდომარემ, ლეიბორისტმა კახა ძაგანიამ თბილწყალკანალის გასხვისების საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.*

თამარ დვალი

იმის მიუხედავად, რომ საკრებულოს წევრები გამუდმებით იმეორებენ, - თბილწყალკანალს კი არ ვასხვისებთ, კომპანია "ჯენერალ დეზოს" მართვის უფლებით გადავცემთო, - "ლეიბორისტებს" ეს მაინც არ სჯერათ და მორიგ საგანგაშო პრესკონფერენციას მართავენ. ისინი ხელისუფლებას იმ თანხების დაზოგვას სთხოვენ, რომელსაც საზღვარგარეთულ ვოიაჟებსა და ოფისების მოწყობაში ხარჯავენ.

**"ახალი ხელისუფლება ხომ ახალი სტრატეგიითაა მოსული, კეთილი ინებოს და სახელმწიფო ობიექტები შეინარჩუნოს. ნუ დახარჯავს ფულს თავისი სიამოვნებისთვის და ეს თანხები სტრატეგიული ობიექტების რეაბილიტაციას მოახმაროს. ჩვენ პარტიას ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა აქვს. საკრებულოში კი აცხადებენ, რომ თბილწყალკანალის გასხვისება არ ხდება, მაგრამ იგი მხოლოდ ქაღალდზე იქნება ჩვენი, რეალურად ფრანგების გამოდის. თუ ჩვენი ხელისუფალნი მიიჩნევენ, რომ უცხოელები უკეთესად მართავენ ყველაფერს, მაშინ ხელისუფლებაც იმათ დაუთმონ,"** - აცხადებს კახა ძაგანია.

შრომის პარტიის წევრები თვლიან, რომ, თუკი ასეთი სტრატეგიული ობიექტების სათავეში საჯარო მოხელეები დაინიშნებიან, ისინი უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ, ვიდრე - კერძო კომპანიები. **"ხომ შეიძლება, "ჯენერალ დეზომ" რაიმე შეცდომა დაუშვას და მილიონობით ადამიანი მოწამლოს? ამისთვის მას, ჯარიმის სახით, მხოლოდ ორი მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. ეს კი ამხელა კომპანიისთვის, თითქმის, არაფერია"**, - ამბობს ძაგანია.

კითხვაზე, - მსგავსი შეცდომა ქართულ მხარესაც რომ მოუვიდეს, ის რა თანხას გადაიხდის ან რა მეთოდით დაისჯება, - ძაგანია ასე პასუხობს: ასეთ შემთხვევაში საჯარო მოხელეს უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება და, შეიძლება, მას მუდმივი პატიმრობაც კი მიესაჯოს. როგორც ჩანს, ლეიბორისტებს მხოლოდ განსხვავებული დასჯის მეთოდები აქვთ მოფიქრებული, მომხმარებელი კი ორივე შემთხვევაში დაზარალებული რჩება.

შეგახსენებთ, რომ თუკი ხელშეკრულება გაფორმდა, ფრანგული კომპანია "ჯენერალ დეზო" თბილწყალკანალის მართვის უფლებას 10 წლის ვადით ჩაიბარებს. ამისთვის იგი მსოფლიო ბანკიდან, კრედიტის სახით, 25 მილიონ დოლარს მიიღებს. მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. ქართული მხარე საბოლოო გადაწყვეტილებას მაისის ბოლოს მიიღებს.

# საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობას ბორჯომის რაიონის სოფ. დგვარის მოსახლეობის განცხადება

მოგახსენებთ, რომ ბორჯომის რაიონის სოფ. დგვარი მდებარეობს კატასტროფულად დამეწყერებულ ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობა შედგება 120 კომლისაგან. სახლების 98% დაშლილი და საცხოვრებლად სახიფათო მდგომარეობაშია. ჯერ კიდევ 1989-90 წლებში რესპუბლიკის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიურმა ექსპედიციამ, შემოწმების შედეგად დაადასტურა სოფლის ტერიტორიის უმაღლესი კატეგორიის მეწყერიანობა, რის შედეგადაც რაიონის მაშინდელმა ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, დააყენა საკითხი სოფლის მოსახლეობის აუცილებრივ გადასახლების შესახებ. მაგრამ, იმჟამად, როცა ქვეყანა აირ-დაირია, ჩვენთვის აღარავის ეცალა. ამჟამად ქვეყანა დაწყნარდა და დავაყენეთ ხელახლა საკითხი სოფელში არსებული პრობლემების გამო. ამდაგვარ პრობლემებს დაემატა ის ფაქტიც, რომ ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენი გადის ჩვენი სოფლის ტერიტორიის ერთკილომეტრიანი ზონის შიგნით 300-800 მეტრის ფარგლებში და კვეთს სოფლის ტერიტორიის იმ სათავეს, საიდანაც იწყება დამეწყერება.

აღნიშნული ნავთობსადენის გაყვანა დამეწყერებულ ტერიტორიაზე,რა თქმა უნდა, სოფლის ტერიტორიას დამატებით ზიანს მიაყენებს.

გასულ წელს ყოფილმა პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება №525, 2003 წ. X მაისი "ბორჯომის რაიონი, სოფ. დგვარის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ". შესაბამისი უწყების სპეციალისტების მიერ შემოწმების შედეგად დაფიქსირდა, რომ სოფლის ტერიტორიის მეწყერიანობის აქტიურობა უმაღლეს და უკანასკნელ ფაზაშია, ნიადაგი დაპობილი და ბელტებადაა ქცეული, ნაპრალები დღითიდღე ფართოვდება. სოფელს განუცხადეს, რომ ესაჭიროება სასწრაფო გასახლება, ევაკუირება (ერთბალიანი მიწისძვრის შემთხვევაში სოფელი ჩაიძირება). ფაქტი სახეზეა. სოფლის გარშემო ყოველგვარი ფაქტები დაფიქსირდა ნავთობსადენის მშენებარე კომპანიების, კერძოდ, ბრითიშ-პეტროლიუმის წარმომადგენლების და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, რომ სოფელი დგვარი ერთ-ერთ მტკივნეულ დასახლებადაა აღიარებული იმ 78 დასახლებულ მოსახლეობას შორის, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს ტერიტორიაზე, ნავთობსადენის მაგისტრალის გასწვრივ.

პრობლემა პრობლემად დარჩა და პრაქტიკული ნაბიჯი ჯერაც არ გადადგმულა. ახალი ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი უკვე ჩავაყენეთ საქმის კურსში და ველოდებით პასუხს.

ჩვენ კი ჩვენმა გაჭირვებამ იძულებული გაგვხადა, გვეცნობებინა თქვენთვის ჩვენი გასაჭირი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყოფილი ხელისუფლების ორგანოებმა და კომპანიების (კორპორაციის) წარმომადგენლებმა დაგვიმალეს პროცედურებით დადგენილი ვალდებულებები, რომლებიც აკისრიათ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან. თავიდანვე არ გვაწვდიდნენ ინფორმაციას. აგიტაცია-პროპაგანდისთვის ჩვენთვის არავის მოუცლია. პროექტი ისე განახორციელეს, ჩვენ საქმის კურსში არ ჩაგვაყენეს. სოფელი დგვარი არსად არ ჩანდა და არც არსად იყო ხსენებული.

საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი მუხლებიდან გამომდინარე, ირღვევა ის უფლებები, რომელიც ეხება იმ საშიშროებას, რაც ემუქრება ჩვენს საცხოვრებელ გარემოს. სოფლის მოსახლეობა მოქცეულია მძიმე სოციალურ და ეკონომკიურ სიდუხჭირეში, პანიკაში, ფსიქოლოგიურ სტრესებში.

აქედან გამომდინარე, იძულებულნი ვხდებით მოგმართოთ თხოვნით და დარწმუნებული ვართ დაგვიდგებით გვერდში, მიიტანთ გულამდე ჩვენს სატკივარს, დასვით საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე და გამოგვიყვანეთ მდგომარეობიდან. მოსახლეობას დაღუპვა ელოდება მომავალში, ეს გარდაუვალია.

გამოგიტყდებით: სოფლის მოსახლეობა ერთსულოვნად ვაცხადებთ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ მოგვარდეს ჩვენი პრობლემები, მაშინ იძულებულნი გავხდებით, ნავთობსადენთან მოვაწყოთ მშვიდობიანი, სამართლიანი საპროტესტო აქცია.

განცხადება დაწერილია მთელი სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით.

**ხელს აწერს 120 კომლი**

# სლობოდან მილოშევიჩი ბილ კლინთონისა და ტონი ბლერის მოწმედ დაკითხვას ითხოვს

*იუგოსლავიის ყოფილმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს წარუდგინა იმ პირთა სია, რომელთა მოწმის სახით დაკითხვასაც ითხოვს სასამართლო პროცესზე.*





*ბილ კლინთონი, სლობოდან მილოშევიჩი და ტონი ბლერი.*

მილოშევიჩის მოწმეთა სიას სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინთონი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი. კოსოვოს კონფლიქტის დროს, 1999 წელს, ორივე მათგანი აქტიურად უჭერდა მხარს ნატო-ს ჯარების მიერ იუგოსლავიის ტერიტორიის დაბომბვის დაწყებას.

როგორც ცნობილია, მილოშევიჩს ბრალს სდებენ 90-იან წლებში, ყოფილ იუგოსლავიაში სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას, ბოსნიაში, ხორვატიასა და კოსოვოში გენოციდის განხორციელებაში, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენაში. თავად მილოშევიჩმა არაერთხელ თქვა უარი, წარდგენილ ბრალდებებში თავი ან დამნაშავედ ეცნო, ან უდანაშაულოდ, ასეთ სიჯიუტეს ყოფილი პრეზიდენტი იმით ხსნის, რომ იგი ჰააგის ტრიბუნალს ლეგიტიმურად არ ცნობს. თავის მხრივ, სასამართლომ მილოშევიჩის ეს პოზიცია განსასჯელის მხრიდან წარდგენილი ბრალდებების არაღიარებად მიიჩნია.

ჰააგის ტრიბუნალმა, რომელიც სპეციალურად სამხედრო დანაშაულების განსასჯელად შეიქმნა, მილოშევიჩის საქმის განხილვა 2002 წლის თებერვალში დაიწყო. სასამართლო პროცესი ხშირი შესვენებებით მიმდინარეობს. ამის მიზეზი, ძირითადად, თავად განსასჯელია: მილოშევიჩს გული აწუხებს, ხშირად უწევს წნევა და ადვილად ილლება.

შეფერხებებით მიმდინარე სასამართლო პროცესზე იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმის წარდგენა პროკურორებმა მხოლოდ წელს, 25 თებერვალს დაასრულეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მათ დაჩქარებული წესით იმუშავეს, რადგან მოსამართლე რიჩარდ მეი პოსტის დატოვებას აპირებს - ისიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

ბრალდების წარმომადგენელთა შემდეგ დაცვის ჯერი დადგა. იურიდიული განათლების მქონე სლობოდან მილოშევიჩი საკუთარ დაცვას თავადვე ახორციელებს. პროცესის მიმდინარეობისას მან ბრალდების არაერთ მოწმეს მოუწყო ხანგრძლივი ჯვარედინი დაკითხვა.

საკუთარი დაცვის განხორციელებას სლობოდან მილოშევიჩი 8 ივნისს შეუდგება. მოწმეთა სია, რომელთა დაკითხვაც მას აუცილებლად მიაჩნია, 1631 ადამიანისგან შედგება. ეს მაშინ, როცა პროკურორებმა ორი წლის მანძილზე ამაზე ხუთჯერ ნაკლები ადამიანი დაკითხეს.

ბილ კლინთონისა და ტონი ბლერის გარდა, მილოშევიჩი ითხოვს პროცესზე მოწმის სახით ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მინისტრის მადლენ ოლბრაიტის დაკითხვას - იგი ბოსნიის ომის დროს გაერო-ში ამერიკის ელჩი გახლდათ. ასევე მილოშევიჩის სასურველ მოწმეთა შორისაა ბრიტანეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი, თუმცა ყველა მათგანს მოუწევს თუ არა ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარდგომა, ჯერ უცნობია.

"ბი-ბი-სის" კორესპონდენტის ცნობით, მილოშევიჩის სიიდან სასამართლო პროცესზე გამოსაძახებელი მოწმეების არჩევა მოსამართლის პრეროგატივაა. ჰააგის ტრიბუნალის პრესმდივნის ჯიმ ლანდეილის განცხადებით: "სიის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მასში ჩამოთვლილი ყველა ადამიანი სასამართლოზე დაიკითხება".

ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდის მილოშევიჩის ერთ-ერთი ადვოკატი ზდენკო ტომანოვიჩი. მისი თქმით, მოსამართლე ვალდებულია, დააკმაყოფილოს სლობოდან მილოშევიჩის მოთხოვნა და უზრუნველყოს ყველა ჩამოთვლილი მოწმის მიერ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა.

*24 საათი*

# უშიშროების სამსახურის თანამშრომელი საკუთარ ეზოში მოკლეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინწინ, გვიან ღამით გორის რაიონის სოფელ ტინისხიდში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში მოკლეს უშიშროების სამინისტროს ოპერატიული მუშაკი იოსებ კობიაშვილი. მოკლულს მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მიყენებული სამი სასიკვდილო ჭრილობა აღმოაჩნდა. უშიშროების სამინისტროს თანამშრომელს ერთი ტყვია გულ-მკერდის არეში აქვს მოხვედრილი, დანარჩენი ორი კი - თავის არეში. მართალია, ცხედარს ექსპერტიზა ჯერ არ ჩატარებია, მაგრამ, როგორც წინასწარი მონაცემებით ირკვევა, თავდამსხმელებმა მას თავის არეში მიბჯენით ესროლეს. მომხდარი მკვლელობის საქმე, ჯერჯერობით, გაუხსნელია.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მოკლული იოსებ კობიაშვილი მარნეულის სამხედრო კონტრდაზვერვის განყოფილებაში მსახურობდა. რაც ყველაზე საინტერესოა, სამართალდამცველებმა მოკლულის შემოწმება-დათვალიერებისას მის შარვლის ჯიბეში კუსტარული წესით დამზადებული ავტომანქანის რამდენიმე გასაღები - ეგრეთ წოდებული "ატმიჩკები" იპოვეს.

**"პოლიცია მკვლელობიდან ათი წუთის შემდეგ უკვე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. ამოღებულია თავდამსხმელების მიერ დატოვებული ტყვიის მასრები, გულები. მოკლულის დათვალიერებისას მის ჯიბეში ისეთ ნივთებს მივაგენით, რომლებიც ავტომანქანების გატაცებისას გამოიყენება"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გორის რაიონის პროკურორმა რომან გვიშიანმა.

პროკურორის თქმითვე, მართალია, ჯერჯერობით რთულია იმის მტკიცება, რომ უშიშროების სამინისტროს მოკლული თანამშრომელი ნამდვილად მონაწილეობდა ავტომანქანების გატაცებაში და მისი მკვლელობაც სწორედ მის დანაშაულებრივ საქმიანობას უკავშირდება, თუმცა ვერსია, რომ უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი შურისძიების, ანგარიშსწორების ნიადაგზე მოკლეს, გორის რაიონის პროკურორს სარწმუნოდ მიაჩნია.

მომხდარ მკვლელობას ერთადერთი მოწმე ჰყავს. მკვლელობის თვითმხილველი მოკლულის ძმა გახლავთ, რომლელიც თავდამსხმელებმა სასტიკად სცემეს.

**"სახლში მარტო ვიყავი. მოულოდნელად რამდენიმე ნიღბიანი, შეიარაღებული ადამიანი შემოვარდა. მათ იარაღის მუქარით ფული მომთხოვეს. წინააღმდეგობა გავუწიე და მცემეს. თავდამსხმელებმა შემთხვევით დაინახეს ჩემი ძმა ეზოში რომ შემოდიოდა, მე თავი დამანებეს, ეზოში გაიქცნენ და ჩემს ძმას აუტეხეს სროლა. როგორც კი დარწმუნდნენ, რომ მოკლეს, მაშინვე გაიქცნენ"**, - ასეთი გახლავთ მოკლულის ძმის - ერთადერთი მოწმის - ჩვენების მოკლე შინაარსი.

ერთი სიტყვით, მომხდართან დაკავშირებით ერთ-ერთ ვერსიად ფულის გამოძალვის მცდელობა სახელდება. მეორე ვერსიის თანახმად კი, როგორც უკვე გითხარით, უშიშროების სამინისტროს ოპერატიული მუშაკი ავტომანქანებს იტაცებდა და მასზე შური იძიეს.

**"მკვლელობაში მონაწილე ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრეზე გარკვეული ინფორმაციები გაგვაჩნია. იმედი გვაქვს, საქმეს ძალიან ჩქარა გავხსნით. გამოძიება უშიშროების სამინისტროს მოკლული თანამშრომლის დანაშაულებში მონაწილეობის ვერსიასაც მაქსიმალურად გადაამოწმებს და ყველაფერს ნათელი მოეფინება"**, - გვითხრა გორის რაიონის პროკურორმა რომან გვიშიანმა.

# მკვლელობა, რომელიც შურისძიების ნიადაგზე მოხდა

გუშინ, გვიან ღამით ფონიჭალის დასახლებაში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს 31 წლის ჯიმშერ მჭედლიანი.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მამუკა ცაავას განცხადებით, ჯერჯერობით დაუდგენელმა პიროვნებებმა მჭედლიანს "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან რამდენჯერმე ესროლეს. ერთი ტყვია მას ქვედა ყბაში ჰქონდა ჩარჩენილი. მჭედლიანი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა, ამჟამად გვამზე დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

პროკურორის თქმით, ჯიმშერ მჭედლიანი, სავარაუდოდ, შურისძიების მსხვერპლი გახდა. ამის თქმის საფუძველი გახლავთ მოკლულის ოჯახის წევრების წარსული. მჭედლიანის ერთ-ერთმა ძმამ დაახლოებით ექვსი თვის წინ, კოდორის ხეობაში, ვინმე ჩოფლიანი მოკლა. ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული მკვლელობაც სვანურ წეს-ჩვეულებას უკავშირდებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ კი მეორე ძმამ ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოქალაქე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. ორივე მკვლელობა გახსნილია და მჭედლიანის ძმები ამჟამად დაპატიმრებულები არიან.

მამუკა ცაავას განცხადებით, ჯიმშერ მჭედლიანის მკვლელობა სწორედ აღნიშნულ მკვლელობებს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა, სამართალდამცველები ნაკლებად ვარაუდობენ, რომ შურისძიება აზერბაიჯანელების მხრიდან მომხდარიყო, ამიტომ პროკურატურაში გუშინდელი მკვლელობა ჩოფლიანების ახლობლების მხრიდან სისხლის აღების წეს-ჩვეულებით ახსნეს.

ქვემო ქართლის პროკურორის ვარაუდით, რომელიც ოპერატიულ ინფორმაციას ემყარება, ჯიმშერ მჭედლიანის მკვლელობა უახლოეს პერიოდში გაიხსნება.

არ არის გამორიცხული, რომ გამოძიებას კონკრეტული ეჭვმიტანილიც ჰყავდეს, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მისი ვინაობის დასახელებიგან პროკურატურაში თავს იკავებენ.

ჯიმშერ მჭედლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში რამდენიმე საათში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 109-ე - დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით.

შემთხვევის ადგილზე გასულმა სამართალდამცველებმა ტყვიის რამდენიმე მასრა ამოიღეს, რაზეც დანიშნულია ბალისტიკური ექსპერტიზა. გამოძიებას იმედი აქვს, რომ დადგინდება "მაკაროვის" პატრონის ვინაობაც და ისიც, რა გზით მოხვდა იგი მკვლელების ხელში.

# ფინანსური პოლიცია უკანონოდ შემოტანილ ტვირთებს ავლენს

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც საქართველოში კონტრაბანდული საქონლის მასობრივად შემოტანა შეძლებისდაგვარად შეიზღუდა, კონტრაბანდისტები ტვირთს საზღვართან აგროვებენ და მცირე პარტიებად შემოაქვთ. ამ საქმეში კი იყენებენ ე.წ. სარანჩებს, გადაკეთებულ, ძველი "გაზ-24"-ის ტიპის ავტომანქანებს, რომელთა დაკავებაც საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული; კერძოდ, ამ მანქანას ადვილად შეუძლია წინაღობების გარღვევა.

სამართალდამცველებს გადამჭრელი ზომების მიღება უწევთ. ამჯერად ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის განყოფილების თანამშრომლებმა კონტრაბანდული პროდუქციით დატვირთულ ამგვარ "სარანჩებს" ალგეთის საგზაო გამშვები პუნქტი შლაგბაუმით ჩაუკეტეს. წინ მიმავალი ერთ-ერთი ასეთი ავტომანქანა შლაგბაუმს ძლიერი სისწრაფით დაეჯახა, გაანგრია და გაიქცა.

გზის გათავისუფლებით დანარჩენმა მანქანებმაც ისარგებლეს. მათ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები დაედევნენ. ერთ-ერთმა მათგანმა სიცოცხლის რისკის ფასად საკუთარი ავტომანქანა წინ ჩაუყენა კონტრაბანდიტებს და მხოლოდ ამ გზით შეძლო მათი შეჩერება. დაკავებულია დიდი რაოდენობით კონტრაბანდული სამუხრუჭე და ძრავის სითხეები.

გარდა ამისა, აღმოჩენილია აღურიცხავი დიზელის საწვავი და სააღდგომოდ შემოტანილი კონტრაბანდული კვერცხი. ამ პროდუქციის მესაკუთრეებს ჯარიმის გადახდა დაეკისრათ.

თავის მხრივ, ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილებამ დიდი რაოდენობით ნავთობდისტილტები აღმოაჩინა. მათი ინფორმაციით, ზუგდიდში ნავთობპროდუქტები უკანონოდ შემოდის აფხაზეთიდან.

კერძოდ, ადგილობრივი ფინანსური პოლიციის მიერ ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში გამოვლენილია შპს "პარტნიორის" ავტოგასამართ სადგურში არსებული 6 ათას ლიტრზე მეტი აღურიცხავი ბენზინი და დიზელის საწვავი.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ავტოგასამართ სადგურში კი გამოვლენილია 20 ათას ლიტრზე მეტი აღურიცხავი ბენზინი. ამავე სოფელში მდებარე საცავში ასევე უკანონოდ ინახებოდა 15 ათასი ლიტრი აღურიცხავი ბენზინი.

მართალია, ნავთობპროდუქტების მფლობელები დაპატიმრებას არ ექვემდებარებიან, მაგრამ მათ, ბიუჯეტის კუთვნილ გადასახადებთან ერთად, სოლიდური ჯარიმების გადახდაც მოუწევთ.

*24 საათი*

# ახალი გზა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შემოსაღწევად

ცოტა ხნის წინათ საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიაში უკანონოდ შესული გემების დაკავების გახშირება ქართველ მესაზღვრეთა მიმართ ხელისუფლების მხრიდან მადლიერებას იწვევდა. როგორც ცნობილია, 2003 წელსა და 2004 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონო შეჭრის ბრალდებით დაკავებულია აფხაზეთიდან ან აფხაზეთისკენ მიმავალი ათამდე გემი, მათგან უმრავლესობა თურქული დროშით დაცურავდა.

თუმცა, ბოლო ერთი თვეა, რაც თურქეთის დროშით მცურავი ტვირთსაზიდი გემების უკანონო შეჭრის ფაქტები აღარ დაფიქსირებულა. როგორც აღმოჩნდა, ამის მიზეზი სულაც არ გახლავთ თურქული გემების მეპატრონეთა მხრიდან კანონმორჩილება. მათ, უბრალოდ, აფხაზეთში შესვლის ახალი გზა გამონახეს.

კერძოდ, რუსეთის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით, გემები რუსეთის საზღვაო საზღვრიდან 2-3 მილის დაშორებით დაცურავენ, სოჭის გავლის შემდეგ კი ღია ზღვაში გადიან და ასე ახერხებენ აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში შეღწევას.

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში იუწყებიან, რომ მათ ამის შესახებ უკვე აცნობეს რუსეთის სანაპირო დაცვის ფედერალურ სამსახურს, თუმცა მათი პასუხი, ჯერჯერობით, უცნობია.

ამ დროს კი უკვე გადაწყდა უკრაინული გემის - "ნიარას" ბედი, რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოჭრისა და უკანონო თევზჭერის ბრალდებით ოჩამჩირესთან თებერვალში დააკავეს - გემი უახლოეს ხანში აუქციონზე გაიყიდება.

გემის მეპატრონეები ქართულმა მხარემ 235 ათასი ლარით დააჯარიმა, რაც მათ ფოთის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრეს, სასამართლომ კი ჯარიმა ძალაში დატოვა.

უკრაინულ მხარეს უფლება ჰქონდა ფოთის შემდეგ ქუთაისის საოლქო სასამართლოსთვისაც მიემართა, თუმცა ეს აღარ გაუკეთებია. ამის შემდეგ გემი იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტმა კონტროლზე აიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ნიარა"აუქციონზე უნდა გაიყიდოს.

ორი კვირის წინათ ფოთში გამართულ აუქციონზე თურქული ტანკერი "ემმა" იყო გატანილი. "ემმას" დაკავებაც ანალოგიური ბრალდებებით მოხდა და იგი 142 ათას ლარად გაიყიდა.

*"მედია-ნიუსის" მიხედვით*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** ქუთაისში სამართალდამცველებმა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება-შენახვისათვის ადგილობრივი ლაშა ჯიშკარიანი დააკავეს. მისი სახლის ჩხრეკის დროს პოლიციელებმა ერთი ცალი ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, უცხოური წარმოების რევოლვერი და 50 ცალი მცირეკალიბრიანი შაშხანის ვაზნა ამოიღეს. ჯიშკარიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 265-ე და 236-ე მუხლებით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, დილის 8 საათიდან კრწანისის რაიონის მოსახლეობამ თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე ავტომაგისტრალი გადაკეტა. ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მამუკა ცაავას განცხადებით, გზის გადაკეტვით შეფერხებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. მოსახლეობა ნავთობსადენის მშენებლობისას გამოყოფილ საკომპენსაციო თანხებს ითხოვს. მისივე თქმით, საოლქო პროკურატურა ამ ფაქტს სამართლებრივ შეფასებას მისცემს და კანონით გათვალისწინებულ ზომებს მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (სხვისი ქონების მითვისება) ძებნილი, 27 წლის მარიუს დაუნისი. დაუნისი მოთავსებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 იზოლატორში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს საჩხერეში მცხოვრები, 19 წლის ირაკლი ანასაშვილი, რომლისგანაც ამოიღეს 7 გრ მარიხუანა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის საჩხერის ქვეგანყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** დააკავეს გორის რაიონის სოფელ ბერბუკში მცხოვრები, 47 წლის თამაზ სარიშვილი, რომელმაც 11 აპრილს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ფეხში დაჭრა ძმისშვილი გიორგი სარიშვილი. ნომერწაშლილი ავტომატი "აკს" ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს ფოთის შს სამმართველოს ნაბადის ქვეგანყოფილების უფროსი, ფოთში მცხოვრები, 41 წლის პოლიციის მაიორი ზაურ კინტირაია, რომელმაც ფოთში მდებარე კაფე "სიმენს კლუბის" დირექტორს ნ. ჩომახიძეს ქრთამის სახით გამოსძალა 140 ლარი. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამჯერ ნასამართლევი, 33 წლის დავით ნაცვლიშვილი პოლიციელებმა მეოთხედ ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ნაცვლიშვილს ბრალი ედება მუხიანის დასახლების მე-2 მიკრორაიონში მდებარე მაღაზია "როსში" ამ მაღაზიის დირექტორ, 41 წლის ფატი თეზელაშვილისა და მისი თანამშრომლების სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ნაცვლიშვილს 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სამტრედია.** სამტრედიაში ავტოსაგზაო შემთხვევას ხუთი წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა. ინციდენტი სოფელ გომში მოხდა. "BMW"-ს მარკის ავტომანქანა, რომელსაც ამავე სოფელში მცხოვრები ბადრი ბარამიძე მართავდა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ბოძს შეეჯახა. შედეგად მძღოლის ვაჟიშვილი, 1998 წელს დაბადებული კახა ბარამიძე ადგილზე გარდაიცვალა. სხეულის მძიმე დაზიანება მიილო კიდევ ერთმა მგზავრმა - 16 წლის ზურაბ ქავთარაძემ. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ, დილით, ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოში ყაჩაღობა მოხდა. დანებით შეიარაღებული სამი დაუდგენელი პიროვნება თავს დაესხა დავით ჯანელიძის ოჯახს. ბოროტმოქმედებს სახლში ოჯახის ახლობელი ნონა შუბითიძე დახვდა, რომელსაც მობილური ტელეფონი და 100 ლარი წაართვეს. გარდა ამისა, ყაჩაღებმა სახლიდან გაიტაცეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. მომხდართან დაკავშირებით ხონის რაიონის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლით აღძრა. **ინტერ-პრესი**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## აფხაზურ კლუბში



ლარისა სოტიევა და გევორქ ტერ-გაბრიელიანი აფხაზურ კლუბში.

გუშინ "აფხაზურმა კლუბმა" უმასპინძლა ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "international alert"-ის (საერთაშორისო განგაში) ევრაზიის პროგრამების მენეჯერს გევორქ ტერ-გაბრიელიანს და "ლტოლვილების კავკასიური კავშირის" თავმჯდომარეს ლარისა სოტიევას. ეს ორი ორგანიზაცია სხვადასხვა ჰუმანიტარულ პროგრამებს გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში ახორციელებს. სტუმრებმა სწორედ მათი საქმიანობის შესახებ ისაუბრეს.

"international alert"-ი აფხაზეთში 1998 წელს გამოჩნდა და აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენის პროგრამა დაიწყო. მას შემდეგ დაპირისპირებული მხარეების მრავალი შეხვედრაც მოაწყო. ისინი ეხმარებიან იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომლებიც "international alert"-ის სამშვიდობო ინიციატივებს იზიარებენ.

სტუმრებმა ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რამდენ საბავშვო ბაღს, სკოლასა და მოსწავლეთა სახლს ეხმარებიან. გამოიკვეთა ცხოვრების მძიმე სოციალური პირობები, მაგალითად ის, რომ ტყვარჩელელ ბავშვებს, მშობლების უსახსრობის გამო, ზღვა თვალით არ უნახავთ. არადა, იქამდე სულ 12 კილომეტრია.

*24 საათი*

## შეხვედრა ბერლინში

14-15 აპრილს ბერლინში ჩატარდება ევროპის პოლიტიკოსების შეხვედრა ქართული და აფხაზური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრებიან ისეთი ფიგურები, როგორებიც არიან ნირბერტ ბაასი (გერმანიის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის საკითხებში), გრეგ ოლიფანტი, ლორდი გარი ფო და სხვები. ქართულ მხარეს წარმოადგენენ პაატა ზაქარეიშვილი და თინიკო ხიდაშელი, აფხაზურს - მანანა გურგულია და ლიანა კვარჩალია.

როგორც პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, ევროპას აინტერესებს, რა ახალი რეალობა ჩამოყალიბდა არჩევნების შემდეგ საქართველოში აფხაზეთთან დაკავშირებით და რა შეიძლება შეიცვალოს აფხაზეთში არჩევნების შედეგად.

**"საქართველოდან, ჯერჯერობით, გადის მხოლოდ ეიფორიული ინფორმაცია "ვარდების რევოლუციასთან" დაკავშირებით, ამიტომ ევროპაში კრიტიკულად განწყობილი ხალხის აზრის მოსმენაც სურთ,"** - განაცხადა ზაქარეიშვილმა.

*24 საათი*

*ცხოვრებისეული ისტორიები*

## ერთი პარკი მშობლიური მიწა

მე ლია ტაბატაძე ვარ, სოხუმიდან. მინდა გიამბოთ ერთი საოცარი, უჩვეულო ამბავი, რომელიც ჩემს ნაცნობ ქალბატონს გადახდა თავს.

ის ქალბატონი ჩემი სოხუმელი მეზობელია. კარგი მეოჯახე, შრომისმოყვარე ქალი, შესანიშნავი ოჯახის და შვილების პატრონი. ისევე, როგორც სხვებს, მასაც მშობლიური სოხუმის დატოვება მოუხდა. მეათე წელია, იგი ფოთში ცხოვრობს, თავის ნათესავთან. ეს ამბავი კი, სოხუმის დატოვებიდან ერთი წლის თავზე გადახდა.

იგი ძალიან განიცდიდა აფხაზეთის დატოვებას. მშობლიურ კუთხეზე დარდმა ისე დარია ხელი, ისე განიცადა მომხდარი უბედურება, რომ დარდით ერთიანად ჩამოხმა და დაილია, სიკვდილის პირამდე მივიდა.

სხვას რომ ვერაფერს გახდა, თავის აფხაზ ნათესავს შეუთვალა: - როგორმე შემიყვანე ჩემს ეზოში, მომავლებინე იქაურობისთვის თვალი, თან იქიდან ცოტა მიწის წამოღება მინდაო.

აფხაზმა ნათესავმა მართლაც აუსრულა სურვილი: დახვდა ენგურის ხიდზე და გადაიყვანა აფხაზეთში.

ჩემი მეზობელი, თავისი ნათესავის თანხლებით, მაშინვე მშობლიურ სოფელში ჩავიდა, რომელიც სოხუმის მახლობლად იყო. მისი სახლი დაუზიანებლად იდგა, ფარდებიც კი ისევ იგივე ეკიდა ფანჯრებზე, მან რომ დატოვა. სახლში აფხაზების ოჯახი ცხოვრობდა.

სტუმრები - სახლის ნამდვილი პატრონი და მისი აფხაზი ნათესავი, სახლის ახალმა პატრონმა, აფხაზმა დიასახლისმა კარგად მიიღო და ისიც უთხრა: თქვენ ბიჭები არა გყავთ, თქვენი არავინ ომობდა და ამიტომ მიგიღეთ თბილადო.

ჩემმა მეზობელმა შეათვალიერა საკუთარი კარ-მიდამო, სახლი, თავისი ეზო. მერე ბოსტანში გავიდა, ერთი ცელოფანის პარკი აავსო მიწით და თავისი ეზოს მიწა თან წამოიღო - რომ მოვკვდები, გულზე დამაყარონო.

ამ ამბის მერე უკვე ცხრა წელი გავიდა: ის ქალი დღესაც ცოცხალია, კარგად არის და როგორც ყველაზე სათუთ, მოსაფრთხილებელ, ღირსახსოვარ ნივთს, ისე ინახავს აფხაზეთიდან, საკუთარი ეზოდან წამოღებულ ერთ პარკ მიწას.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი,*
*რადიოპროექტი –*
*"ცხოვრებისეული ისტორიები"*
*ხორციელდება ბრიტანული*
*საერთაშორისო ორგანიზაციის*
*"შერიგების რესურსების" მიერ.*
*ჩანაწერები მოგვაწოდა*
*რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".*


**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources


## დღეს ჩვენი მოკავშირე პროაფხაზური ძალებია

### ვის უნდა დაუჭირონ მხარი ქართველებმა აფხაზეთის არჩევნებში

*საქმე ეხება აფხაზეთში შემოდგომაზე დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს. მართალია, ეს არჩევნები არაკანონიერია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მასში მონაწილეობას იძულებით მიაღებინებენ გალში მცხოვრებ ქართველებსაც, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფ ეთნიკურ ამომრჩეველთა უმრავლესობას წარმოადგენენ (რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზე არიან აფხაზი ამომრჩევლები, მესამეზე - სომხები).*

*საქართველოსთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ გახდება არძინბას შემდეგ პრეზიდენტი. დღეს ამ პოსტისთვის აფხაზეთში ორი ურთიერთდაპირისპირებული ძალა იბრძვის. ერთია პრორუსული ძალა, მეორე - პროაფხაზური. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ვარაუდობს, პრორუსული ძალის გამარჯვება აფხაზებისა და ქართველებისთვის მართლაც აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვას ნიშნავს, ხოლო რუსეთისა და სომხეთისთვის - გამარჯვებას. ამასთან, პრორუსულ ძალებს უკავშირებენ რუსეთში ყველაზე გავლენიანი პიროვნების, საგანგებო სიტუაციათა მინისტრის სერგეი შოიგუს სახელს, რომელიც თვითმხილველთა ომისდროინდელი მოგონებით, ოფიციალური ქართველთმოძულე და სოხუმის დაცემის სულისჩამდგმელი ყოფილა.*

*ამიტომ, დღეს აფხაზეთის საკითხში ჩვენი, ქართველების მოკავშირე ლოგიკურად ხდება პროაფხაზური ძალა, რომელმაც, თუ სათანადო უნარს გამოვიჩენთ, უნდა მიიღოს კიდეც ქართველი ამომრჩევლის მხარდაჭერა. ჩვენ სწორედ მათთან ერთად უნდა გამოვგლიჯოთ აფხაზეთი პირიდან ჩრდილოეთის ვეშაპს.*

*იმის შესახებ, თუ ვინ არიან ეს ძალები და როგორი წინასაარჩევნო ვითარებაა შექმნილი აფხაზეთში, გვესაუბრება "შერიგების რესურსების" ექსპერტი პაატა*

ზაზა ფარუაშვილი

- საქართველოში, მართლაც, სერიოზული ცვლილებები ხორციელდება და ამას, თითქმის, ყოველდღიური ხასიათი აქვს, რასაც არ შეიძლება არ მიესალმო. მაგალითად, საინტერესო პროცესები განვითარდა აჭარასთან დაკავშირებით და ეს ძალიან კარგია, მაგრამ სხვა რეგიონული საკითხები, თითქოს, ჩრდილში მოექცა. საქმე ეხება აფხაზეთს, რომელიც არჩევნების ანუ დიდი ცვლილებების წინაშე დგას - არძინბა მიდის. ის არის აფხაზეთის გმირი, მაგრამ მისი ეპოქა მთავრდება.

**- ეს რას ნიშნავს, სხვა ვითარება შეიქმნება?**

- არძინბას წასვლას აფხაზებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მოჰყვეს (თითქმის იგივე, რაც მთლიანად საქართველოსთვის შევარდნაძის წასვლას). მთელი ქვეყნისთვის შედეგი, ალბათ, ერთ-ორ წელიწადში იქნება (შესაძლებელია, უფრო ადრეც), მაგრამ აფხაზები ამას მეორე დღესვე იგრძნობენ. არძინბასთან ერთად ასპარეზიდან გავა მთელი მისი კლანი, რომელიც მართავდა აფხაზეთს და რომლის შესუსტება ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ვინ მოდის სანაცვლოდ?**

- ამ ფონზე ხელისუფლებისაკენ მიიწევს რამდენიმე ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალა. ეს არის პრორუსულად განწყობილი **ანრი ჯერგენიას ჯგუფი**. ჯერგენია არის კაცი, რომელსაც აფხაზეთი სულაც არ ადარდებს და რომელიც აფხაზეთზე რუსეთის გავლენის შენარჩუნებას და გაძლიერებას ცდილობს. სხვა ჯგუფებშიც სჭარბობს პრორუსული ხასიათი, მაგრამ ჯერგენია ყველაზე გამოკვეთილია.

ხელისუფლებისთვის იბრძვის **"ამცახარაც"**, რომელიც მზად არის შეეკრას ყველას, ოღონდ მთავრობაში თავისი ადგილები დაიბრუნოს. მოგეხსენებათ, "ამცახარაში" არიან ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ხელისუფლებიდან ჯერგენიამ გამოყარა.

ერთი თვეა, რაც შეიქმნა პოლიტიკური მოძრაობა **"ერთიანი აფხაზეთი"**, რომელსაც არც არძინბას კრიმინალური კლანი მოსწონს და არც ჯერგენიას მეტისმეტი პრორუსულობა. მოძრაობაში გაერთიანდნენ ძალიან ცნობილი პოლიტიკოსები: შამბა, ბაღაბში, ლაკობა, ჯინჯოლია, მიქვაბია, აშუბა (პარლამენტის სპიკერი), და ლაჩაჩი ("ამცახარაში" ყოფილი ცნობილი ფიგურა). აფხაზეთში თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, დემოკრატიაო, ეს ხალხია.

კიდევ ერთი, შედარებით დემოკრატიული ფრთაა **"აიტაირა"** (აღორძინება), რომლის ლიდერი ანქვაბი იქნებოდა, ხუთწლიანი ცენზი რომ მოხსნილიყო. თუმცა, სოხუმში გაკეთებული ბოლო განცხადების - ცენზის მოხსნაში დაინტერესებული არა ვართო - მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მხრივ, ალბათ, აღარაფერი შეიცვლება.

**- რატომ ერიდებიან სოხუმში ცენზის მოხსნას?**

- ცენზის მოხსნის შემთხვევაში რუსეთიდან, ანქვაბის გარდა, კიდევ ორი ძლიერი ფიგურა შემოვიდოდა - ნუგზარ ხაშბა, სოხუმის ყოფილი მერი და რუსეთში დიდი გავლენის მქონე ადამიანის, საგანგებო სიტუაციების მინისტრის სერგეი შოიგუს მოადგილე და რუსეთის დუმის მდიდარი და გავლენიანი წევრი ოთარ არშბა.

**- არძინბას კანდიდატი ვინ იქნება?**

- არძინბამ ფსონი გააკეთა ყოფილ პრემიერ-მინისტრზე გაგულიაზე, რომელიც ახლა კანცელარიის უფროსია. ამ ნაბიჯიდან აშკარაა, რომ არძინბას კლანი ცდილობს, გაიყვანოს სუსტი მმართველი, რათა ფაქტობრივ მმართველად ისევ თვითონ მოგვევლინოს.

**- ამ ეტაპზე და ასეთ ვითარებაში ამომრჩეველზე რისი თქმა შეიძლება?**

- დღეს აფხაზეთში 45 ათასამდე აფხაზი, 40 ათასამდე სომეხი და, სულ ცოტა, 55 ათასი ქართველი ცხოვრობს. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის მიემხრობიან სომხები და ქართველები (აფხაზი ამომრჩეველი აუცილებლად დაიყოფა ნაწილებად).

საკმაოდ ხშირად დავდივარ სომხეთში და ისეთი სომეხი პოლიტიკოსი არ შემხვედრია, რომელსაც არ წაეტრაბახოს, ახლახან აფხაზეთში ვიყავიო. ანუ, რა ხდება? - სომეხი პოლიტიკოსები ინტენსიურად მუშაობენ აფხაზეთში მცხოვრებ სომეხ ამომრჩეველზე. ისინი ფლობენ სიტუაციას და ცდილობენ საკუთარი ინტერესები გაატარონ. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის არჩევნებზე სომხეთი ზეგავლენას მოახდენს რუსეთის სასარგებლოდ და მისი კანდიდატის გაყვანაში დაეხმარება.



პაატა ზაქარეიშვილი.

ქართველ ამომრჩეველზე კი ჩვენი პოლიტიკოსებიდან არავინ მუშაობს. არადა, არჩევნების საბოლოო შედეგზე ქართველი ამომრჩევლების ხმებს დიდი მნიშვნელობა ექნება. გასაგებია, რომ აფხაზეთის არჩევნები უკანონოა, მაგრამ ამ პროცესის იგნორირება ჩვენი მხრიდან მაინც არასწორი იქნებოდა, ვინაიდან ეს რიგითი არჩევნები არ არის. არძინბა მიდის და შანსი არსებობს, რომ ვითარება არსებითად შეიცვალოს და უფრო ჯანსაღი ძალები მოვიდნენ, ვისთანაც შესაძლებელი იქნება კონსტრუქციული თანამშრომლობა. ამიტომ აუცილებელია, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ კულუარული ბერკეტები.

**- ეს ხომ არ არის მინიშნება აფხაზეთში პროქართული ძალების არსებობაზე?**

- არა, აფხაზეთში პროქართული ძალები არ არიან და ეს ილუზია უნდა მოვიშოროთ (სხვათა შორის, რომ არ არიან, ამაში დამნაშავეა ჩვენი უჭკუო პოლიტიკა). იქ არიან პრორუსული და პროაფხაზური ძალები. პრორუსულ ძალებს აფხაზეთი არ აინტერესებთ და თანახმა არიან, რომ აფხაზეთმა რუსეთის შემადგენლობაში სრული ასიმილაცია განიცადოს.

ამიტომ, ამ შემთხვევაში ჩვენი მოკავშირეები არიან პროაფხაზური ძალები და ქართველმა ამომრჩეველმაც სწორედ მათ უნდა დაუჭიროს მხარი.

**- რომელია ეს პროაფხაზური ძალები?**

- პროაფხაზური ძალებია "აიტაირა" და "ერთიანი აფხაზეთი". შესაბამისად, ჩვენმა პოლიტიკოსებმა უნდა გათვალონ, თუ ვის მისცეს ხმა ქართველმა ამომრჩეველმა. თუ ეს არ გავაკეთეთ, მოხდება ჩვენთვის სამარცხვინო ფაქტი - ქართველები ხმას მისცემენ ყველაზე ანტიქართულ ძალას, ჯერგენიას დაჯგუფებას. მასზე გალში მუშაობს ყოფილი გამგებელი ქიშმარია, რომელსაც რეგიონში დიდი გავლენა აქვს.

ამიტომ, ჩვენ უნდა ვუთხრათ გალში მცხოვრებ ქართველებს, რომ ჯერგენიას ხმა არ მისცენ. ეს ინფორმაცია გალში ჩვენგან უნდა შევიდეს და სიტუაცია ისე მომზადდეს, რომ კონკრეტულმა ადრესატმაც იცოდეს, ვის აძლევენ ხმას ქართველები, რომ დაიცვას ეს ხმები.

**- ეს როგორ უნდა მოვახერხოთ?**

- გალში მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, არის მიმოსვლა და შეიძლება ინფორმაციის შეტანა. სხვა ვარიანტიცაა. მაგალითად, მოსკოვში არ არსებობს აფხაზი ბიზნესმენი, რომელსაც რაიმე საქმიანი კავშირი არ ჰქონდეს ქართველ ბიზნესმენთან. შესაბამისად, არსებობს ქართულ-აფხაზური ბიზნესურთიერთობები. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ამ ბერკეტის გამოყენებაც. ოღონდ ამისთვის საჭიროა, რომ მოსკოვში გვყავდეს ისეთი კაცი, რომელიც მხოლოდ ამ საკითხით იქნებოდა დაკავებული.

ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების საფიქრალი და გასაკეთებელია.

**- მერე, რას შვრება ხელისუფლება?**

- სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთთან მიმართებაში რაიმე თანმიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებდეს. შეიძლება, ხელისუფლებაში ვიღაცას ხელს აძლევდეს კიდეც, რომ აფხაზეთში ჯერგენიამ გაიმარჯვოს. ამას ხომ აფხაზეთის საბოლოოდ დაქცევა მოჰყვება, მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ ნიშნისმოგების მიზნით ბოროტებაზე გათვლა არ შეიძლება.

ეს ის შემთხვევაა, როცა ქართველები და აფხაზები უნდა გაერთიანდნენ რუსული საშიშროების წინააღმდეგ. ამისათვის აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველმა ამომრჩეველმა ანტირუსულ, პროაფხაზურ ძალებს მხარი უნდა დაუჭიროს.

*მეცნიერების ტრიბუნა*

## რატომ არ სურთ აფხაზებს ქართველებთან ცხოვრება?!

რატომ აქვთ აფხაზებს იდეა-ფიქსივით აკვიატებული, რომ ქართველებთან ერთად ცხოვრება პირდაპირი გზაა ასიმილაციისკენ! მაგრამ, განა რუსებთან თანაარსებობა არის ყოველივე აფხაზურის შენარჩუნების გარანტი? რას უფრთხიან აფხაზები? რამდენად ობიექტურია მათი სიფრთხილე?

1906 წელს ცარიზმმა აფხაზებს "დამნაშავე ხალხის" იარლიყი მოუხსნა და მათთან ურთიერთობაში "შემრიგებლურ" პოზიციაზე დადგა. შესაბამისად, კრემლის შეკვეთის საფუძველზე აფხაზებისგან ეტაპობრივად (განსაკუთრებით, საბჭოურ პერიოდში) ჩამოყალიბდა ეთნოკრატია, რომელსაც მხოლოდ ერთი ფუნქცია დაეკისრა: ანტიქართული საქმიანობა. ამრიგად, აფხაზური მოძრაობა, კრემლის მიერ მართვადი, მკაფიოდ გამოკვეთილი ანტიქართული ხასიათის მოძრაობაა.

აფხაზური მოძრაობის მესვეურებმა კარგად იციან, რომ დამოუკიდებელ საქართველოში აფხაზების ეროვნული თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების არანაირი საფუძველი არ არსებობს. მიზეზი მარტივია: საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, კულტურის და ქართული ეკლესიის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე აფხაზების (რომელიც თავის თავს აფსუას უწოდებს) ისტორიულ აფხაზებთან იდენტიფიკაცია. ცნობისთვის: სწორედ აფხაზთა მეფეებმა ჩაუყარეს საფუძველი დასავლურ ქართულ სახელმწიფოს; აფხაზთა მეფეებმა გადაიტანეს დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში და, შესაბამისად, აფხაზთა დიდგვაროვანი საზოგადოება ვერ ასცდა ასიმილაციას ქართველებთან; აფხაზთა მეფეებმა ბერძნული ენა განდევნეს საკანცელარიო და საეკლესიო ხმარებიდანაც და დანერგეს ქართული; აფხაზთა მეფეებმა მოშალეს ბერძნული საეპისკოპო კათედრები და დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები (ბედია, ბიჭვინთა, ილორი, მოქვი); აფხაზთა მეფეების ძალისხმევით განხორციელდა მეცხრე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფა და მცხეთასთან შეერთება...

მთელი ადრინდელი და გვიანდელი შუა საუკუნეების განმავლობაში აფხაზ დიდგვაროვანთა პოლიტიკურ-კულტურული ცნობიერება ქართული იყო. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზებმა ვერ მოახერხეს ვერც ეროვნული დამწერლობის და ვერც ეროვნული მწიგნობრული კულტურის შექმნა, ვერც ქრისტიანული რელიგიისათვის ეროვნული ელფერის მიცემა. ამის საშუალებას კი იძლეოდა აღმოსავლური ქრისტიანობა. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართებაში წერდა: "რამეთუ სჯულსა წერილ არს, ვითარმედ უცხოითა ენითა და ბაგითა უცხოითა ვეტყოდი ერსა ამას, და არცაღა ესრეთ ისმინონ ჩემი, იტყვის უფალი".

ამრიგად, შუა საუკუნეების მანძილზე არ მომხდარა აფხაზების ეთნიკური კონსოლიდაცია, არ ჩამოყალიბებულა აფხაზთა ეროვნული ცნობიერება და, შესაბამისად, საუბარი ე.წ. აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოზე ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

მაგრამ, როდესაც თანამედროვე აფხაზს არ სურს ამის გაგება, ამით ის უარყოფს ყოველგვარ ქართულს. ამასთან ერთად, უარყოფს თავის თავსაც: ჭეშმარიტი აფხაზის კულტურულ-ისტორიული წარსული ყოველთვის ქართული იყო. აქედან გამომდინარე, დღევანდელი აფხაზი თავად უარყოფს, რომ ის არის ისტორიული აფხაზის მემკვიდრე და, შესაბამისად, მიგრანტია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მოსული ჩრდ. კავკასიიდან. თუ თანამედროვე აფხაზი (ეთნიკური აფხაზი, ანუ ის ხალხი, ვინც ამჟამად საკუთარ ვინაობას "აფსუა" სახელით აღნიშნავს) აღიარებს თავის თავს ისტორიული აფხაზის მემკვიდრედ, მაშინ ის აღიარებს, რომ თანამედროვე აფხაზი, თავისი ისტორიულ-კულტურული (და არა ეთნიკური) თვალსაზრისით, ქართველია. შესაბამისად, აფხაზებს ეცლებათ, როგორც სამართლებრივი, ასევე ისტორიული საფუძველი, იბრძოლონ დამოუკიდებელი აფხაზეთისთვის. აქედან გამომდინარეობს მათი შეურიგებლობა ყოველგვარ ქართულთან და საქართველოსგან დამოუკიდებელი აფხაზური ეროვნული სახელმწიფოს შექმნის აკვიატებული სურვილი.

არსებობენ მკვდარი ენები და კულტურები, რადგანაც ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ფიზიკურად გადაშენდნენ. თუმცა, დედამიწის ზურგზე არ არსებობს ერი, რომელიც ფიზიკურად ცოცხალია, მაგრამ ისტორიულ წარსულში მის მიერ შექმნილი კულტურა, დამწერლობა მისთვის მკვდარი იყოს, ე.ი. მოშლილი იყოს მემკვიდრეობითობის ფაქტორი ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობას შორის, ანუ ერი ვერ გრძნობდეს გენეტიკურ კავშირს ისტორიულ წარსულში შექმნილ კულტურასთან. ასეთ "გამონაკლისს" მხოლოდ აფხაზი ხალხი წარმოადგენს?! "აფხაზთა სამეფო" მოიცავდა ეროვნული სახელმწიფოსთვის ნიშანდობლივ ყველა ატრიბუტს: სოციალურ იერარქიას, სახელმწიფო ენას, დამწერლობას, ეროვნულ იდეოლოგიას, ეროვნულ ეკლესიას და ა.შ. ყველაფერი ეს "აფხაზთა სამეფოში" მხოლოდ ქართული იყო და არა აფხაზური. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი მემკვიდრეობითობა ისტორიულ აფხაზსა და თანამედროვე აფხაზს (თვით სახელწოდება "აფსუა") შორის ქართულის გარეშე (ვგულისხმობთ ისტორიულ-კულტურულ ფაქტორს და არა ეთნიკურს?!).

ამრიგად, აფხაზური მოძრაობა არ არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ის მკაფიოდ გამოხატული ანტიქართული მოძრაობაა, რომელიც დღესაც მხოლოდ კრემლის ინსტრუქციებს ასრულებს.

აფხაზური მოძრაობის კონცეფცია ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გულისხმობს. თუ გავიაზრებთ იმ თვალსაზრისს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ან დაკარგულის აღდგენა, შესაბამისად, იბადება შეკითხვა: როგორი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა სურთ აფხაზური მოძრაობის მესვეურთ? ისტორიულად დადასტურებული რეალობაა, რომ ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მთავარი მიზანია ამ სახელმწიფოს შემქმნელი ეთნოსის ფიზიკური არსებობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, აფხაზური მოძრაობის მცდელობა ჩანასახშივე განწირულია მარცხისთვის.

ე.წ. აფხაზური დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, ბუნებრივია, შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მფარველობით. მაგრამ იგი ვერასოდეს გახდება აფხაზთა, როგორც ეთნოსის, ფიზიკური გადარჩენის გარანტი. და აი, რატომ:

I. რუსეთი, რომელმაც უზარმაზარი ფიზიკური მსხვერპლი გაიღო და დიდი დრო შეალია შავიზღვისპირეთის "გაწმენდას" კავკასიის მთის მოსახლეობისაგან, არ დაუშვებს აფხაზი მუჰაჯირების დაბრუნებას აფხაზეთში. რაც მთავარია, აფხაზი მუჰაჯირების დაბრუნებას მოჰყვება ცარიზმის მიერ დეპორტირებული მილიონობით ჩერქეზის, ვაინახის და დაღესტნელის სამშობლოში დაბრუნებაც (რა თქმა უნდა, გაუთვალისწინებელი შედეგებითურთ რუსეთისათვის). ამასთან, რომელი აფხაზი მუჰაჯირი ჩავა დღეს საცხოვრებლად აფხაზეთში, იმ კუთხეში, სადაც, ღმერთმა უწყის, იქნება თუ არა შენარჩუნებული პოლიტიკური სტაბილურობა. შესაბამისად, ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოდან გაძევებული ქართველების ადგილს რუსები დაიკავებენ და არა მუჰაჯირი აფხაზები;

II. ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, რაც ავტომატურად მოასწავებს ყოველგვარი კონტაქტების გაწყვეტას ქართველ ერთან, აფხაზები საბოლოოდ დაკარგავენ თავიანთი გენოფონდის შევსების წყაროს (საუბარია ქართულ-აფხაზურ შერეულ ქორწინებებზე). ცნობისთვის: თანამედროვე აფხაზების 70 პროცენტი, ენობრივგენეტიკური წარმოშობით, ქართველია;

III. ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებლობის შემთხვევაში აფხაზებს ჩამოერთმევათ კრემლის მიერ დაკანონებული ის სოციალური პრივილეგიები, რომელსაც რუსი ანიჭებს ამა თუ იმ ხალხს ანტიეროვნული საქმიანობისათვის. შესაბამისად, აფხაზი ხალხის ე.წ. დამოუკიდებლობა ვერ იქნება მყარი გარანტი მათი ეთნოსის ფიზიკური გადარჩენის საქმეში და, ამდენად, იგი განწირულია ასიმილაციისათვის.

ამრიგად, ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის საფუძველში დევს არა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი, არამედ სულმოკლე პატივმოყვარეობა. ამ ტიპის ნაციონალისტებისთვის საკუთარი ხალხის ეროვნული კულტურის თვითმყოფადობა, ეროვნული ენის ბუნებრივი იერსახის შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მიზანი ცალსახაა: რაც უნდა დაუჯდეთ, მიიღონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, იყვნენ აღიარებულნი "დიდი ხალხების" და სუპერსახელმწიფოების მიერ (თუნდაც, ეროვნული ვერაფერი შეინარჩუნონ).

აფხაზური მოძრაობის მიზანი გახლდათ კონსტიტუციური გზით იმ სოციალური პრივილეგიების დაკანონება, რომელიც მათ მოსკოვისგან მიიღეს ანტიქართული საქმიანობისათვის. ამისთვის კი აუცილებელი გახდა აფხაზების, როგორც ქართველთაგან ჩაგრული ხალხის იმიჯის შექმნა მსოფლიო საზოგადოების თვალში და აქ თავისი "ღირსეული" სიტყვა თქვა აფხაზურმა ინტელიგენციამ. დაიწყო საქართველოს ისტორიის ტოტალური გაყალბება. აფხაზი ხალხი გამოცხადდა კოლხეთის, ლაზიკის და "აფხაზთა სამეფოს" ერთადერთ და პირდაპირ მემკვიდრედ. უფრო მეტიც, აფხაზები გამოცხადდნენ ფინიკიური დამწერლობის შემქმნელებად, ქრისტიანული რელიგიის მისიონერებად ჩრდ. კავკასიაში. არადა, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ არ არსებობს არანაირი მემკვიდრეობითობა თანამედროვე აფხაზებსა და ძველი კოლხეთის, ლაზიკის, ეგრისის და "აფხაზთა სამეფოს" შემქმნელ ხალხებს შორის ქართულის გარეშე?!

აფხაზური მოძრაობის ლიდერები ნათლად ხედავენ, რომ აფხაზური ენა, კულტურა, რუსეთის "მფარველობის" ქვეშ, უპერსპექტივო და, შესაბამისად, განწირულია ახლო მომავალში ასიმილაციისათვის. ამიტომაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, აფხაზ ხალხს არ ძალუძს ავტონომიურ რესპუბლიკაში იყოს... "лидируюшая титульная нациа, которая должна начать процес духовного оздоровлениа общества..." (იხ. аспекти грузино-абхазского конфликта. ტ. IV, გვ. 70)

მაგრამ სულმოკლე პატივმოყვარეობა, ქართველებთან გატოლების აკვიატებული სურვილი აიძულებს აფხაზური მოძრაობის მესვეურთ, უარი თქვან თავიანთ კულტურაზე, ენაზე. მეტიც: იმის გამო, რომ ისინი დაფასებულნი იყვნენ დიდი ერის მიერ, დღესაც რუსული კულტურის ორგანულ ნაწილად აცხადებენ საკუთარ თავს.

აფხაზური მოძრაობა არ არის ეროვნული მოძრაობა, ის არ ისახავს მიზნად აფხაზური ენის, კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებას. აფხაზური მოძრაობა არის კრემლის მიერ მართვადი მოძრაობა, რომელსაც მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდა: ეწარმოებინა ანტიქართული საქმიანობა.

*ვახტანგ ჭანია*
*ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი*

www.24hours.ge 24 B

# აჭარის მოსახლეობა შეძლებს
# თავისი საკეთებელი თავადვე გააკეთოს

A1 გვერდიდან

მაია ჭალაგანიძე

*კრიზისი უკვე სცილდება კრიზისის ფარგლებს. რეგიონის მმართველობა აშკარა კონფრონტაციის გზას დაადგა. ხელისუფლებამ გამოწვევა მიიღო, თუმცა ქვეყნის კონფრონტაციის გზიდან აცილებას კიდევ ერთხელ ცდილობს. რაც დრო გადის, სიტუაცია სულ უფრო ემსგავსება თეთრსა და შავს შორის ბრძოლას. ასეთ შემთხვევებში კი ფინალი ცნობილია.*
*დღეს აჭარის ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი, "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერი ედვარდ სურმანიძე წლების განმავლობაში ბათუმში მუშაობდა და "აღორძინებაშიც" იყო. ის იქაურ პოლიტიკურ სამზარეულოსაც კარგად იცნობს და საზოგადოების პოტენციალსაც.*


ედვარდ სურმანიძე
ლევან ხერხეულიძის ფოტო

**პროტესტის უკიდურესი ფორმებისგან ხალხი თავს არ შეიკავებს და იმაზე უარესი შეიძლება მოხდეს, რაც თბილისში იყო - დღევანდელ დეფაქტო ხელისუფლებას ისე განდევნიან იქიდან, რომ მათ მომავალ საქართველოში არანაირი ადგილი არ დარჩებათ.**

- როგორც ჩანს, ასლან აბაშიძემ საქართველოს მოსახლეობის და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ღიად და საჯაროდ გადაწყვიტა, დააფიქსიროს ის პოზიცია, რომელსაც წლების განმავლობაში შეფარულად ახორციელებდა. ის აღარ ერიდება იმის თქმას, რომ ეს არის კონფრონტაციისკენ მიმავალი გზა. როგორც ჩანს, მას ხელს აძლევს დაძაბულობის ესკალაცია. მის ინტერესებშიც არის ეს, რადგან საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შიგნით თუ გარეთ არსებული ძალა მას შესაბამის დახმარებას აღმოუჩენს.

**- გარეთ, ეს რუსეთია?**

- შესაძლოა, ეს იყოს რუსეთშიც და რუსეთის გარეთაც.

ის, რაც დღეს აჭარაში ხდება, არის აგრესიული დაუმორჩილებლობა, ცენტრალური ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. ამის ინიციატორებს ძალზე შორს მიმავალი ზრახვები ამოძრავებთ. ჩვენ პროვოკაციაზე არ უნდა წამოვეგოთ.

**- ამისთვის, სულ მცირე, ხმამაღლა უნდა ითქვას იმ "მავან და მავან" ძალებზე, რომელიც ესკალაციით იკვებება. საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იცოდეს.**

- დღევანდელი ხელისუფლება გამოსავლის საპოვნელად საგულდაგულოდ უნდა მოემზადოს. ყველა პლუსი და მინუსი გააზრებული უნდა იყოს, კარგად უნდა დავინახოთ ჩვენი გადადგმული ნაბიჯების მართებულობა. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ აზრზე უნდა ვიმუშაოთ და ყველაფერი უნდა ითქვას, რაც აქამდე არ თქმულა.

**- ვინ არიან ისინი, ვინც დღეს აჭარის ხელისუფლებას წარმოადგენენ?**

- ამის შესახებ ჩემი პოზიცია ჯერ კიდევ 7 წლის წინ ჩამოვაყალიბე. მე აჭარაში ვმუშაობდი და კარგად ვიცნობ იქაურ პოლიტიკურ სამზარეულოს. საკუთარი თვალით დავინახე აჭარის ხელისუფლების ის ქმედებები, რომელიც იყო გზა არსაით - ეს საბოლოოდ განწირული გზაა. ეს იყო ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული მტრული ნაბიჯები, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება საგულდაგულოდ ჩქმალავდა.

წინა ხელისუფლება წლების განმავლობაში იხვეჭდა ასეულობით მილიონ დოლარად შეფასებულ ქონებას, რომლის ძირითადი ნაწილი აჭარის დეფაქტო ხელისუფლებას ეკუთვნის. ეს აურაცხელი ფინანსები საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებისთვის ესაჭიროებოდათ. ეს არ იყო მხოლოდ ეკონომიკური კრიმინალი, ეს დარტყმას აყენებდა საქართველოს ბიუჯეტს, ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევას. გარდა ამისა, ვფიქრობ, ასლან აბაშიძის ხელისუფლებამ წლების განმავლობაში მოახერხა ის, რომ ძალიან სერიოზულად შეარყია საქართველოს თავდაცვითი და სახელმწიფო უშიშროების სისტემა. მან არა მხოლოდ ამ სისტემაში მოამრავლა თავისი დამქაშები, არამედ საქართველოს პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაშიც იყვნენ ჩვეულებრივი ნომრიანი აგენტები, რომლებიც კონკრეტული ანაზღაურების გამო აბაშიძის ხელისუფლებაზე მუშაობდნენ.

**- იქნებ, დასახელების დროა?**

- ძალიან ბევრის გვარი ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი. ეს სერიოზულ სკანდალს გამოიწვევს და სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ თემებს უკავშირდება. ეს გვარები საქართველოში სხვებმაც იციან. ესენი არიან მაღალი სამხრეების მატარებელი ადამიანები. წინა ხელისუფლების არაქმედუნარიანობის გამო აბაშიძემ მოახერხა ის, რომ, სერიოზულად დაბლოკა მოსკოვში საქართველოს ყველა ის ინიციატივა, რაც ჩვენი ქვეყნის ინტერესებს უკავშირდებოდა. სუსტი ცენტრალური ხელისუფლების პირობებში ძლიერდებოდა ასლან აბაშიძის გავლენა. ის მხარდამჭერთა პოვნას ევროპის სტრუქტურებშიც შეეცადა და ჩემდა სამწუხაროდ, მოახერხა. ეს ცალკეული ადამიანები ცალსახა ანგარების გამო კუდს უწევდნენ აჭარის ხელისუფლებას.

**- და ისინი დღესაც აქტიურობენ?**

- ეს ქმედებები დღესაც გრძელდება. მაგრამ, დღეს სხვა ცენტრალური ხელისუფლებაა. მას ძალუძს გამოწვევის მიღება, მის წინაშე მდგარი ამოცანის გააზრება და საუკეთესო გამოსავლის პოვნა. დღეს არ ვიცი, რა იქნება ეს გამოსავალი, მაგრამ დაუმორჩილებლობაზე მშვიდობიანი ფორმით უკიდურეს რეაგირებას დავუჭერ მხარს. ასლან აბაშიძის ხელისუფლება ფინანსურადაც უნდა დავასუსტოთ და მისი საეჭვო კავშირებიც უნდა შევზღუდოთ. უნდა გადაიჭრას ყველა ის შავი ფინანსური არტერია, რომელიც აჭარის დღევანდელ დეფაქტო ხელისუფლებას კვებავს. ფაქტებად ასაკინძი და დასალაგებელია იარაღთან დაკავშირებული უკანონო გარიგებები, ნარკობიზნესი და ნარკოვაჭრობა. ამ ფაქტებით ყველას დავანახებთ, თუ ვინ გვეწინააღმდეგება. ეს არის ერთი ჩვეულებრივი კრიმინალური რეჟიმი, რომელიც მოსახლეობას ატერორებს, ჰყავს შეიარაღებული ფორმირებები და არად დაგიდევთ კონსტიტუციურ ნორმებს; საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მიდის და უარს აცხადებს არჩევნების ჩატარებაზე. ჩვენ მომგებიან სიტუაციაში ვართ.

**- ახლა, როდესაც სხვა ხელისუფლებაა, რამდენად ძლიერი რჩება აბაშიძის კავშირები და გავლენა რუსეთში?**

- ძალიან სერიოზულად შესუსტდა აბაშიძის გავლენა რუსეთის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. მიუხედავად ამისა, მას დღემდე აქვს ანგარიშგასაწევი კავშირები. აბაშიძე ყოველდღიურად მუშაობს ამ მიმართულებით.

მაგრამ, ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბების პირობებში რუსეთის პოლიტიკური წრეები დაინტერესებულნი არიან, ითანამშრომლონ არა რომელიმე რეგიონის წარმავალ ლიდერთან, არამედ ქვეყნის უმაღლეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ერთ ფაქტს მოვიყვან - გახსოვთ, ალბათ, მოსკოვში, საქართველოს საელჩოს წინ ჟირინოვსკიმ მცირერიცხოვანი მყვირალა აქცია მოაწყო დევიზით - "ხელები შორს აჭარისაგან". ჩემი ინფორმაციით, იმ ორსაათიანი აქციის გამართვისთვის, ჟირინოვსკიმ აბაშიძისგან ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო. ასეთი ფაქტები კიდევ ბევრია.

**- აჭარის პოლიტიკურ სპექტრს კარგად იცნობთ. ასეთ დაძაბულ ვითარებაში როგორ მოიქცევა აბაშიძის გარემოცვა, რა ფსიქოლოგიური წყობის არიან ეს გოგიტიძეები, ბაკურია, ხალვაშები და სხვანი?**

- ეს ადამიანები არ განსაზღვრავენ იდეოლოგიას და არ იღებენ გადაწყვეტილებებს. ისინი შემსრულებლები არიან და ერთმანეთს ერთ რამეში ეჯიბრებიან - რაც შეიძლება მეტი ასიამოვნონ აბაშიძეს. მათ კარგად იციან, რა უხარია და რა წყინს აბაშიძეს და ერთგულების დამტკიცებაში ერთმანეთს ასწრებენ. თუ დღეს ასლან აბაშიძე გადაწყვეტს, რომ განიარაღდეს, ამას ზუსტად იმდენი დრო დასჭირდება, რამდენიც უკიდურესი სოფლიდან ბათუმში ჩამოსვლას უნდა. აბაშიძის სურვილის შემთხვევაში, განიარაღების პროცესი 48 საათში დასრულდება. თუ აბაშიძე გადაწყვეტს, რომ შს მინისტრი თანამდებობიდან წავიდეს, ნახევარ საათში ის აღარ იქნება ამ თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე, აჭარაში არ არსებობს ისეთი სახელისუფლებო დაჯგუფება, რომელიც აბაშიძეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს ან პირიქით, დაბლოკავს. ისინი ყურმოჭრილი მსახურები არიან, მაგრამ ეს არ არის იმის გარანტია, რომ აბაშიძემ მათ აუცილებლად კარგი თვალით გადმოხედოს.

**- აბაშიძის გარეშე ხომ არც ერთი წესიერი თუ უწესო გარიგება არ ხდებოდა, შეიძლება ის საკუთარი გარემოცვის მძევალი იყოს?**

- დღევანდელ შემადგენლობაში ორიოდე კაცია დარჩენილი, ვინც თავიდანვე ასლანთან ერთად "მოღვაწეობდა". იქ ხშირად იცვლებოდა მთავრობის შემადგენლობა. ადამიანს რაღაც საქმეს გააკეთებინებდნენ და შემდეგ ის უსარგებლო ხდებოდა - იცილებდნენ, ზოგი ციხეშია, ზოგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ზოგი გადასახლებაში მოხვდა, ზოგი გაიქცა და სხვა.

ძველი დროიდან შემორჩენილი ადამიანი ქობულეთის გამგებელი ხალვაშია. ის 1993 წელსაც გამგებელი იყო. აბაშიძე მაშინ იწყებდა აგრესიული განკერძოებითი ნაბიჯების გადადგმას. მაშინ საქართველოში სამოქალაქო და აფხაზეთის ომი იყო. ის საკუთარ თავს და ხელისუფლებას იცავდა. მას გვერდით არა მოაზროვნე, არამედ უსიტყვო შემსრულებელი სჭირდებოდა. მათი მძევალი აბაშიძე ვერასდროს იქნება. პირიქით, ასლანი მათ სრულად განკარგავს.

**- რა გზას დაადგება "ჩვენი აჭარა", რა რესურსები აქვს ამ ორგანიზაციას აჭარაში?**

- ეს ძალიან სერიოზული ძალაა. საპროტესტო მოძრაობაში, ფაქტობრივად, აჭარის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მონაწილეობს. ზოგი, მრავალი დარბევის მიუხედავად, ქუჩაში აქტიურად აცხადებს პროტესტს, ზოგი - პასიურ ფორმას არჩევს, რადგან მათ ეშინიათ შვილის, ძმის, რძლის გამო, რომელიც აჭარაში მუშაობს და ცხოვრობს.

**- დღეს იქ შიში სჭარბობს გაბედულებას?**

- საკმაოდ სჭარბობს. განსაკუთრებით, ჩოლოქის მოვლენების და შეიარაღებული ბანდების ხელახალი გამოჩენის შემდეგ. თუმცა, პრეზიდენტის ჩასვლა და ოპოზიციური მოძრაობის არჩევნებში გამარჯვება დადებითად მუშაობს და ხალხს იმედი აქვს, რომ სიტუაცია ძალიან მალე სასიკეთოდ შეიცვლება და დემოკრატიული მმართველობა დამყარდება.

მაგრამ, მოსახლეობას აგრეთვე ძალიან ეშინია იმის, რაც წლების მანძილზე არსებობდა – რომ მათ ზურგს უკან ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას შორის რაიმე გარიგება და დათმობა არ მოხდეს. ჯერ კიდევ რთულია ისეთი გარანტიების მიცემა, რომელიც მოსახლეობას ამ აგრესიისგან დაიცავდა. დღეს ჩვენ განცხადებების მეტი არაფერი ძალგვიძს. ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დაპატიმრებულნი არიან ოპოზიციის წარმომადგენლები. მათ იციან, რომ თავისი პოლიტიკური აქტივობის გამო არიან იზოლატორში, მაგრამ ვერ ვათავისუფლებთ.

**- დამსვენებლების გარეშე აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილის წინაშე დგას. როგორ ფიქრობთ, დინჯი და ფრთხილი აჭარელი ხალხი ამ საშიშროების გამო პროტესტის გამოსახატად ერთიანად გამოვა ქუჩაში?**

- რა თქმა უნდა, ეს ეკონომიკას დაეტყობა. ხალხს ჯერ იმედი აქვს, რომ დიალოგის და მშვიდობიანი მოლაპარაკებების ფორმით ბევრი რამ შეიცვლება სასიკეთოდ. თუ ეს იმედი გადაეწურებათ, რა თქმა უნდა, ყველა საკონსტიტუციო ფორმით საკუთარი უფლებების დაცვის სრული უფლება აქვთ.

**- აჭარის კონსტიტუციით პროტესტი დაშვებულია?**

- საქართველოს კონსტიტუციაზე ვსაუბრობ. ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით ჯერ ხალხი ცვლილებას ელის. თუ ეს არ იქნება, რა თქმა უნდა, ხალხი ქუჩაში გამოვა და მოვახერხებთ, რომ ყოველგვარი შეიარაღებული წინააღმდეგობის გარეშე განვითარდეს მოვლენები. პროტესტის უკიდურესი ფორმებისგან ეს ხალხი თავს არ შეიკავებს და იმაზე უარესი შეიძლება მოხდეს, რაც თბილისში იყო - დღევანდელ დეფაქტო ხელისუფლებას ისე განდევნიან იქიდან, რომ მათ მომავალ საქართველოში არანაირი ადგილი არ დარჩებათ.

**- ოპოზიცია მუშაობს შეიარაღებულ მოსახლეობასთან? ჯარის განწყობა იცით?**

- რა თქმა უნდა, ვიცით. იქ არის ოფიცერთა შემადგენლობა, რომელთა დიდი ნაწილი კატეგორიულად ემიჯნება აბაშიძის პოლიტიკას. იქ არის პირადი შემადგენლობა, რომელიც ოჯახებით უჭერს მხარს საპროტესტო მოძრაობას. არავის არ უნდა ასეთ ამღვრეულ სიტუაციაში ცხოვრება, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს - ადგილობრივი ერთი მუჭა მმართველი წრიდან აღვირახსნილი აგრესია მომდინარეობს, ამას ანგარიშს უწევენ და ითმენენ. ითმენენ იმის იმედით, რომ ცენტრალური ხელისუფლება საერთაშორისო ძალისხმევის გამოყენებით დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას და სიტუაციის შეცვლას შეძლებს. ჩვენ გაერთიანებული ძალებით დავდგებით ერთად.

იმ ხალხის ძირითადი ნაწილი, ვინც ჩოლოქთან შეიარაღებული დგას, გაჭირვებული და ინფორმაციას მოკლებულია. მათ მიაჩნიათ, რომ ერთი დღით ჩოლოქზე დგომისთვის და "ბაბუს" ყვირილისთვის 10-20 ლარის აღებაა მთავარი. ჩვენ ვნახეთ საზღვაო ბანკისა და უზენაესი საბჭოს წინ შეკრებილი ხალხი, რომლებიც გაწეული სამსახურისთვის დაპირებულ ფულს ითხოვდნენ. ეს დაქირავებული ხალხია.

**- იქნებ კარგია, ფულს რომ არ აძლევენ?**

- რა თქმა უნდა, აბაშიძეს მათი იმედი არ აქვს. იარაღიანი ხალხი, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების დასანახად არის გამოფენილი.

**- თქვენი ინფორმაციით, რა შეიარაღების პატრონია აჭარის ხელისუფლება?**

- მას, დაახლოებით, 1500 კაციანი შენაერთი თუ დანაყოფები ჰყავს. ზოგიერთი მათგანი რუსი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში იწვრთნებოდა სხვადასხვა ბაზაში, ან სხვადასხვა დროს ე.წ. სწრაფი რეაგირების ბატალიონებში მსახურობდა. ზოგი აბაშიძის პირადი დაცვის შემადგენლობა იყო. მათ რიგებში არიან კრიმინალები, რეციდივისტები და კაცის მკვლელები. ასეთები ბევრნი არ არიან, მაგრამ საგანგებო დავალებებს ასრულებენ. მთავარი ის არის, რომ წლების განმავლობაში მოპარული თანხებით სამხედრო ტექნიკა დააგროვეს. ტექნიკა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება მიუშვირონ საკუთარ მოსახლეობას და პროვოკაციისთვის გამოიყენონ.

მათ რამდენიმე ათეული კარგად გაწვრთნილი უცხოელი ინსტრუქტორი ჰყავთ, რომელთა მიზანიც, შემუშავებული თავდაცვითი გეგმის თანახმად, აჭარაზე გარე შემოტევის მოგერიებაა. ისინი განლაგებულნი არიან ცალკეულ სტრატეგიულ წერტილებზე - ჩოლოქიდან ბათუმამდე, ბათუმიდან გოდერძის უღელტეხილამდე, ბათუმის საზღვაო აკვატორიის პერიმეტრზე და ა.შ. ეს არის შესაბამისი ტექნიკით გამაგრებული საცეცხლე წერტილები. ინსტრუქტორები საგანგებოდ ამისთვის არიან მოწვეულნი და მათ შესაბამისი ანაზღაურება აქვთ. პირად შემადგენლობად კი იმ 1500-1700 კაციან დანაყოფებს იყენებენ, რომელშიც ადგილობრივებიც არიან და არაადგილობრივებიც, მათ შორის, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან.

მისაღებია შესაბამისი საკადრო ხასიათის გადაწყვეტილებები. აჭარის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულებით დისლოცირებულ შეიარაღებულ ქვედანაყოფებში დისციპლინა უნდა აღდგეს. ისინი უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას უნდა დაემორჩილონ.

**- ამ ვითარებაში რამდენად რეალურია პრეზიდენტის განცხადება საჭიროების შემთხვევაში აჭარის უზენაესი საბჭოს გაუქმებისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ?**

- თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს, საგანგებო ვითარებაში, ეს რეალურია. პრეზიდენტს ასეთი გადაწყვეტილების კონსტიტუციური უფლება გააჩნია.

**- რამდენად აღსრულებადი იქნება ეს გადაწყვეტილება?**

- დღევანდელ პირობებში, მშვიდობიანი ფორმებით ეს წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ ისეთი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის აღდგენას მშვიდობიანი ფორმების გამოყენებით უზრუნველყოფს.

**- რა არის ბოლო მშვიდობიანი ფორმა?**

- მკითხველთან კონკრეტულ დეტალებზე საუბარი არ მინდა. არსებობს აჭარის ხელისუფლების მოსათვინიერებელი გადაწყვეტილებები, რომელიც ძალისმიერ ჩარევას გამორიცხავს, ეს ძალზე ეფექტური იქნება. შესაბამისი ეფექტი ძალიან მალე დადგება და აჭარის დეფაქტო ხელისუფლება იძულებული გახდება, უარი თქვას დაუმორჩილებლობაზე, ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომპრომისი ეძებოს, აღიაროს კონსტიტუციურ მოთხოვნათა უზენაესობა და კანონს დაემორჩილოს.

**- რა როლს თამაშობს პლამენ ნიკოლოვი, რომელიც თითქმის ყველა მოლაპარაკებებში მონაწილეობს?**

- დიდი პატივს ვცემ ბატონ ნიკოლოვს. მან კარგად შეისწავლა ქართული და, მათ შორის, აჭარის პრობლემატიკა. ურთულეს დიალოგში და პროცესებში მონაწილეობის მცდელობა ძალიან კარგია და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მათი მონაწილეობა არის იმის გარანტი, რომ ევროპული სტრუქტურები და საერთაშორისო საზოგადოება რეალურად გაიგებს, რა ხდება და რას არ ემორჩილება ასლან აბაშიძე. არა მარტო პლამენ ნიკოლოვი, არამედ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც აქტიურად უნდა ჩავრთოთ ამ პროცესებში, კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ მათი მონაწილეობის ხარისხი. ეს ჩვენი მხრიდან ულტერნატივოდ საჭირო ქმედებაა.

თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების და საზოგადოებრიობის აზრს ასლან აბაშიძის ხელისუფლება არად დაგიდევს. ვნახეთ, რაც მოხდა ბათუმში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის შვიმერის თვალწინ.

**- რა ნაბიჯებს გადადგამს "ჩვენი აჭარა"?**

- მივიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, გვექნება მეტი ურთიერთობა მოსახლეობასთან. ისინი უნდა დავარწმუნოთ, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას გამარჯვების მოტანა შეუძლია. მოსახლეობის მხოლოდ ერთი ჯგუფის აქტიურობა დანარჩენ საზოგადოებას გამარჯვებას ვერ მოუტანს. ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ და მალე გავიმარჯვებთ.

არც მოველოდით, რომ აბაშიძე ჩვენს პირველსავე მოთხოვნაზე გადააბარებდა ხელისუფლებას დემოკრატიულ ძალებს. ჩვენ ვირჩევდით წინააღმდეგობის გზას, ვიცოდით, რომ ეს რთული ბრძოლა იქნებოდა. მაგრამ, ეს ბრძოლა სამართლიანია და გამარჯვებაში დარწმუნებულნი ვართ. ადრე თუ გვიან ყველამ ერთნაირად უნდა იამაყოს საერთო სახალხო გამარჯვებაში შეტანილი წვლილით. ჩემს თანამოქალაქეებს, მეზობლებს და მეგობრებს მინდა, მოვუწოდო, რომ ყველამ ერთად გავიზიაროთ გამარჯვების სიხარული. გმირობის გამოჩენა საჭირო არ არის. სხვადახვა დროს სხვადასხვა ხალხებმა გაიარეს ეს გზა და გამარჯვების გამოცდილება არსებობს. აჭარაში კი გამოცდილებას და წარსულს ეყრდნობიან. ჩემი ხალხი შეძლებს თავისი საკეთებელი თავადვე გააკეთოს. ხელისუფლებამ უნდა იგრძნოს, რომ აჭარის მოსახლეობა მას რეალურად უჭერს მხარს და - პირიქით. თუ ეს ტანდემი შედგება, ძალიან მალე მივაღწევთ იმას, რომ იქ სხვა დემოკრატიული მმართველობა და ცივილიზებული სამოქალაქო საზოგადოება იყოს.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
გიგა ნახუცრიშვილი,
ზურაბ ქიქოძე
"მუუ..."
რეჟ. ზურაბ ქიქოძე
დას. 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ა. ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟ. გ. შალუთაშვილი
დას. 19:00 სთ.

საკონცერტო დარბაზები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა 2004
დას. 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ელფი"
დას. 15:00 სთ.
"სიყვარული წესების გარეშე"
დას. 17:30 სთ.
"მონსტრი"
დას. 20:00 სთ. 22:30 სთ.

## გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე
**TMS**
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა
**ბაიას გალერეა**
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ევოლუცია"
**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 15 აპრილს, 17 საათზე** ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება". ნუგზარ შატაიძის წიგნი "ნოემბრის წვიმა", პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

# „პოეტს+„ – დათო მაღრაძის წიგნისა და ღვინის პრეზენტაცია კაფე „პარნასში„

ნანა კობაიძე

წიგნის მაღაზია "პარნასმა" "იბარტყა" და შვა კაფე "პარნასი" – პატარა და მყუდრო თავშესაფარი წიგნის მეგობართათვის. თუმცა, არა მხოლოდ მათთვის. იქ შესვლა და ჭიქა ყავის ან კარგი ღვინის თანხლებით საუბარი (აუცილებელი არაა მხოლოდ ლიტერატურაზე), დასვენება, ან უბრალოდ, დროის მოკვლა (რა თქმა უნდა, თუ ეს დრო გაქვთ), ნებისმიერს შეუძლია.

სხვათა შორის, ასეთი კაფეები თანამედროვე თბილისური წიგნის მაღაზიების აუცილებელი ატრიბუტი გახდა. მათი მფლობელები თავიანთი მყიდველ-მკითხველების ლიტერატურული არეალის გაფართოებასთან ერთად მათ გასტრონომიულ მოთხოვნილებებზეც ზრუნავენ. "ლიტერატურულ კაფეს" და "წიგნის სახლს" ეს სერვისი თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული, "პარნასმა" კი, რომელიც მათზე ადრე გაიხსნა, "შეცდომა" გუშინ გამოასწორა.

კაფე "პარნასი" წიგნის მაღაზიასთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს, ასე რომ, მკითხველებს შორს წასვლა არ მოუწევთ. კედლებზე პლაკატებია გაკრული – ძირითადად, ქართველი ავტორებისა და მათი წიგნების. "პარნასის" ერთ-ერთი მესვეურის, გია დარსალიას თქმით, ეს თავიდანვე იყო გათვალისწინებული. ინტერიერიც მათი გემოვნებითაა გაფორმებული – ღია ფერის ხით. წიგნები მცირე დოზით იქნება წარმოდგენილი ამისთვის მაღაზია არსებობსო. ლიტერატურული შეხვედრები და პრეზენტაციები კი ხშირად გაიმართება. პირველი მერცხალი პოეტი დათო მაღრაძე იყო.



*დავით მაღრაძე ავტოგრაფებს არიგებს*

მართალია, კრებული "პოეტს+" არც ისე ახალია (შარშან გამოიცა) და მისი პრეზენტაცია რამდენიმე თვის წინათ უკვე გაიმართა "ლიტერატურულ კაფეში", მაგრამ "პარნასის" მესვეურებმა კაფეს არაოფიციალური, როგორც დათო მაღრაძემ უწოდა – ლექსური პრეზენტაციისთვის სწორედ ეს ავტორი შეარჩიეს(ოფიციალური ცერემონია რამდენიმე დღეში იგეგმება). მიზეზი საპატიოა – ისინი მეგობრები არიან. პირველი პრეზენტაციისგან განსხვავებით, სადაც ავტორი თავადაც ბევრს კითხულობდა და ამ წიგნის ელექტრონული ვერსიის მოსმენის შესაძლებლობაც იყო, მეორე ნაკლებად პოეტური გახლდათ. ავტორმა მხოლოდ ორი ლექსი წაიკითხა. ამათგან ერთი – "პოეტს+" – პასუხად აბეზარი ჟურნალისტების შეკითხვაზე – რა შეიძლება მიემატოს პოეტს, მეორე კი თავის ნათლულს, ალექსანდრე ხარანაულს მიუძღვნა. სხვათა შორის, აქვე იყო ალექსანდრეს მამა, ბატონი ბესიკ ხარანაულიც, რომელსაც სივიწროვის, უჰაერობის თუ ხალხმრავლობის გამო ბედნიერი გამომეტყველება ნამდვილად არ ჰქონდა. თუმცა, ეს მხოლოდ მისი პრობლემა არ ყოფილა. სტუმართა დიდი ნაწილი გარეთ იდგა და ელოდა, როდის შეთხელდებოდა პუბლიკა.

ის იყო, ჟურნალისტთა კორპუსი (რომელთაც თავიდანვე იმარჯვეს და, ფაქტობრივად, მინი-პრესკონფერენცია გაამართვინეს ავტორს) გაიკრიფა, რომ დაიწყო შეხვედრის მეორე, არაოფიციალური და უმეტესობისთვის ფრიად სასიამოვნო ნაწილი. გია დარსალიამ დათო მაღრაძეს წითელი ღვინით სავსე ბოთლი გადასცა, რომელზეც პოეტმა წიგნის სახელწოდება – "პოეტს+" წააწერა. ბატონმა დათომ, ღვინო პოეტისააო – თავიდან კი თქვა, მაგრამ შემდეგ გულუხვად გაუმასპინძლდა სტუმრებს. გია დარსალიას თქმით, ეს ტრადიცია კაფეში აუცილებლად დამკვიდრდება. ღვინოს ან ავტორი მოიტანს, ან ჩვენ შევთავაზებთ სტუმრებსო. ასე რომ, იმის მიუხედავად, როგორი მწერალი იქნება წარმოდგენილი "პასრნასში", სტუმრები მაინც მოგებული დარჩებიან – ლიტერატურა თუ არა, ღვინო ხომ მაინც ივარგებს.

# კმარა ჩვეულებრივი გამოფენა!

### ხატვის გაკვეთილი ანუ საუბრები პრობლემებზე

თეონა ჯაფარიძე

ისეთ ტერმინს, როგორიც "კმარაა", უეჭველად საჭიროებს ქართული Art-სივრცე – დაწყებული თავად გამოფენათა ფორმებიდან, დამთავრებული სარეკლამო თუ სატელევიზიო სივრცით. მიდგომა ამ ინსტიტუციებთან საკმაოდ მოძველებულია. აქედან გამომდინარე, ქართულ თანამედროვე ხელოვნების კონტექსტიდან საერთოდ ამოვარდნილია ცნება "თანამედროვე." შედეგად კი, ხელოვნების მომხმარებელი ცუდად შეფუთულ, უფრო ზუსტად კი, საერთოდ შეუფუთავ რეკლამას, სატელევიზიო გადაცემებს, უამრავ გამოფენასა თუ ცუდად მიწოდებულ ხელოვნების ნიმუშს იღებს.

სწორედ ასეთ "შეუფუთავ ხელოვნებას" გამოუცხდეს პროტესტი Art-ისტმა მამუკა ჯაფარიძემ და მისმა სტუდენტებმა ცნობილ ნოემბრის დღეებში ქუჩის გამოფენით – "კმარა ჩვეულებრივი გამოფენა", რომელმაც შემდეგ, როგორც პერფორმანსმა, აბანოში გადაინაცვლა ფოტოაპარატების თანხლებით. ეს ქუჩაში შემთხვევით გამვლელთათვის საკმაოდ ექსტრავაგანტული და თვალში საცემი, წმინდა წყლის არტ-ისტული და არა პოლიტიკური აქცია, იდეაში, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ "ძველი ფორმების ახლით შეცვლით" ჩაჯდა რევოლუციის კონტექსტში.

თბილისში "ხელოვნების შეფუთვის" ხელოვნებას "მაფ"-ში - ხელოვნების ინტერდისციპლინარულ



*არაჩვეულებრივი გამოფენა*

ცენტრში ეუფლებიან და გვთავაზობენ კიდეც. "მაფის" მდიდარი ბიბლიოთეკა, ინსტიტუტი (სადაც ფოტოგრაფიასა და ახალ მედიებში იღებენ განათლებას) და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ექსპერიმენტული ლაბორატორია ტერიტორიულად ქარვასლაში - თბილისის ისტორიის მუზეუმშია განთავსებული. "შესალებელია, სიმბოლურიც კი არის "ქარვასლის" ტერიტორია, იმიტომ რომ ჩვენი, ანუ 80-იანელთა პირველი ოფიციალური ექსპერიმენტული გამოფენა, სწორედ აქ შედგა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს", - იხსენებს მამუკა ჯაფარიძე და გულისხმობს ახალ ქართულ ხელოვნებაში "მე-10 სართულის" სახელით ცნობილ Art-ჯგუფს.

დღეს აქ კონცეპტუალისტი მხატვარი პედაგოგის ამპლუაშია. გაკვეთილი იწყება: " გთხოვთ, უკეთესად შეისწავლოთ თქვენი პერსონა, რომ მიხვდეთ, როდის ხართ თავისუფლები და როდის ხართ რომელიღაც სტილისა და მოდის გავლენის ქვეშ. დღეს ის კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ რა იქნება წარმოდგენილი გამოფენაზე, არამედ ის, თუ როგორ წარმოადგენთ სივრცეში ნამუშევარს. ნამუშევარმა უნდა იმუშაოს როგორც ცოცხალმა ხელოვნების ნაწარმოებმა და არა - როგორც რეპროდუქციამ კატალოგიდან. ჩვენ ჩვენების ხელოვნება უნდა განვავითაროთ. დღეს საინტერესო აღარაა ხელოვნების ნაწარმოები, რომელსაც მატერიალური საგნის თვისება ექნება. მსოფლიო კულტურული ცენტრებიდან პროვინციული დისტანციის გამო, ჩვენ თანამედროვე ხელოვნებაში სიმართლის დიდი დეფიციტი გვაქვს. ის, ვინც პიკასოს ჰგავს, ან აკეთებს "კარგი ხელოვნების" იმიტაციას, ჩვენში მასზე ამბობენ, რომ კარგი მხატვარია. მე თქვენგან მეტ გამბედაობასა და თავისუფლებას მოვითხოვ. თქვენ ნებისმიერი იდეა შეგიძლიათ გახადოთ ხელოვნების ნაწარმოები"...

პედაგოგს ათკაციანი ჯგუფი უსმენს. პარალელურად, ერთ-ერთი მათგანი (ვანდა ხუციაიძე) მასწავლებლის დავალებას ასრულებს და ავტოპორტრეტზე მუშაობს: ჩანახატებით, რომელიც მოდელის შიშველ სხეულზეა მოთავსებული, საკუთარ ბიოგრაფიას ჰყვება. ნატურა პოზირებს, ვანდა კი სხეულის ფრაგმენტებზე გამოსახული ჩანახატების ფოტოების გადაღებითაა დაკავებული. ერთ-ერთ ფოტოს წარწერით -"კმარა ჩვეულებრივი გამოფენა!" ის სპეციალურად ჩვენი გაზეთისთვის აკეთებს. წარწერა კი (ისევ შეგახსენებთ) გულისხმობს: კმარა ჩვეულებრივი საგამოფენო სივრცეები და გაცვეთილი ნამუშევრები! მოძველებული სატელევიზიო შტამპები და იდეებს მოკლებული რეკლამები! კმარა აზროვნების დეფიციტი ხელოვნებაში!

# „მე უკვე ვიცი, რომ მიყვარხარ„

### ვარსკვლავები მიმართავენ ბავშვებს

თამარ ბაბუაძე

ბილი კრისტალს შესანიშნავი იუმორი აქვს, უყვარს ჯაზი, არის ჰოლივუდის გამორჩეული სახე და "ოსკარის" ცერემონიალის ერთგული მასპინძელი. ამ ზედაპირულ დახასიათებას ამ კვირაში კიდევ ორი გრაფა შეემატება, ბილი კრისტალი – ბაბუა. მწერალი.

ნიუ იორკში, მანჰეტენზე, საბავშვო მუზეუმში გამართულ პრეზენტაციაზე მსახიობმა 5 წლის ბავშვებს თავისი სადებიუტო წიგნი "მე უკვე ვიცი, რომ მიყვარხარ" წარუდგინა და წაუკითხა. ამ საღამოს აღარაფერი იყო დარჩენილი იმ ოხუნჯი და სცენაზე მოხტუნავე მამაკაცისგან, რომელმაც "ოსკარის" წლევანდელ ცერემონიალზე საზოგადოება გულიანად აცინა. პატარების წრეში ჩამჯდარი კრისტალი ბუხრის პირას მჯდომ სათვალიან მოხუცს ჰგავდა, შვილიშვილებს კეთილ ზღაპრებს რომ უყვება.

წიგნის დაწერის იდეა მსახიობს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მის ქალიშვილ ჯენის პატარა გოგონა ელა ეყოლა. ბაბუობა ის მუხტი აღმოჩნდა, რამაც მწარე სატირის ოსტატი სენტიმენტალურ და ტკბილ მოხუცად აქცია.

გამომცემლობა "ჰარპერ კოლინზის" მიერ დასტამბული წიგნი "მე უკვე ვიცი, რომ მიყხვარხარ" 40 გვერდიანია და გაფორმებულია ელიზაბეტ საილსის პასტელის ფერებში შესრულებული ილუსტრაციებით. ბაბუა-ავტორი კი მკითხველს უამბობს, თუ როგორი გრძნობაა შვილიშვილის ამ ქვეყნად მოვლინების მოლოდინი და რამხელა სიამოვნებაა ხელის გულზე მისი გულის ცემის შეგრძნება. კრისტალი ოცნებობს, თუ როგორ ისეირნებს თავის პატარასთან ერთად ზღვის სანაპიროზე, როგორ მიირთმევს მასთან ერთად სპაგეტის, როგორ წავა ბეიზბოლის მატჩზე, როგორ დაეხმარება ბავშვს ფრანის გაშვებაში... ერთი სიტყვით, ბილი კრისტალი სიყვარულად იღვრება და ელასადმი მიძღვნილ წიგნს ასეთ მინაწერსაც ურთავს: "სიყვარულის ლექსი".

"საოცარი შეგრძნებაა, როცა შენს შვილს თავისი შვილი უჩნდება. ამ გრძნობას ვერაფერს შეავადარებ", - გრძნობებს ის არც ჟურნალისტებს უმალავს და პრესასთან ურთიერთობისას ხშირ შემთხვევაში ცინიკოსი მსახიობი სენტიმენტალურ ხასიათს ავლენს. მისივე თქმით, წიგნი განკუთვნილია მშობლებისთვის, ბავშვებისთვის და ბებია-ბაბუებისთვის.

სავარაუდოა, რომ ბილი კრისტალის ზღაპარს პატარები იოლად მიიღებენ. იუმორით დაჯილდოებულ მსახიობებს ხომ მუდამ ეხერხებათ ბავშვებთან ურთიერთობა. მით უფრო, რომ კრისტალს პირველი გამოცდა უკვე გავლილი აქვს – მან დიდებთან ერთად მოზარდებიც დიდად ასიამოვნა თავისი კომედიებით "გაანალიზე ეს" და "გააანალიზე ის" რობერტ დე ნიროსთან ერთად. მანვე გაახმოვანა წარმატებული ანიმაციური ფილმის "მონსტრების კორპორაციის" პერსონაჟი მაიკ ვაზოვსკი. ასე რომ კრისტალს პატარები უკვე კარგად იცნობენ.

რაც შეეხება საბავშვო მწერლებად ქცეულ ვარსკვლავებს, მათი რიცხვი თანდათან იზრდება. ჯული ენდრიუსს, ჯერი სენფილდს, ბილი კრისტალს და მადონას 2004 წლის მარტში იუმორისტული ღამის შოუს წამყვანი ჯეი ლენოც შეუერთდა. მისი წიგნი "როსტბიფს ფრენა რომ შეეძლოს" ჩვეული იუმორით და სასაცილო ბავშვური მოგონებებითაა სავსე. კრისტალის მოთხრობისგან განსხვავებით პატარები ლენოს წიგნზე გულიანად ხარხარებენ და დიდი ხნის წინ აღძრულ ცნობისმოყვარეობასაც იკმაყოფილებენ – თურმე, ჯეი ლენოს ნიკაპი ბავშვობიდან ასეთი დიდი აქვს. და ამ დიდნიკაპა და მარცხიანი ბავშვის სახლში რა არ ხდება – ფეთქებადი ხასიათის იტალიელი მამა, ბუზღუნა შოტლანდიელი დედა, როსტბიფი და მსუნაგი ჯეი – სასაცილო და ხიფათიანი ბავშვური ამბები სწორედ ამ "ჭრელ" გარემოცვაში ვითარდება.

ასე რომ, ინგლისურენოვან ბავშვებს ბედნიერი გაზაფხული დაუდგათ. მათთვის ერთაბაშად ორი სასაცილო კაცი – ჯეი ლენო და ბილი კრისტალი წერს.

# ბრაზილიელი განგსტერები „ქრისტეს ვნებანის„ მოლოდინში

თეონა ჯაფარიძე

22 აპრილს თბილისელი მაყურებელი სკანდალურ მსოფლიო პრემიერას დაგვიანებით შეუერთდება და მელ გიბსონის ფილმის ფინანსურ წარმატებაში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს. ჩვენთან ამ ჰოლივუდური სახარების ჩვენებას, მწვანე შუქი საქართველოს საპატრიარქომ აუნთო. მანამდე კი "რუსთაველში" ბრაზილიურ განგსტერულ საგას აჩვენებენ.

"ღმერთების ქალაქი" კი რეალურად არსებობს და მას რიო დე ჟანეიროს გარეუბანს უწოდებენ. ის კრიმინალების უბანია და იქაური ისტორიები ხშირად გამხდარა განგსტერული ფილმების შექმნის საბაბი. ბრაზილიელი კინორეჟისორის - ფერნანდუ მეირელეშის "ღმერთების ქალაქს", რომელსაც 16 აპრილიდან კინოთეატრ `რუსთაველში" ქართველი მაყურებელიც იხილავს, ბევრი ამსგავსებს განგსტერების ცნობილ ისტორიას "ერთხელ ამერიკიდან" და მას ასეც კი უწოდებენ: - "ერთხელ ამერიკაში" ბრაზილიურად. ბევრმა კი ფილმში მოთხრობილი ისტორიის გამო ანალოგიები 70-იანი წლების ცნობილ, შეიძლება ითქვას ჰიტად ქცეულ სურათთან "ქვიშის კარიერის გენერლებთან" გაავლო. ცნობილი კლასიკოსის ჟორჟ ამადუს "ქვიშის კრიერის გენერლების" რეჟისორ ჰოლ ბარტლეტისეული ეკრანიზაციის მსგავსად, ახალი ბრაზილიური განგსტერული საგას მთავარი გმირებიც მოზარდები და ბავშვები არიან. ფერნანდუ მეირელეშმა რეალური ისტორიის გასაცოცხლებლად უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის უარი თქვა პროფესიონალ მსახიობებზე და ფილმში რიო დე ჟანეიროს გარეუბნელი ახალგაზრდები დაასაქმა.



*კადრი ფილმიდან „ღმერთების ქალაქი"*

ფერნანდუ მეირელეშს ლათინოამერიკული კინემატოგრაფის ახალი ტალღის წარმომადგენლად მოიაზრებენ. მისი "ღმერთების ქალაქი" 2002 წელს გამოვიდა მსოფიოს კინოეკრანებზე და დღემდე სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალების 35 ნომინაციიდან 25-ის მფლობელი გახდა. მათ შორის აღსანიშნავია ბრიტანეთის კნოაკადემიის, ვენეციისა თუ ტორონტოს კინოფესტივალებზე წარმატებები. 2003 წელს ფილმს ოსკარმა არ გაუმართლა, ხოლო 2002 წელს, "ღმერთების ქალაქი" გამოსვლისთანავე კანის 55-ე კინოფესტივალის პროგრამაში ჩასვეს, როგორც არასაკონკურსო ფილმი.

გუშინ, კინოთეატრ "რუსთაველში" გამართულ პრესკონფერენციაზე, "რუსთაველის" მენეჯერი ბიზნესგანვითარების დარგში ირაკლი ჩიკვაიძე, ჟურნალისტებს ფილმის გახმოვანების თავისებურებებზე ესაუბრებოდა. " ფილმი პორტუგალიურ ენაზეა და წმინდა ემოციებზე აგებული დიალოგები დამახინჯდება თუ მას ვთარგმნით. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ან ზემოდან "დავადოთ" რუსული თარგმანი ან რუსული სუბტიტრების მეშვეობით ვაჩვენოთ ის მაყურებელს."

კინოთეატრის მენეჯერი "რუსთაველის" ახალ გეგმებზეც გვესაუბრა: დირექცია აშკარად გრძნობს ჟანრობრივად კინოთეატრის რეპერტუარის გამრავალფეროვნების აუცილებლობას. კინოთეატრ "რუსთაველში" მაყურებელთა ოთხ მინიდარბაზის აშენებას გეგმავენ და ჰოლივუდურ ბლოკბასტერებზე გათვლილ მაყურებელს, მომავალში აქ იმედია ევროპული, ინტელექტუალური კინოს მოყვარულებიც შეემატებან.

# სასაცილო ღვინოები არასერიოზული ქვეყნიდან

“გიჟი თევზი”, “მეხუთე ფეხი”, “ხუმარა”...

შესაძლოა, ავსტრალიური ღვინოები მსოფლიოში საუკეთესო არ იყოს, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად არის. რაც მთავარია, ავსტრალიელები თავიანთ ალკოჰოლურ ნაწარმს ყველაზე ორიგინალურ სახელებს არქმევენ და შედეგიც სახეზეა – იქაური ღვინის პოპულარობა საერთაშორისო ბაზარზე დღითი დღე იზრდება. უცნაური, ხშირად იუმორში გადაწყვეტილი სათაურები, რომელთაც ავსტრალიური ღვინის ბოთლებზე შენიშნავთ, როგორც ჩანს, შესანიშნავი სამარკეტინგო ხერხია. მაგრამ ეს სახელები ავსტრალიელების ეროვნულ ხასიათზეც მიგვანიშნებს – ეს ხალხი დიდ პატივს სცემს სერიოზულ ღვინოს, მაგრამ გარეშე თვალს არასდროს უმხელს, რომ ღვინის თემას სინამდვილეში ზედმეტი სერიოზულობით უდგება. ანუ, გამოდის, რომ ბოთლების იარლიყებზე დაფიქსირებული სასაცილო სათაურებით ავსტრალიელები ამ ძვირფასი სასმელისადმი თავიანთ სერიოზულ დამოკიდებულებას და სიყვარულს ნიღბავენ.



ასეა თუ ისე, ბოლო წლებში ავსტრალია რამდენიმე ახალ პროდუქტს გვთავაზობს. მათგან უკლებლივ ყველას ორიგინალური სათაური აქვს, ზოგიერთი მათგანი კი შესანიშნავი გემოთიც გამოირჩევა. აი, ამერიკელი ექსპერტების რამდენიმე რჩევა იმ შემთხვევისთვის, სადმე ავსტრალიური ღვინის გასინჯვა თქვენც რომ მოგიხდეთ:

2002 წ. Fifth Leg (“მეხუთე ფეხი”, სუფრის თეთრი ღვინო, დასავლეთ ავსტრალია): სემილონისა და შარდონაის ეს ნაზავი კომპლექსურობით გამოირჩევა. ეს ღვინო უამრავ შესანიშნავ გემოს აერთიანებს. საკმარისია ერთი ჭიქაც და თქვენ იგრძნობთ: ლაიმის, ლეღვის, მსხლის, ნესვის, მწვანილების სასიამოვნო მიქსს.

2002 წ. Piping Shrike Shiraz (“ბასრნისკარტა შირაზი”, ბაროსას ხეობა): ამ სრულყოფილ შავ ღვინოს მაყვლის, შოკოლადისა და ნახშირის გემო დაჰკრავს. თუმცა, მას ცოტაოდენი დაღვინება სჭირდება, რათა უფრო ნაზი გემო შეიძინოს და ამით ახლანდელი სიმჭახე და უბრალოება გაანეიტრალოს.

2002 წ. Mitolo Jester Shiraz (მიტოლო ხუმარა შირაზი, მაქლარენის ხეობა): ეს ღვინო სიამოვნებას ახლავე გპირდებათ, მაგრამ გამოცდილი დეგუსტატორი იმასაც უმალ მიხვდება, რომ “ხუმარას” განვითარება ჯერაც არ დაუსრულებია. რამდენიმე ხნის შემდეგ ის შეიძლება კიდევ უკეთესი გახდეს. ამ ღვინოში მძაფრად იგრძნობა მაყვლის, შოკოლადის, შებოლილი ხორცის და სხვადასხვა მწვანილის გემო.

2002 წ. Annie’s Lane Chardonnay (ენის ლეინ შარდონაი, ქლერის ხეობა): ეს ავსტრალიური შარდონაი თავისი ფრანგული ნათესავისგან ძალიან განსხვავდება. გახლავთ ცალსახად მშრალი ღვინო ვაშლის, თხილის, ლიმონის სურნელოვანი არომატით. ჭიქის დაცლისას პირში მკვეთრი და სუფთა გემო გრჩებათ.

2003 წ. Woop Woop Shiraz (“ვუფ ვუფ შირაზი”): ეს გახლავთ შავი ღვინო მაყვლისა და შოკოლადის არომატით, რომელიც შესანიშნავია შემწვარ ქათამთან ან წითელ ხორცთან ერთად.

2002 წ. Mad Fish Shiraz (“გიჟი თევზი”, დასავლეთ ავსტრალია): ეს ნაზი, სრულყოფილი შავ ღვინო უამრავი სანელებლებითაა გაჯერებული. დალევამდე კარგად შეისუნთქეთ მისი არომატი, მაყვლის გამაბრუებელმა სურნელებამ შეიძლება დაგავიწყოთ კიდეც, რომ სინამდვილეში ღვინოს სვამთ.

2002 წ. Angus the Bull Cabernet Sauvignon (“ხარი ანგუსი. კაბერნე სავინიონი”): ეს კლასიკური კაბერნე შავი მოცხარის, ალუბლის და შოკოლადის არომატითაა სავსე, კომპლექსური და სოლიდური აგებულებისაა და დაძველების კარგი შანსებიც აქვს.

2003 წ. Mad Fish Chardonnay (“გიჟი თევზი. შარდონაი. დასავლეთ ავსტრალია”): ვის სჭირდება საერთოდ მუხა? ეს ავსტრალიური შარდონაი, რომელსაც ხესთან არანაირი კავშირი არ აქვს მაცოცხლებელი სიმჟავით და მსხლის, ნესვის, ატმის, თაფლის, ციტრუსოვანი ხილის და მარციპანის ენერგიით აღმვსები მიქსით გამოირჩევა. ეს ღვინო მშვენივრად ისმება ზღვის სამზარეულოს კერძებთან ერთად, მაგრამ ის კარგია მარტოც, რადგან უნიკალური ნაზავის გამო ხსნის დაღლილობას, გავსებთ ენერგიით და თქვენი გემოვნების გამრავალფეროვნებაზეც ზრუნავს.

2002 წ. Wishing Tree Shiraz (ნატვრის ხე, დასავლეთ ავსტრალია): არ არის გამორიცხული, ამ ღვინის გასინჯვის შემდეგ ნატვრის ხეს გემოს უფრო მეტი კომპლექსურობა ჩაუთქვათ, მაგრამ უკმაყოფილო მაინც არ დარჩებით. ამ შავ ღვინოს სრულყოფილამდე ბევრი აკლია, მაგრამ თავისი მსუბუქი ხიბლით მაინც მოგხიბლავთ.

აი, სწორედ ამ ღვინოებს ამზადებენ ავსტრალიელები დიდი რუდუნებით, ამ რუდუნებას კი სასაცილო და არასერიოზული სათაურებით ნიღბავენ. ასე რომ, გახსოვდეთ, რაც არ უნდა სულელური სახელი ერქვას ავსტრალიურ ღვინოს, მის გასინჯვაზე უარი არაფრით თქვათ – არასერიოზულობის მიღმა ღვინის დიდი სიყვარული, ვაზის პატივისცემა, თავაულებელი შრომა და დახვეწილი გემოვნება იმალება – ამ ყველაფერს კი თქვენ წინაშე მოთავსებული ერთი ბოთლი “მეხუთე ფეხი” ანდა “გიჟი თევზი” აერთიანებს. ასე რომ, ისიამოვნეთ.

# ფანტაზიასა და რეალობას შორის

დევიდ რანკინი

ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, ოლდ სტრიტზე განლაგებულ სახელოსნოში მისი პოვნა საკმაოდ რთულია. სახელოსნოში გაშიშვლებულ კალიფორნიელ ქალს მიაჩერდებით, ქვიშის ბორცვზე მწოლს - ფოტოზე სანაპირო უნდა იყოს აღბეჭდილი. უზარმაზარ ოთახებში ოცზე მეტი ადამიანია ტელეფონებთან და ეკრანებთან მიმჯდარი, თავად რანკინი კი არსად ჩანს. იმ ხმას უნდა მიჰყვეთ, რომელიც ყველაზე ხმამაღლა ისმის, მძიმე, შოტლანდიური აქცენტით გასცემს განკარგულებებს. ასეთი ხმა პიცის მიმტანს ან კურიერს უფრო შეეფერება, ის კი ხმამარლა აცხადებს, რომ კიდევ ხუთი წუთი სჭირდება, რადგან სურათი აქვს დასამთავრებელი.



ეს რანკინია. სულ მალე ის კვლავ მათ შორის უჩინარდება, ვინც კომპიუტერის ეკრანებზე თეთრ ფონს ლურჯ ცად და ქვიშის ბორცვს სანაპიროდ აქცევენ. ამბობენ, რომ ზოგ ფოტოგრაფს თავისი სურათები ისე უყვარს, რომ საკუთარი სახე სავსებით ავიწყდება, მთელი ენერგია მათკენ აქვს მიმართული. ასეთი ფოტოგრაფის ნათელი სახე რანკინია. ფეხშიშველია, თმადაუვარცხნელი, შარვალი სძვრება, და რომ ჰკითხოთ, რა ფერის პულოვერი აცვია, გიპასუხებთ, რომ არ იცის, რადგან პულოვერს ფერი არა აქვს.

რანკინის უამრავი ფოტოალბომის თვალიერებისას მის საყვარელ ხელოვანს, მადონას და სხვა ვარსკვლავებს შეხვდებით, და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით იმაში, რომ რანკინი დიდებული, მაგრამ ფრიად უჩვეულო პორტრეტისტია. არცაა გასაკვირი, რომ მამამისს ერთხელ დიდი მარცხი მოუვიდა: ვაჟმა ტონი ბლერის პორტრეტი გაუგზავნა და მამამ უმალვე დაურეკა, ჰკითხა, ვინაა ეს კაცი, ტონი ბლერს ასე მაგრად რომ ჰგავსო? ტონი ბლერს იგივე დაემართა, რაც ოდესღაც რანკინმა მადონასა თუ დედოფალს დამართა.

“ტონი ბლერი ხუთი წუთით დამითმეს,” მოჰყვა რანკინი. “ხუთ წუთში ხუთი განსხვავებული სურათი გადავიღე. იქვე, გვერდით ოთახში, “ვენიტი ფერი” თუ რაღაც მსგავსი განლაგდა, იმათ ერთი საათი ჰქონდათ – მხოლოდ ერთი სურათისთვის”. რანკინი ამ ამბავს ამაყად მოჰყვა – მოსწონს, რომ ოფიციალურ ფოტოგრაფებს სჯობნის.

ამისთვის ის ძალიან ბევრს მუშაობს და იმ ფოტოგრაფთა რიცხვს არ განეკუთვნება, სტუდიაში ერთი-ორი წუთით რომ შეირბენენ ხოლმე დასკვნითი ფოტოსურათის გადასაღებად. ის ცალკეულ სურათებს არ იღებს, ერთდროულად მთელ სერიებზე, კონცეფციებზე, კამპანიებზე ფიქრობს და ზოგჯერ მაგიდაზე თავჩამოდებულს ეძინება ხოლმე, ხმაურსა და კაშაკაშა სინათლეში.

20 წლის ასაკამდე რანკის ფოტოგრაფობა აზრადაც არ მოსვლია. 1986 წელს ის ბრაიტონში სწავლობდა და ჟურნალები აღმოაჩინა - The Face და iD. “გადაღება დავიწყე. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვიღებდი, ყველაფერს, რაც თვალში მხვდებოდა, ასე რომ, ბევრი არაფერი მცოდნია,” ჰყვება რანკინი. “ფოტოგრაფია ის გზა აღმოჩნდა, რომელსაც ვეძებდი”. ის იგონებს, რომ მისმა გატაცებამ მშობლები ძალიან გააღიზიანა: “ვაჭრები იყვნენ და ვერ წარმოედგინათ, რომ ფოტოგრაფიით არსებობა შესაძლებელი იყო”.

ეს მძიმე წელი იყო – პირველი წელი “რანკინობის გზაზე”. დილით ორ-სამ საათს ფოტოსკოლაში ატარებდა, მერე ფულის გასაკეთებლად მუშაობდა – ჭურჭლის მრეცხავად, კურიერად, საღამოს კი კინოში ატარებდა ხოლმე, მაყურებლებს ადგილებს უთითებდა. “ურიგო არ იყო. ფილმს ასჯერ რომ ნახავ, მერე მის სურათებად დანაწევრებას იწყებ, შუქ-ჩრდილს აკვირდები...”

ფოტოსკოლის დამთავრების შემდეგ რანკინი ლონდონში, სხვა კოლეჯში გადავიდა სასწავლებლად, მერე უმაღლესი კინოსასწავლებელი დაამთავრა. “ჩემი პედაგოგები ფოტოგრაფიის პოლიტიკის ჩინებული მცოდნეები იყვნენ, მაგრამ მათ ნაწილს წლების განმავლობაში არც ერთი სურათი არ ჰქონდა გადაღებული. ეს ჩემში პროტესტს იწვევდა”. რანკინი გრძნობდა, რომ ახალი დრო დადგა და ეს დრო სიახლეს მოითხოვს, ახალ სახელებს და ახალ სახეებს.

რანკინი თავის მეგობარ ჯეფერსონთან ერთად დაწყობილი დიდი გეგმების ამბავს ჰყვება: “მშივრები ვიყავით და სწრაფად ვსწავლობდით. ყველა ჟურნალს ვათვალიერებდით, ფოტოებს ვუკირკიტებდით, იმას, თუ როგორ იყო ისინი შესრულებული. ჩვენ სააგენტოებში დავდიოდით და ვიკვლევდით, რა სახის ფოტოები სჭირდებოდათ.” მისი სტილიც ასეთია: სხვების შესწავლის შედეგი, უბრალოდ, ძალიან გაიოლებული და ახლებურად შესრულებული, ეკლექტური, ტაბუების უგულებელმყოფელი: “კოლეჯში ჩემი პირველი საგამოცდო ნამუშევარი 75 წლის ქალის პორტრეტები იყო. სხვა ამას ვერავინ გაბედავდა”.

ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლის დროს რანკინმა და ჯეფერსონმა გაზეთი Untitled, შემდგომ კი ჟურნალი Dazed & Confused დააარსეს. ამ უკანასკნელმა სულ მალე არამარტო ახალგაზრდა, ახალი ფოტოგრაფები მიიზიდა, ის სარეკლამო სააგენტოებისა და არტ-დირექტორების აუცილებელ საკითხავადაც იქცა. მათ რანკინის სახით ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინეს. “მე მგონი, დიდი შეცდომაა, როცა სტილს მიაგნებ და მერე აღარასოდეს უღალატებ. ეს ფოტოგრაფიის არსს ეწინააღმდეგება,” მიაჩნია რანკინს, რომელიც, ერთი ფოტოკრიტიკოსის სიტყვების თანახმად, “კარგი ფოტოგრაფია, მაგრამ რას იღებს – კაცმა არ იცის”.

რანკინი დარწმუნებულია, რომ ჭურჭლის რეცხვისა თუ კურიერობის დროს ფასდაუდებელი გაკვეთილები მიიღო, და სწორედ ამიტომ შეუძლია, ჩვეულებრივი ადამიანის ინსტინქტები და სურვილები ჩამოაყალიბოს. ის ჩვენს დაფარულ ფანტაზიებშიც ერკვევა და თითოეული ადამიანის სულის სიღრმეში არსებულ ექსჰიბიციონისტურ ტალღასაც იჭერს. ჩვეულებრივი, რიგითი ქალებისა და მამაკაცების შიშველი სხეულების გადაღების შემდეგ მან წიგნი გამოსცა - Nudes. მამაკაცთა ფანტაზიების ხორცშესხმა Women on Top იყო, Snogs კი - წყვილები, რომლებიც ერთმანეთს თავდავიწყებით კოცნიან. “მთელი სექსი ხომ მხოლოდ ფანტაზიაა,” - ამბობს რანკინი.

რანკინი ყველას იღებს – ცნობილ ადამიანებს და რიგით მოქალაქეებს, ლამაზმანებს და უშნო ქალებს, თავად დედოფლის პორტრეტიც აქვს გაკეთებული. ის ძალიან ამაყობს იმით, რომ ვარსკვლავებს მასთან მუშაობა უნდათ, რადგან “მასზე უკეთ მათ ვერავინ იღებს”. ეამაყება და თან ცოტა უკვირს, და რადგან ამას ვერ მალავს, თავის ამ მდგომარეობას თავად აძლევს შეფასებას: “იმათაც ეამაყებათ და თან უკვირთ, ვერ გაუგიათ, რა კაცი დგას კამერასთან”.

სავსებით შესაძლებელია, რომ რანკინი არ ცდება.

# ოპერაცია მედიჩი და მსგავსი გაუგებრობები



ანა კორძაია-სამადაშვილი

“მოგცლია, ერთი,” იტყოდა ხოლმე ერთი ჩემი ნაცნობი. საუბრის თემას მნიშვნელობა არ ჰქონდა – ყველაფერზე ერთი პასუხი ჰქონდა მზად: “მოგცლია, ერთი!”

დღეს, როცა კულტურისა და ცხოვრების სტილის სფეროებში უკანასკნელ ცნობებს გადავხედე, დავრწმუნდი, რომ კაცობრიობას, ყოველ შემთხვევაში, მის იმ ნაწილს, რომელსაც მედია ინფორმაციას აწვდის, აშკარად მოსცლია. მეც მომცლია, მართალი ბრძანდებით.

მოცლილები მხოლოდ ჟურნალისტები და მკითხველები როდი ყოფილან. არც მეცნიერებს ჰქონიათ უკეთ საქმე. ასე, იტალიელ მეცნიერებს ფლორენციაში სახელგანთქმული მედიჩების ოჯახის 49 წევრის საფლავის გახსნა ჰქონიათ ჩაფიქრებული. რატომ? თურმე, ამ აქციის მიზანი ერთ დროს გვირგვინოსანთა გარდაცვალების ნამდვილი მიზეზების, ავადმყოფობებისა თუ კვების რაციონის დადგენაა. რაში აინტერესებთ, რას ჭამდა ვიღაც მედიჩი ასეულობით წლის წინათ? თუმცა, პრინცესა დაიანას ბულემიაზე იმდენი ილაპარაკეს, რომ აღარაფერი მიკვირს.

“ოპერაცია მედიჩი” აპრილის ბოლოს დაიწყება. გაზეთი “ლა რეპუბლიკა” წერს, რომ ჯერჯერობით მედიჩების სალოცავში და სან ლორენცოს ეკლესიაში ცალკეული საფლავებია გახსნილი.

იტალიელებს, როგორც ჩანს, ასეთი უჩვეულო აქციები ძალიან იტაცებთ. ასე, 1998 წელს, სიცილიაში, საბრალო იმპერატორ ფრიდრიხ II-ის (1194-1250) ექსჰუმაციის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ სარკოფაგში კიდევ ერთი ქალი და ვიღაც კაცი იწვნენ.

საზოგადოების არაჯანსაღი ინტერესები აღარც ფრიდრიხს ადარდებს და აღარც სულმნათ მედიჩებს. მაგრამ, ნორვეგიის პრინცესა მეტე-მარიტი ჩვენი თანამედროვე, 30 წლისა გახლავთ. მეტსაც მოგახსენებთ, ის უმსგავსოდაც იქცევა და მანქანას უადგილო ადგილას აყენებს ხოლმე. გაზეთი Dagbladet განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამბავს გვატყობინებს: თავისი ქალიშვილის, პრინცესა ინგრიდის ნათლობასთან დაკავშირებით გვირგვინოსანმა გადაწყვიტა, პატარისთვის რაღაც-რაღაცები ეყიდა (რა – უცნობია, გაზეთი ამის შესახებ დუმს, ეტყობა, ვერ გაარკვია). პრინცესამ მანქანა, ვოლვო უადგილო ადგილას, გზაჯვარედინთან გააჩერა. ამ ამბავს არავინ გადაჰყოლია, გამვლელები, უბრალოდ, მხრებს იჩეჩავდნენ, ვინ არის ამ მანქანის უპასუხისმგებლო მძღოლიო. ხომ მაგარია?

ისე, პრინცესას მიმართ აშკარა სიმპათიის მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ ზოგჯერ ის გაუგონარ სისულელეებს გაიძახის ხოლმე, ისეთს, ნებისმიერ სუპერმოდელს რომ შეშურდება. როცა მისი ქალიშვილი ინგრიდი თერთმეტი დღისა შეიქმნა, მან პრესას მოახსენა, რომ ის თავის ქალიშვილს, უბრალოდ, ინგრიდს ეძახის, მის მეუღლეს კი - სრულ სახელს, ინგრიდ ალექსანდრას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის ძალიან გულითადი მამაა, მომავალ დედოფალს საფენებს უცვლის ხოლმე, “ეს კი ძალიან ძნელი საქმეა”.

იმედი მაქვს, რომ მეტე-მარიტს მის შესახებ ჩემი აზრი ნაკლებად ადარდებს, და ჩვენი გაზეთი გერმანელი ჟურნალისტების ბედს არ გაიზიარებს. ამ უკანასკნელებს, კერძოდ, გაზეთ “ეხო დერ ფრაუს” თანამშრომლებს შავი დღე დაადგათ, და ახიც იყო მათზე. ჯერ მარტო სათაური რად ღირს: “საშინელი ეჭვი. მეტე და ჰააკონი – ქალი ორსულადაა, კაცს სხვა ქალი ჰყავს”. მეტე-მარიტი გამხეცდა და სასამართლოს მიმართა.

მაგრამ წელს, მარტის დასაწყისში, ჟურნალისტებმა კვლავ საფუძვლიანად შეძლეს მისთვის ნერვების მოშლა, იმდენად, რომ მეტე-მარიტის და მისი მეუღლის დაცვის სამსახურს გვირგვინოსანთა უსაფრთხოებისთვის დამატებითი ზომების მიღება მოუწია.

საქმე ისაა, რომ გაზეთ Se og Hor-ის კორესპონდენტმა გონივრულად გათვალა, რომ მოცლილ მკითხველს პრინცესას აპარტამენტების აღწერილობა ძალიან დააინტერესებდა, და ისეთი სიზუსტით გადმოსცა ყველაფერი (ხუთ გვერდზე, გეგმის ნახაზით!), რომ ათასი ჯურის მოცლილს – თუ ავადმყოფს, როგორც გაგიხარდებათ – მეტე-მარიტისთვის დიდი ზიანის მიყენების სრული შესაძლებლობა მიეცა. ასეთი ხალხი, მოგეხსენებათ, არსებობს, სამეფო ოჯახების ყოფის მიმართ გამწვავებული ინტერესის მაგალითი თუნდაც ზემოთ მოთხრობილი მედიჩების ამბავია. მეტე-მარიტი კი ცოცხალია, და ვის რა მოელანდება, კაცმა არ იცის.

Se og Hor-ის რედაქტორი თავს იმართლებდა, პრინცესას არაფერი დაუშავდება, მე დანამდვილებით ვიცი, რომ აპარტამენტები შესანიშნავად დაცულ შენობაშია განლაგებული და შენობა გალავანშემორტყმულ პარკში დგასო. ეს ისედაც ყველამ იცის, ისევე, როგორც მეტე-მარიტის ცოლ-ქმრული სარეცელის განლაგება. მე რომ მკითხოთ, გულისამრევი ამბავია. წარმოიდგინეთ, რამდენი მოცლილი ფიქრობს პრინცესაზე, თან რას...

ისე, თუ მსგავსი ამბები გიხარიათ – კაცია და გუნება! - მინდა მთლად გაგახაროთ და მოგახსენოთ, რომ ცოტა ხანში გასაოცარი სანახაობის შემსწრე გახდებით: როგორ ჯდება აბაზანაში ბრიტნი სპირსი. 22 წლის ბრიტნი! სწორედ ის, მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალად რომ აღიარეს! ის ბრიტნი სპირსი, სცენაზე რომ დგას ხოლმე! აუ, რა იქნება!

ინტერნეტ-სამსახური Dotmusic იუწყება, რომ მომავალი, “ცოცხალი” შოუ (პირობითი სახელწოდებით OnTourage) ექვსი კვირის განმავლობაში გავა ეთერში, და თითოეული ეპიზოდისთვის ხარჯები ერთ მილიონ დოლარს შეადგენს. გადასაღები მოედანი ევროპა იქნება, სადაც ბრიტნი ტურნეს მართავს.

ბრიტნის მხრიდან ეს ბევრი ვერაფერი ორიგინალობაა - თავის დროზე მადონამ აჯობა და “საწოლში მადონასთან” შემოგვთავაზა. მაგრამ, როგორც ჩანს, პროდიუსერებს მაინც მრავალი მოცლილი მაყურებლისა და დიდძალი შემოსავლის იმედი აქვთ, თორემ ისეც არ მოსცლიათ, რომ რაღაც მაიმუნობაში მილიონები ხარჯონ.

■ ■ ■

მე კი კვლავ ვაგრძელებ ახალი ამბების, ანუ ჭორების კითხვას. მართალია, არც მეტე-მარიტის საძინებელში შეპარვას ვაპირებ და არც მობანავე ბრიტნი სპირსის ცქერის პერსპექტივა მახარებს, მაგრამ მაინც ვკითხულობ – მომცლია, რა...

მოკლედ

# „მონაკოს" და დიდიე დეშამს ჩემპიონთა ლიგის მოგება სურთ



*დიდიე დეშამს ლიგის მოგება უნდა*

მოგეხსენებათ, საფეხბურთო კლუბი "მონაკო" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. ამან თვით "მონაკოს" მწვრთნელი დიდიე დეშამიც კი განაცვიფრა. გუშინ მოწვეულ საგანგებო პრესკონფერენციაზე დეშამმა განაცხადა, რომ გაკვირვებულია მისი გუნდის ასეთი უეცარი და მოულოდნელი თამაშით და წარმატებით. თუმცა, ამას "მონაკოს" გულშემატკივარი დიდხანს ელოდა. ბიჭებმა, მართლაც, ბევრი იშრომეს და ეს შრომა დაუფასდათ. კიდევ ბევრი გვაქვს საბრძოლველი, რომ მიზანს მივაღწიოთ. უაღრესად ძლიერი მოწინააღმდეგეები გვყავს, ამიტომ ძალიან გაგვიჭირდება. ახლა ზეიმის დრო არ არის. უფრო მეტი უნდა ვივარჯიშოთ და არ შევისვენოთ. გუნდისთვის მთავარია ამბიცია, თავდაჯერებულობა და შეწყობა. თუ ამას შევძლებთ, ნებისმიერ მიზანს მივაღწევთ. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩემს გუნდს აქვს, ამიტომ მიზანს უნდა მივაღწიოთ. ასე დაამთავრა პრესკონფერენცია ბატონმა დეშამმა. მას, როგორც გითხარით, თასის აღების დიდი იმედი აქვს. სულ ცოტა ხნის წინათ დიდიე დეშამს "მონაკოს" ხელმძღვანელობასთან პრობლემები ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელი მოვლენების შემდეგ კლუბის პრეზიდენტი მადლიერი დარჩა და დეშამმა კიდევ რამდენიმე წლით გაინაღდა სამსახური.

# მაიკლ ნორტეი თავის დიდ ძმას აბრაზებს

გასულ შაბათს ცნობილმა ჩოგბურთელმა მაიკლ ნორტეიმ თავის ძმასთან პატრიკ ნორტეისთან ითამაშა. ყველას ეგონა, რომ პატრიკი გაიმარჯვებდა, რადგან ძმასთან შედარებით გაცილებით ძლიერი, გამოცდილი და მეტი ტიტულის მფლობელია. ეს მატჩი ერთ-ერთი ცნობილი ტურნირის შესარჩევი შეხვედრა იყო. მატჩი ცნობილ "აკრას თენისის" კორტებზე გაიმართა. პირველი სეტი, როგორც მოსალოდნელი იყო, პატრიკმა მოიგო – 7:5. მომდევნო ორ სეტში მაიკლმა გაიმარჯვა – 6:3, 6:2. ჩოგბურთის მოყვარულებს კი გაუკვირდათ, მაგრამ თვითონ მაიკლი ძალიან გახარებული იყო, რადგან მან პირველად სძლია ძმას. ამის მიუხედავად, პატრიკი ქულებით მაინც ბევრად წინ არის მაიკლზე. ექსპერტები ფიქრობენ, თუ მაიკლმა ასე გააგრძელა, დიდი შანსი აქვს, მოხვდეს წლევანდელ სამხრეთამერიკულ ათეულში, რაც მისთვის დიდი წარმატება იქნება.

ჟურნალისტებთან საუბარში პატრიკმა განაცხადა, რომ იგი სრულიად არ ელოდა მაიკლის ასეთ წარმატებას და ცოტათი გაბრაზებულია, რადგან უმცროს ძმასთან წააგო: "ეს წაგება ჩემი ბრალია, რადგან სერიოზულად არ ვუყურებდი მაიკლს. განსაკუთრებით პირველი სეტის შემდეგ. ისლა დამრჩენია, მას წარმატებები ვუსურვო".

მასალები მოამზადა
ნიკა ამირეჯიბმა

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 15 აპრილი

**НТВ+ ФУТБОЛ**
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1990. პირველი წრე. "BOSTON CELTICS" - "NEW YORK KNICKS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "ხორხე ვილსტერმანი" (ბოლივია)
15:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "ბეტისი" – "ბარსელონა"
17:00 "დარტყმა გოლისთვის"
17:05 თავისუფალი დარტყმა
17:15 რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. "კრილია სოვეტოვ" – ცსკა. პირველი მატჩი
19:00 რუსეთის თასი. ფინალი. "როსტოვი" – "ტორპედო-მეტალურგი". პირველი მატჩი
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:10 "FUTBOL MUNDIAL"
21:40 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:10 ლიბერტადორესის თასი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "ხორხე ვილსტერმანი" (ბოლივია)
23:55 თავისუფალი დარტყმა
00:10 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:10 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:35 03:35-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1995. პირველი წრე. "UTAH JAZZ" - "HOUSTON ROCKETS". მე-5 თამაში

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:40 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი
14:35 "ათენის გზაზე"
15:35 "Power week – NHL-ის კვირა"
16:05 ბოულინგი. PBA Tour მედფორდში. აშშ
17:15 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
18:30 აკრობატული როკ-ენ-როლი. მსოფლიო თასი მოსკოვში
20:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი
01:15 ახალი ამბები
01:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
02:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
02:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
11:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
11:45 ჩოგბურთი. ახალბედა
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
15:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
16:15 ფეხბურთი. უეფას თასი
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი
18:15 ჩოგბურთი. ATP-ს ტურნირი პორტუგალიაში
19:45 ფეხბურთი. უეფას თასი
20:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
22:15 ფეხბურთი. უეფას თასი
23:15 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
23:30 კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი IBF/WBA გერმანიაში
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
02:00 ახალი ამბები
02:15 მხედრული ორთაბრძოლები. ტურნირი საფრანგეთში
03:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# რა (ვინ) ამღვრევს წყალს „დინამოში"

მიხეილ აბაიშვილი



*შუშაკი გულახდილად საუბრობს*

თბილისის "დინამო" აშკარა კრიზისშია. თანაც, რაც უფრო ხურდება ჩემპიონატი და სათამაშო პრაქტიკა იმატებს, იმის ნაცვლად, რომ გუნდი ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში შევიდეს, ეს კრიზისი სულ უფრო ღრმავდება. ზედიზედ მეოთხე მატჩია, "დინამო" ვერ იგებს. მეტიც: პირველი ეტაპის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატის გამოკვეთილმა ლიდერმა (ეს ფრაზა თანდათან ირონიულ ელფერს იძენს) 4 შეხვედრაში 12 შესაძლებლიდან სულ 2 ქულა აიღო, ბოლო ტურში უშუალო კონკურენტთან, "ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხდა, მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდა და მე-4 ადგილზე მყოფ "თბილისსაც" 1 ქულითღა უსწრებს. თუმცა, თუ ოპტიმისტურად შევხედავთ ვითარებას, "დინამო" სულ 2 ქულით ჩამორჩება ლიდერს, "სიონს". იმის გათვალისწინებით, რომ ჩემპიონი ხვალ "დილას" მასპინძლობს, რომლის დამარცხებაც "სიონს" სტუმრად არ გაუჭირდა, ხოლო ბოლნისელებს უძნელესი გასვლა ელით "თბილისთან", სავარაუდოა, რომ "დინამომ" დაკარგული პირველი პოზიცია დაიბრუნოს. თუმცა, "დინამოს" მიერ შემოთავაზებული წარუმატებელი თამაშების გრძელი სერია ნაკლებად იძლევა ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს.

"24 საათმა" ერთი კვირის წინ შემოგთავაზათ ვრცელი ინტერვიუ "დინამოს" მთავარ მწვრთნელთან ივო შუშაკთან. თუმცა, ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, შუშაკის შეწუხება მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ. ერთი კვირის წინანდელ ინტერვიუში მწვრთნელი შედარებით მოკრძალებულად საუბრობდა იმ არადამაკმაყოფილებელ ფსიქოლოგიურ, სპორტულ, სამენეჯმენტო თუ, მოკლედ რომ ვთქვათ, საერთო ვითარებაზე, რომელიც კლუბში სუფევდა. ამჯერად შუშაკი გაცილებით გახსნილი და გულახდილი იყო.

"ის გუნდი, რომელიც შემოდგომაზე მყავდა, გაცილებით ჯობს დღევანდელს. სანამ არსებობდა ერთიანი სტრატეგიული კურსი, რომელიც "დინამოს" ეტაპობრივ გაძლიერებას და განვითარებას ისახავდა მიზნად, როგორც სპორტული, ისე შედეგების თვალსაზრისით ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო. გუნდი დამაჯერებელ, სტაბილურ თამაშს აჩვენებდა, რასაც დადებითი შედეგიც თან სდევდა. რა თქმა უნდა, იყო წარუმატებლობაც, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისი იყო. ზაფხულში გუნდის გაძლიერებას და ევროტურნირებზე ღირსეულ გამოსვლას ვგეგმავდით. 5-6 ფერხბურთელის დამატება გვსურდა, მაგრამ ვერ შევძელით. შედეგად, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპსაც კი ვერ გავცდით. თუმცა, საშინაო გამარჯვება ამის კარგ შანსს გვიტოვებდა. იმედი მქონდა, რომ გუნდის გაძლიერებას ზამთარში მაინც მოვახერხებდით, მაგრამ პირიქით მოხდა – გუნდი დატოვა ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა, ერთმა ტრავმა მიიღო. შევსებაც მივიღეთ, მაგრამ არა ისეთი, წასულებს რომ სრულფასოვნად შეცვლიდა. ეგეც არ იყოს, უკეთესი ფეხბურთელებიც რომ მოგვეწვია, როდესაც ნახევარი გუნდი იცვლება, პრაქტიკულად, ახალი გუნდის შექმნა გიწევს. ამას კი დრო სჭირდება. ამ ყველაფერს უიღბლობაც დაერთო. ფორტუნა რომ სულ ცოტათი დაგვხმარებოდა, მეორე ეტაპზე ჩატარებული თითოეული თამაშის მოგება შეიძლებოდა. არასდროს ვსაუბრობ მსაჯობაზე, მაგრამ ჩვენს საწინააღმდეგოდ უკვე ისეთ აშკარა შეცდომებს უშვებენ, რომ ამაზე თვალის დახუჭვა აღარ შემიძლია. თუმცა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩვენს წარუმატებლობას არაკვალიფიციურ მსაჯობას ვაბრალებდე", - აი, ასე ახსნა შუშაკმა მეორე ეტაპზე "დინამოს" ცუდი სტარტი.

შუშაკი წუხს იმაზეც, რომ კლუბის სტრატეგიული გეზის შემუშავება-განხორციელებაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ იღებს. ამის გამო, როგორც უკვე აღინიშნა, "დინამომ" ოთხი ფეხბურთელი (ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, დარასელია, ალექსიძე) დაკარგა. მეხუთე, ლადო ბურდული, გუნდს მხოლოდ იმის გამო გამოაკლდა, რომ კიევის "დინამოში" იყიდებოდა და სინჯებზე ტრავმა მიიღო.

ევროპაში რამდენიმე ათეული ისეთი კლუბია, რომლებსაც სერიოზული ფინანსური კრიზისი აქვთ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ინგლისური "ლიდსი", იტალიური "რომა", "ლაციო" და "პარმა". თუმცა, გაჭირვების მიუხედავად, ამ კლუბებს ჩემპიონატის მსვლელობის დროს ნახევარი გუნდის გაყიდვით ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება არ უცდიათ. რაღაც არ გამიგია, რომ "დინამოს" ფინანსური კრიზისი დასდგომოდეს. თუმცა, შუშაკს ნახევარი გუნდი მაინც გამოუცვალეს.

მწვრთნელი უკმაყოფილოა სტიმულირების იმ ახალი სისტემით, რომელიც კლუბში შუა სეზონიდან მოქმედებს. 2003 წლის შემოდგომიდან ფეხბურთელებს პრემიები "შეუკრიჭეს", რამაც ლამის გაფიცვაც კი გამოიწვია.

"როდესაც "დინამოსთან" კონტრაქტი გავაფორმე, ფეხბურთელთა სტიმულირება მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მერე ვითარება შეიცვალა. ვფიქრობ, რომ ეს საკლუბო ფეხბურთელის ფსიქიკაზე მოქმედებს - რაც უფრო უკეთესია სტიმულირების წესი, მით უფრო მაღალია სპორტული შედეგი. თუმცა, პრემიები არაფერ შუაშია იმ ოთხ წარუმატებელ მატჩთან, მეორე ეტაპზე რომ ვაჩვენეთ. ბევრი ვიმუშავე იმისთვის, რომ ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად განმეწყო და მათთვის ახალი, არამატერიალური სტიმული მიმეცა. ჩემს თითოეულ ფეხბურთელს ძალიან უნდა თასისა და ჩემპიონატის მოგება. ჩვენ ამის ბრწყინვალე შანსიც გვაქვს და მჯერა, რომ ამას მივაღწევთ. ორ დღეში გორის "დილას" ვმასპინძლობთ. ამ მატჩით დავასრულებთ წარუმატებლობისა და უიღბლობის სერიას", - სჯერა თავისი გუნდის ივო შუშაკს.

მწვრთნელს "დინამოსთან" გაფორმებული ხელშეკრულების ვადა 2004 წლის 1 ივნისს უსრულდება. აპირებს თუ არა იგი ქართულ კლუბში დარჩენას? ამ კითხვაზე შუშაკს ჯერ პასუხი არა აქვს.

"დღესვე შემიძლია კონტრაქტი გავაფორმო, მაგრამ არა "დინამოსთან". ჩემი აგენტები რამდენიმე ვარიანტს მთავაზობენ. მაგრამ, მერწმუნეთ, ახლა ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ და არც მაინტერესებს, რომელი კლუბები მეპატიჟებიან. დღეს ერთი საფიქრალი და საქმე მაქვს: "დინამოს" წარმატება. რაც შეეხება იმას, გავაფორმებ თუ არა "დინამოსთან" ახალ კონტრაქტს, ჯერ ვერაფერს ვიტყვი. როგორც ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობა "დინამოს" გაძლიერებისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესშია. ამ სტრატეგიაში გადამწყვეტი როლი, რა თქმა უნდა, მწვრთნელს დაეკისრება. თუ ჩავთვლი, რომ ამ სტრატეგიულ კურსს ვერგები და, თან, შემომთავაზებენ მის განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას, მაშინ დავრჩები. თუმცა, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. მალე შევხვდები ჩვენს მთავარ სპონსორს, ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა გუნდისთვის და ყველაფერი მაშინ გადაწყდება", - ამბობს ივო შუშაკი.

# სამეფო კრიზისი მადრიდში

ნინო პირველი




*ბექჰემსა და „რეალს" ცხოვრება ერთდროულად აეწეწათ*

მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოვლენები იმდენად უცნაურად განვითარდა, რომ ნახევარფინალში ვერც ერთმა გრანდმა ვერ გააღწია. "იუვენტუსი", "ბაიერნი" და "მანჩესტერი" მერვედფინალიდან გამოვარდნენ, "არსენალი", "რეალი" და "მილანი" კი მეოთხედფინალს ვერ გასცდნენ. ყველა ფავორიტი ხახამშრალი დარჩა, მაგრამ ლიგიდან მოულოდნელად დაფრენილმა გრანდებმა ის მაინც მოახერხეს, რომ საკუთარი ქვეყნების ჩემპიონატში შეინარჩუნეს ლიდერობა. "მილანი" და "არსენალი" მიზანმიმართულად მიდიან ჩემპიონის ტიტულისკენ, "ბაიერნს" კი ჯერაც არ დაუკარგავს ბრემენის "ვერდერის" დაძლევის იმედი. ერთადერთი, ვინც ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ საკუთარ ჩემპიონატშიც გააგრძელა საშინლად თამაში, მადრიდის "რეალია". "სამეფო კლუბი", რომელიც სეზონის დაწყების წინ სამი ტიტულის მოგებაზე ოცნებობდა, ისეთ უცნაურ კრიზისს განიცდის, რომ შეიძლება საერთოდ მშრალზე დარჩეს. პრიმერა დივიზიონის ოცდამეთორმეტე ტურში "ოსასუნასთან" მარცხმა საბოლოოდ აუვსო მოთმინების ფიალა "რეალის" ფანებს და მათაც გადაწყვიტეს, "გალაქტიკოსებს" ჭკუა ასწავლონ...

### ვარსკვლავები ფანებს გაურბიან

"ოსასუნასთან" წაგება იმდენად სამარცხვინო მოვლენა იყო, რომ გაგულისებულმა გულშემატკივრებმა თავი ვეღარ შეიკავეს. ფანებმა აგრესია ჯერ კიდევ მატჩის მსვლელობისას გამოავლინეს. "რეალის" ფანები თავიანთ კერპებს უსტვენდნენ, დასცინოდნენ და "ოსასუნას" ფეხბურთელებს "ოლე-ოლეს" ძახილით ამხნევებდნენ. ამ კატასტროფული მატჩის შემდეგ ფანებმა "რეალის" საწვრთნელი ბაზისკენ, "ლას როსასკენ" აიღეს გეზი. სამშაბათს სავარჯიშოდ მისულ ფეხბურთელებს უსიამოვნო სიურპრიზი დახვდათ მოედანზე. სტადიონის გარშემო ოცდახუთმეტრიანი ტრანსპარანტი იყო გაკრული: "თქვენ მეძავებს და ფულს გაძლევენ, ჩვენ კი მხოლოდ ნერვიულობა და დამცირება გვრჩება", - პროტესტს გამოთქვამდნენ მადრიდელი "ინჩასები". "რეალის" ვარჯიშის სანახავად მისული გულშემატკივრები ისე გაბრაზებულები იყვნენ და ისე აქტიურად ლანძღავდნენ ფეხბურთელებს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა დაფრთხა და პოლიციას გამოუძახა - ჩვენს მილიონებად ნაყიდ ვარსკვლავებს ემანდ ვინმემ რამე არ ესროლოსო.

ამ ინციდენტის შემდეგ "რეალს" სხვა გზა აღარ რჩებოდა -დროებით უნდა გასცლოდა აღელვებულ გულშემატკივრებს. ამიერიდან "სამეფო კლუბის" ფანები "რეალის" ვარჯიშს ვეღარ ნახავენ. გუნდის ხელმძღვანელობამ დროებით აკრძალა გულშემატკივართა დასწრება. "რეალი" ამას არ დასჯერდა და საწვრთნელი ბაზაც შეიცვალა - გადავიდა მადრიდიდან 500 კილომეტრით დაშორებულ ლა მანგაში, რომელიც მურსიასთან ახლო მდებარეობს. ახლა "რეალის" ბოსები კრიზისიდან თავის დაღწევის გზებს ეძებენ. ესპანური მედია ხმამაღლა საუბრობს კარლოს კეიროშის გადაყენების თაობაზე. სერ ალექს ფერგიუსონის ექს-თანაშემწე მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში იყო "რეალის" მთავარი მწვრთნელი და უკვე გაშვებას უპირებენ. პორტუგალიელმა სპეციალისტმა აშკარად ვერ გაამართლა "რეალის" ხელმძღვანელობის იმედი. თუ "სამეფო კლუბი" ვერც ჩემპიონთა ლიგას მოიგებდა, ვერც კოპა დელ რეის და ვერც პრიმერა დივიზიონს, მაშინ რა აზრი ჰქონდა ვინსენტე დელ ბოსკეს წასვლას და კეიროშის მოსვლას?

### ნახეთ, რა კარგადაა ყველაფერი!

"რეალის" კრიზისის პარალელურად ესპანური და ინგლისური პრესა დევიდ ბექჰემის ოჯახურ კრიზისზეც ბევრს ლაპარაკობს. ბექჰემს ერთბაშად იმდენი საიდუმლო საყვარელი გამოუჩხრიკეს, რომ დაშოკილმა ფეხბურთელმა თავის მართლებაც კი ვეღარ შეძლო. მისი დაცვა ვიქტორიამ იკისრა. "პოშ სპაისი" მთელი ძალ-ღონით ცდილობს მედიის დარწმუნებას, ყველაფერი ტყუილია და ჩვენს ოჯახურ ბედნიერებას არანაირი საფრთხე არ ემუქრებაო. თუ აქამდე დევიდი და ვიქტორია პაპარაცებს გაურბოდნენ, ახლა თავად ეპატიჟებიან "ყვითელი პრესის" ფოტოკორესპონდენტებს, მოდით და ჩვენი ჰარმონიული ერთად ყოფნის სცენები გადაიღეთო. აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, ჰერტფორდშირში მყოფმა წყვილმა კარგად მოფიქრებული შოუ წარმოუდგინა ფოტოგრაფებს - დევიდი და ვიქტორია მოტოციკლით მისეირნობენ. საჭესთან "პოშ სპაისი" ზის, დევიდი მას ზურგზე ეკვირს, ორივეს ცერი მაღლა აქვს შემართული: OK, ბექჰემების სახლში ყველაფერი რიგზეა!

მაგრამ მდგომარეობა სულაც არ არის ასე მარტივი და იდეალური. ბულვარულ პრესაში ატეხილმა აურზაურმა ბექჰემს საგრძნობლად შეულახა იმიჯი. ვიქტორია ადვოკატების დაქირავებას აპირებს, რათა იურიდიულად დაამტკიცოს, რომ რებეკა ლოსმა, ესტერ კანადასმა და სარა მარბეკმა დევიდს ცილი დასწამეს, მაგრამ თუ გაირკვა, რომ ეს ყველაფერი, მართლაც, მოხდა და "სპაის ბოის" ნამდვილად ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა ამ ქალებთან, მაშინ ბექჰემის სარეკლამო იმიჯს უკვე სერიოზული საფრთხე დაემუქრება. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება "ბექსის" მონაწილეობა ჰოლივუდურ ფილმში "ვარდისფერი პანტერა". შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სარეკლამო პარტნიორებმა საერთოდ გაწყვიტონ ურთიერთობა ბექჰემთან. ეს კი საგრძნობლად დააზარალებს შოუბიზნესის ყველაზე ცნობილი წყვილის ფინანსებს. ამიტომაცაა ვიქტორია ასე მონდომებული და თავდაუზოგავად ცდილობს მეუღლის პრესტიჟის გადარჩენას. ასეთ სიტუაციაში "რეალის" ჩავარდნა ბექჰემისთვის უკვე მეორე პლანზე გადავიდა. სხვათა შორის, ბექჰემის პოპულარობა "რეალისთვისაც" ძალიან მნიშვნელოვანია. ბექჰემის მაისურები ხომ ყველგან ასე კარგად იყიდება - თვით ჩინეთშიც კი. სწორედ ამის გამო "რეალის" ხელმძღვანელობაც ითხოვს ბექჰემისგან სიტუაციის გამოსწორებას. ბოლოს და ბოლოს, "ბექსის" სასიყვარულო გართობა "რეალს" 140 მილიონ ევროს აკარგვინებს...

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** პორტუგალიელმა ექიმებმა თავიანთი დასკვნა გამოიტანეს ლისაბონის "ბენფიკას" უნგრელი თავდამსხმელის, მიკლოშ ფეხერის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ეს 24 წლის ფეხბურთელი მიმდინარე წლის იანვარში, "გიმარაეშის" წინააღმდეგ მატჩის დროს მოედანზე გარდაიცვალა. "ფეხერის სიკვდილი ბუნებრივმა მიზეზებმა გამოიწვია", - ნათქვამია ექიმების დასკვნაში, რომლებმაც გარდაცვლილი ფეხბურთელის სხეული გაკვეთეს. ფეხერის ორგანიზმში ექიმებმა ვერც ალკოჰოლის, ვერც ნარკოტიკის და ვერც სხვა რაიმე ნივთიერების კვალი ვერ აღმოაჩინეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 28 აპრილს ბრაზილიის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების განაცხადში გამოჩნდა ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველის, ედუს გვარიც. საინტერესო კი ის არის, რომ უნგრეთის წინააღმდეგ მატჩის განაცხადში ედუ თავდაპირველად არ იყო. ნაკრებში ის მას შემდეგ გამოიძახეს, რაც განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა ინგლისის ნაკრებში. ედუს გარდა, უნგრეთის წინააღმდეგ მატჩში ბრაზილიის ნაკრების ფორმას შტუტგარტელი მარსელო ბორდონი და "რომას" მცველი მანსინიც მოირგებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჰოლანდიის "ეინდჰოვენის" სერბ თავდამსხმელზე, მატეა კეჟმანზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა. ამ ფეხბურთელის გადაბირება აქამდე "ბარსელონას" და "ნიუკასლს" სურდათ, ახლა კი კეჟმანის შეძენით კიდევ ერთი ინგლისური კლუბი, კერძოდ, "ბირმინგემი" დაინტერესდა. ეს კლუბი 6,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის სერბი ფორვარდის სანაცვლოდ, რაც "ბირმინგემისთვის" რეკორდული სატრანსფერო თანხაა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური კლუბები "ეინდჰოვენის" კიდევ ერთი ფეხბურთელით, 26 წლის მარკ ვან ბომელით არიან დაინტერესებული. ჰოლანდიის ნაკრებისა და "ეინდჰოვენის" ნახევარმცველის შეძენა "ტოტენჰემს" და "ასტონ ვილას" სურთ. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვან ბომელი ინგლისში კი არა, ბუნდესლიგაში გადაბარგდება. ევროპის საინფორმაციო სააგენტოები იმასაც კი იუწყებოდნენ, რომ ვან ბომელი "ნიუკასლის" წინააღმდეგ უეფა-ს თასის გუშინდელი მატჩის შემდეგ გააფორმებდა კონტრაქტს გელზენკირხენის "შალკესთან". შედგა თუ არა ეს გარიგება, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "რომას" არგენტინელმა მცველმა, ვალტერ სამუელმა უარყო ცნობები იმის შესახებ, თითქოს ის კლუბის მიტოვებას და რომელიმე სხვა იტალიურ გუნდში გადასვლას აპირებს. "რომადან" წასვლას, მით უმეტეს, სხვა იტალიურ კლუბში გადასვლას არ ვაპირებ. ვერაფრით წარმომიდგენია თავი "იუვენტუსის", "ინტერის" ან "მილანის" მაისურაში", - განაცხადა სამუელმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური პრესა იუწყება, რომ ლონდონის "ჩელსის" ახლანდელი მწვრთნელი, კლაუდიო რანიერი, შესაძლოა, უახლოეს დღეებში გაათავისუფლონ დაკავებული პოსტიდან. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ რანიერის მოხსნის მიზეზი ინგლისის ჩემპიონატის უკანასკნელ ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება იქნება. პრესა დარწმუნებულია, რომ იტალიელ მწვრთნელს იმ შემთხვევაშიც კი შეელევიან, თუ "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგას მოიგებს. არადა, გულშემატკივრებს შორის რანიერი სულ უფრო პოპულარული ხდება. "ჩელსის" ხელმძღვანელობა კომპრომისულ ვარიანტს ეძებს და მწვრთნელს კლუბის სპორტული დირექტორის პოსტს შესთავაზებს. თუ ეს, მართლაც, ასე მოხდება, რანიერი, ალბათ, "ჩელსიდან" წავა. მას არაერთხელ განუცხადებია, რომ სამწვრთნელო მოღვაწეობის შეწყვეტას არ აპირებს. თანაც, რანიერის უკვე აქვს მიწვევა მეორე ლონდონური კლუბიდან, კერძოდ, "ტოტენჰემიდან".

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი ავტოსპორტის მსოფლიო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატია. FIA-ს მოქმედი პრეზიდენტის, მაქს მოზლის თქმით, მისი "იდეალური" მემკვიდრე სწორედ ტოდტი იქნება, რომლის კონტრაქტი "ფერარისთან" სამი წლის შემდეგ იწურება. მოზლის ედი ჯორდანიც ეთანხმება. "ჟანს ავტოსპორტში მუშაობის კოლოსალური გამოცდილება აქვს. FIA-ს პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად მის შანსებს ისიც ზრდის, რომ ტოდტი FIA-ს საბჭოს აქტიური წევრია. მთელი ეს მითქმა-მოთქმა უსაფუძვლო ნამდვილად არ არის", - განაცხადა ედი ჯორდანმა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფორმულა 1-ის ტრასა თურქეთშიც შენდება, თანაც, ისეთი ტემპით, რომ მშენებლობა ორი თვით უსწრებს გრაფიკს. თურქეთის ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი მამთაზ თაინგიქოლუ აცხადებს, რომ არქიტექტორი ჰერმან ტილკე და მისი გუნდი სამშენებლო სამუშაოების დასრულებას მიმდინარე წლის ბოლოსთვის გეგმავენ. საექსპლუატაციოდ კი ეს ტრასა 2005 წლის აგვისტოში იქნება მზად. სწორედ მომავალი წლის აგვისტოშია დაგეგმილი პირველი თურქული გრან-პრი. სტამბულის ახლოს მდებარე ტრასის მშენებლობა 110 მილიონი დოლარი დაჯდება.

■ ■ ■

**კალათბურთი.** მიუხედავად იმისა, რომ "ფილადელფია" NBA-ს წლევანდელი სეზონის პლეი-ოფებში ვერ მოხვდა, მისი ვარსკვლავი აივერსონი გუნდის მიტოვებას არ აპირებს. ამის შესახებ თავად კალათბურთელმა უთხრა კლუბის პრეზიდენტ ბილი კინგს. "აივერსონი მუდამ ჩვენთან იყო. მაშინაც, როცა ვიმარჯვებდით და მაშინაც, როდესაც მძიმე დრო გვედგა. სხვა გუნდში მას ვერც კი წარმოვიდგენ", - ამბობს კინგი.

რაგბი

# საფრანგეთში - ღირსების დასაცავად

21-25 აპრილს საფრანგეთის ქალაქებში გაიმართება მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 1989-1990 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მორაგბეთა შორის. ჩემპიონატზე საქართველოს წარმოადგენს კლუბი "ჯიქი", რომელიც თბილისისა და ბოლნისის შვიდი კლუბის მორაგბეებით არის დაკომპლექტებული.

ქართველი ჭაბუკები დღეს გაემგზავრნენ საფრანგეთში. გუნდი 19 აპრილამდე პარიზში იცხოვრებს, 20-ში კი გადაბარგდება ოსერში, სადაც გაიმართება ჯგუფური ტურნირის მატჩები. ქართველი ჭაბუკები მომავალ შეჯიბრებას იმედით უყურებენ და მხოლოდ მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას ისახავენ მიზნად. ამის შესახებ მწვრთნელიც მოგვითხრობს.

"საერთოდ, დიდ ტურნირებში სათამაშოდ უაღრესად მნიშვნელოვანია განწყობა და მეგობრული სულისკვეთების ჩამოყალიბება. ამ მხრივ დიდი სამუშაო გავწიეთ. მოვინახულეთ ქართული ისტორიული ძეგლები - დავით გარეჯი, ბირთვისი... ამ ლაშქრობებმა უფრო დააახლოვა და დაამეგობრა პატარა მორაგბეები. ამიტომ, როცა ვამბობ, რომ მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლებთ, ვგულისხმობ იმ განწყობას, რომელიც ამჟამად არის გუნდში", - ამბობს კლუბ "ჯიქის" მთავარი მწვრთნელი დავით გოცაძე.

ჩემპიონატში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 36 კლუბი მონაწილეობს. ისინი ექვს 6-გუნდიან ჯგუფად დაიყოფიან. თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო ოქროს მედლებისთვის, ხოლო დანარჩენები, შესაბამისად, მომდევნო ადგილებისთვის იბრძოლებენ. ჩვენს ქვეჯგუფში მოხვდნენ სამხრეთ აფრიკის, არგენტინის, ბელგიისა და საფრანგეთის ორი კლუბი.

თითო მატჩი ორი 10-წუთიანი ტაიმისგან შედგება. გუნდები დღეში, მაქსიმუმ, სამ მატჩს ჩაატარებენ. მატჩები უაღრესად დაძაბული კი იქნება, მაგრამ "ჯიქებს" იმედი აქვთ, რომ სასურველ შედეგს მიაღწევენ. დავით გოცაძის თქმით, გუნდი საფრანგეთში ჩემპიონობისთვის მიემგზავრება



"ჯიქები" საფრანგეთში დღეს წავიდნენ

და უკან არაფერზე დაიხევს.

"საფრანგეთში გამგზავრებაში ძალიან დაგვეხმარა წარსულში ცნობილი ფრანგი მორაგბე ალან მაიო. მისი მეუღლე საფრანგეთის საელჩოში მუშაობს, ასე რომ, საქართველოში თვითონაც ხშირად ჩამოდის. მან უზრუნველყო ტურნირში ჩვენი ჩართვა. შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებული იყო, მაგრამ მაიომ ფრანგი კოლეგების დახმარებით მოახერხა და ორგანიზატორებს დაუმტკიცა, რომ საქართველო მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის ღირსია. მგზავრობისა და კვების ხარჯებს ფრანგული მხარე კისრულობს. ჩვენ ხვალ მივემგზავრებით პარიზში და იქ ცხოვრებას ისევ ბატონი მაიო უზრუნველყოფს, რისთვისაც მადლობას ვუხდი მას და ყველა იმ ქართულ ფირმას, ვინც პარიზში გამგზავრებაში, სპორტული ეკიპირებისა და სხვა პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარა. საფრანგეთის დედაქალაქში 17 და 19 აპრილს მაიოს სარაგბო კლუბის გუნდებთან ორი ამხანაგური მატჩი გვექნება, რაც ჩვენთვის უაღრესად სასარგებლოა", - აცხადებს დავით გოცაძე.

ასეთი ტიპის ტურნირი ქართველი მორაგბეებისთვის ახალი ხილია, ამიტომ თავიდან აქცენტი საქართველოს ნაკრების გარეგნულ მხარეზე იყო გადატანილი, რათა გუნდს კარგი შთაბეჭდილება დაეტოვებინა. თუმცა, დავით გოცაძის კატეგორიული მოთხოვნით, აქცენტი შეიცვალა. "ჩვენ ღირსეული შედეგის მიღწევის ამბიცია გვამოძრავებს, ამიტომ აქცენტი სწორედ შედეგის მიღწევაზე გადავიტანეთ, - ამბობს დავით გოცაძე, - გავმართეთ ექვსი საკონტროლო მატჩი იმისთვის, რომ საფრანგეთში ოპტიმალური შემადგენლობა წაგვეყვანა. ექვსივე მოვიგეთ და დავამტკიცეთ, რომ ის შემადგენლობა, რომელიც შეირჩა, ამ დროისთვის საუკეთესოა. სხვათა შორის, ამ მატჩებს ალან მაიოც დაესწრო და აღნიშნა, რომ ნამდვილი რაგბი იხილა".

რაგბის სკოლა "ჯიქი" არსებობის ორ წელიწადს ითვლის. 2002 წელს ის გოჩა აბაშიძემ, გიორგი გიგაშვილმა, კახა ალანიამ, გოჩა სვანიძემ და დავით გოცაძემ დააფუძნეს. დამფუძნებლებმა გეოფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას სთხოვეს, მოეძებნათ იურიდიული ფორმა და ნუცუბიძეზე მდებარე, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ფეხბურთის მოედანი დამფუძნებლებისთვის გადაეცათ. ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე საკითხი დადებითად გადაწყდა. ასე დაარსდა რაგბის სკოლა "ჯიქი".

"სტადიონი პატარა და არასტანდარტულია, თუმცა, ბავშვებს ჰყოფნით. ის თავიდან ასფალტის იყო, მაგრამ გამოჩნდა სპონსორი, "კვარციტის" სახით, და ჩვენც სრული ტემპით ავმოქმედდით. დავაგეთ ბალახის საფარი და, თუ კეთილი ნება იქნება, შეიძლება სტადიონი სტანდარტულ ჩარჩოებშიც მოვაქციოთ. ამ ხნის განმავლობაში "კვარციტი" ძალიან დაგვეხმარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა გარკვეული პრობლემები აქვს. შარშან, შემოდგომაზე, წარსულში ცნობილ მორაგბეს ზურაბ რეხვიაშვილს ვთხოვეთ, ბოლნისში გუნდი დაეარსებინა. ორი თვის შემდეგ კი ბოლნისელები თბილისში მოვიწვიეთ. ფიზიკურად ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ. მოგვიანებით ალან მაიოც შემოგვიერთდა. მასთან ურთიერთობით კარგი პერსპექტივა გაგვიჩნდა და შედეგად მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის საშუალება მოგვეცა", - განმარტა დავით გოცაძემ.

**საფრანგეთში საქართველოს ღირსებას დაიცავენ:** *სოლომონ მჟავანაძე, არჩილ კობაური, თენგიზ მარგველაშვილი, გიორგი ცირეკიძე, ალექსანდრე სალუქვაძე, ბექა ურჯუკაშვილი, ბექა წიკლაური, ვასილ კაკოვინი, ლადო გუნიავა, გიორგი სვანიძე, გიორგი ჯაშიტაშვილი, ოთარ მეტრეველი, გიორგი ჭინჭარაული, რატი ხუციშვილი, გივი ტაბატაძე, კოტე ჯიმუხაძე, გიგი ფრუიძე.*

# გასარკვევი დღეს გაირკვევა

პაატა თოთაძე

ქართულ რაგბიში იანვრის ყრილობის შემდეგ შექმნილი არეულობა, სავარაუდოდ, დღეს დასრულდება. მაშინ დელეგატთა ხმები ორ კანდიდატს შორის თანაბრად გაიყო და არეულობის მიზეზიც სწორედ ეგ გახდა. პრეზიდენტი ხმათა უმრავლესობით უნდა ავირჩიოთ და სანამ ასე არ იქნება, საქმეს არ ეშველებაო, - გაიძახიან გეგიძის მოწინააღმდეგეები. დიდი იმედი აქვთ, რომ დღევანდელ ყრილობაზე ხმათა უმრავლესობით სწორედ თავიანთ კანდიდატს, მერაბ ანთაძეს აირჩევენ.

ბუნებრივია, კავშირის ახლანდელი ხელმძღვანელობა და მათი მხარდამჭერები საპირისპიროს ფიქრობენ. აქვთ კიდეც საფუძველი. ორი კვირის წინათ ოპოზიციამ უკვე სცადა საქმის მოკვარახჭინება, მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმები ვერ მოაგროვა. შესაძლოა, დღესაც იგივე გამეორდეს, თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა. "ამ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. ხვალ, ალბათ, ყველაფერი გადაწყდება", - განაცხადა რაგბის კავშირის მედია-მენეჯერმა გია კუბლაშვილმა.

როგორ განვითარდება მოვლენები დღევანდელ ყრილობაზე და ვის მეტი შანსი აქვს, კავშირის სათავეში მოვიდეს? წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, თუმცა, მანამდე განვითარებული მოვლენები გარკვეული ვარაუდის საფუძველს იძლევა. კერძოდ, იმის, რომ ხმის მქონეთა უმრავლესობა ბიძინა გეგიძეს დაუჭერს მხარს. კერძოდ, საუბარია 16 დელეგატზე (28-დან). ყველამ იცის, რომ "აკადემია" (5 ხმა), აჭარა (4), ქუთაისის "აია" (2), ქუთაისის სპორტსკოლა (2), უნივერსიტეტი (2) და "დინამო" (1) გეგიძის მომხრეები არიან. აქ მხოლოდ ორი რამ არის გასარკვევი (ისიც ზოგისთვის). პირველი: ქუთაისის სპორტსკოლის ამბავი. წინა ყრილობაზე მათ ანთაძეს დაუჭირეს მხარი, თუმცა, როგორც გავიგეთ, ქუთაისელებმა აზრი შეიცვალეს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ პრეზიდენტის თხოვნა გაითვალსწინეს და წინა ყრილობას არ დაესწრნენ.

გასარკვევია აგრეთვე უნივერსიტეტის ორი ხმის ბედიც. უფრო სწორად, გასარკვევია ნაწილისთვის, თორემ, კავშირის განცხადებით, მათთვის გასარკვევი არაფერია. ორივე მხარე ამ ხმებს თავისად მიიჩნევს. დავით კილასონიას თქმით, უნივერსიტეტის სახელით ხმის უფლების მიცემა მას შეუძლია, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება კავშირი. გია კუბლაშვილის თქმით, კილასონია უნივერსიტეტიდან ორი თვის გარიცხულია, ამდენად, მას უფლება არა აქვს, უნივერსიტეტის სახელით ისარგებლოს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, კილასონია რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელი გახდა, ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს, რადგან ყველა ბეჭედი გენერალურ დირექტორს აქვს, მას კი კილასონიასთვის ამის უფლება არ მიუცია და, საერთოდ, არც იმ კრების შესახებ იცოდა რამე, რომელზეც კილასონიას წარმომადგენლის უფლება მიანიჭეს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გარკვეულ უხერხულობას ქმნის, ვეტერანთა კავშირისთვის ხმის უფლების მიცემას შეეხება. კავშირის განცხადებით, რომელიც საამისოდ წესდებას იშველიებს, ხმის უფლება მხოლოდ კავშირის ნამდვილ წევრს აქვს, ვეტერანთა კავშირი კი რაგბის კავშირის ნამდვილი წევრი არ არის. ამის საპასუხოდ ოპოზიცია აცხადებს, რომ, როგორც კი ვეტერანთა კავშირი რაგბის კავშირის წევრად აღიარეს, ავტომატურად მიენიჭა ხმის უფლება.

ერთი სიტყვით, დღეს სპორტის დეპარტამენტში დიდი ამბები იქნება. თუმცა, მუდმივ არეულობასა და გაუგებრობაში ცხოვრებას ერთი ომის გადატანა და მერე ვითარების დამშვიდება ჯობს.

ალპინიზმი

# უბრალოდ, ძია მიტო

ბიბა ბურასაშვილი

ნებისმიერ სფეროში კაპიტნობა მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მისიაა, მაგრამ მისიასა და პასუხისმგებლობას სიმძაფრე მაშინ ემატება, თუ თანაგუნდელ ფათერაკის მაძიებლებს მთაში კაპიტნობ – ექსპედიციას ხელმძღვანელობ.

ექსპედიციების ხელმძღვანელობა და საპატიო მისიის შესრულება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ძია მიტოს, იგივე დიმიტრი ობოლაძეს, კაცი, რომელსაც პასუხისმგებლობის გაორმაგებული გრძნობის გამო ექსპედიციებში გაძღოლას სთხოვდნენ. ძია მიტო გამოუცდელი და დაოსტატებული მთამსვლელებისთვისაც ერთგვარი ერკემალივით იყო. მას ყველგან და ყველაფერში ენდობოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ არც ერთ არასწორ ნაბიჯს არ გადადგამდა.

და მაინც, როგორი იყო ძია მიტო? თუ ვინმეს რაიმე სმენია მასზე, ჯობს, იმისგან შევიტყოთ, ვინც მას იცნობდა. ჯუმბერ კახიანი, მესტიის რაიონის ალპურ კლუბ "უშბას" ხელმძღვანელი. კაცი, ვისაც ძია მიტოსთან ერთად გაუტკეპნია პირქუში მწვერვალის მისადგომები. მოვიშველიებთ ამონარიდებს ჯუმბერ კახიანის ჩანაწერებიდან.

*"საქართველოში არაერთ სახელმოხვეჭილ ქართველ მთამსვლელ შორის დიმიტრი ობოლაძეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. მე, როგორც მთამსვლელი, ჩამოვყალიბდი და გავიზარდე ყაბარდო-ბალყარეთში – ალპინიზმის კიდევ ერთ კერაში. ალპინიზმით გატაცებული ვარ 1952 წლიდან. წლების განმავლობაში ვმოღვაწეობდი იალბუზის რაიონის სხვადასხვა მთამსვლელურ ბანაკებში, რომლებსაც ხშირად სტუმრობდნენ დიდი რუსი მთამსვლელები. თითოეული მათგანი დიმიტრი ობოლაძეზე საარაკო ამბებს ჰყვებოდა. ახასიათებდნენ როგორც ერთ-ერთ უძლიერეს ალპინისტს, დაუღალავს".*

ძია მიტოზე მე მამაჩემისგანაც მსმენია. თურმე, საკმარისი იყო, ძია მიტოსთვის მთაში წასვლაზე ჩამოეგდოთ სიტყვა, რომ უმალ თვალები გაუბრწყინდებოდა. მერე, მოსვენებადაკარგული, შინ მარტო დატოვებდა ცოლ-შვილს, შვილიშვილებს და გზას გაუყვებოდა. ხშირად თვეობით გადაიკარგებოდა, ისე რომ, დროს ვერ გრძნობდა. თუ მწვერვალზე ლაშქრობისას ამინდი გაფუჭდებოდა, გამოუცდელი, ჯერაც პირტიტველა ბიჭები მისგან ადრეული ექსპედიციების გახსენებას ითხოვდნენ. აქვე მოვყვები ერთ ამბავს, რომელიც ერთ-ერთი ექსპედიციისას მამაჩემს ჩაუნიშნავს.



*დიმიტრი ობოლაძე*

1955 წელს ქართველ მთამსვლელებს პამირისკენ აუღიათ გეზი. ექსპედიციის მიზანი ღარმოს მყინვარის რაიონის შესწავლა ყოფილა. მაგრამ, ისე როგორ იქნებოდა, რომ რომელიმე მწვერვალისკენაც არ გაეხედათ. მიზანში კი მოლოტოვისა და სტალინის (ახლანდელი როსიასა და კომუნიზმის) სახელობის მწვერვალები ამოუღიათ. მაშინ მწვერვალის მისადგომებთან მისვლაც კი ძნელი იყო სიშორის, უგზოობის, უტრანსპორტობისა და ძნელად გადასალახავი მდინარეების გამო.

ერთი სიტყვით, ექსპედიცია სახედრებისა და ცხენებისგან შემდგარი ქარავნით მწვერვალებისკენ დაიძრა. გზად შეხვედრიათ ვინმე ჰავარნი - მოსკოველი მთამსვლელი. როდესაც ერთმანეთს გამოეცნაურნენ და მოსკოველმა ქართველთა ახირება შეიტყო, სახტად დარჩენილმა ქართველებს უთხრა: ჯერ ეგ მითხარით, როგორ უნდა გადალახოთ მდინარე ყირგიზობი, რომელზეც ჯერ ვერც ერთი სულიერი ვერ გადასულაო. ქართველებს მისთვის ყური არ უგდიათ და გზა გაუგრძელებიათ, თუმცა, შეფიქრიანებულებს, რადგან მათაც სმენოდათ ყირგიზობის მშფოთვარე ხასიათზე. ისიც იცოდნენ, რომ სწორედ იმ ადგილებში ყირგიზობმა 35 კაცის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის ბევრი მთამსვლელიც იყო. ხუთი დღის ხეტიალის შემდეგ კალაპოტს მიადგნენ. მდინარე ისეთი გრუხუნით მოედინებოდა, რომ არემარეს აყრუებდა. მდინარის გადალახვა შეუძლებელი ჩანდა. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, დაესვენათ, ღამე გაეთიათ და მდინარის გადალახვაზე ფიქრი მეორე დღისთვის გადაედოთ. ირიჟრაჟა. მოსვენებადაკარგულ ძია მიტოს გადაუწყვეტია, ჩუმად, მარტოს გადაელახა მდინარე, თორემ თუ მის განზრახვას შეიტყობდნენ, უმალ წინ გადაეფარებოდნენ. ძია მიტო აფორიაქებულ, ყინულივით ცივ წყალში გადაეშვა. მდინარესთან ჭიდილი ადვილი არ აღმოჩნდა. უცებ ისიც კი უფიქრია: ეჰ, დიმიტრი ობოლაძევ, ახლა კი მოვიდა შენი აღსასრულის დღეო. მაგრამ არ ნებდებოდა. გაიმარჯვა. როდესაც მეორე ნაპირზე გააღწია, აღმოაჩინა, რომ მდინარეს ხუთასიოდე მეტრით ქვემოთ ჩაეტანა. ამასობაში ნაპირს გამოლმა მეგობრებმაც გაილვიძეს და მეორე მხარეს ძია მიტო რომ დაინახეს, თვალებს არ უჯერებდნენ - ყველას ენა დაბმოდა. ადგილობრივი მეტეოსადგურის თანამშრომელს, ვინმე ამურლოს კი თვალებზე ხელი აეფარებინა და ყვიროდა: "შაითან! შაითან"!

საერთოდ, 50-იანი წლები ქართული ალპინიზმისთვის ერთგვარი ოქროს ხანა იყო. ბევრ ისეთ მწვერვალზე, რომლის დაპყრობაზეც საბჭოთა (ძირითადად, რუსულ) ექსპედიციებს ხელი აუღიათ, ქართველებს უმარჯვნიათ. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ პამირში ჯერაც დაუპყრობელი მოსკოვის პიკი (6785 მ.), რომლის დალაშქვრასაც პირველი წარუმატებელი რუსული ექსპედიციის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ვერავინ ბედავდა. და აი, ქართველი მთამსვლელები 1956 წელს ეწვივნენ პამირსა და, შესაბამისად, მოსკოვის პიკს. ასვლის ხელმძღვანელად დიმიტრი ობოლაძე აირჩიეს. დიდი ჭაპან-წყვეტისა და ბევრი წვალების შემდეგ ექსპედიციამ მიზანს მიაღწია.

სხვათა შორის, პამირში იმ სამ წელიწადში ქართველმა მთამსვლელებმა ცხრა ისეთი მწვერვალი დაიპყრეს, რომელთა სიმაღლე 6000 მეტრს აღემატებოდა. მათგან შვიდი მწვერვალის პირველდამპყრობნი ქართველები იყვნენ და თითოეულში, ისე როგორც მრავალი მთამსვლელის დაფრთიანებაში, ლომის წილი ძია მიტოს მიუძღოდა.

ეს, რაც შეეხება, "ბარის" ამბებს, თორემ საარაკო ამბები ბარშიც და მთაშიც მრავლად ჰქონდა. საერთოდ, დიმიტრი ობოლაძეზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ამისთვის რამდენიმე საგაზეთო გვერდი არ გვეყოფა. ამიტომ ეპილოგად ისევ ჯუმბერ კახიანისეულ დახასიათებას მივმართავთ:

*"დიმიტრის ორგანიზმში შიშის ნატამალი არასდროს ყოფილა. ფიზიკურად ძლიერი, ჩაფსკვნილი, დაკუნთული იყო. სამი კაცის ძალა გააჩნდა მის ორგანიზმს.*

*დიმიტრი ობოლაძე იყო მრავალმხრივ განვითარებული, საუკეთესო ხელმძღვანელი, დინჯი, სიტყვაძუნწი, მაგრამ მომთხოვნი. ყველა საქმის ბოლომდე მიყვანა უყვარდა, ამასთან, დროულად და ხარისხიანად".*



მამუკა ხერხეულიძე წარმოგიდგენთ

სატირალ-იუმორისტული გვერდი

# დაგვიკიდენ

## მეორე მოქმედება



ალ ზავახირი



ბინ ლადენი

## თბილისის ზოოპარკის თანამშრომელთა თხოვნა

**ბატონო ასლან!**

გწერთ ამ წერილს თბილისის ზოოპარკის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი. საყოველთაოდაა ცნობილი თქვენი თბილი და ჭეშმარიტად ჰუმანისტური დამოკიდებულება ცხოველებისადმი. ადამიანის უფლებებისაგან განსხვავებით, თქვენ სამაგალითო ერთგულებით იცავთ ცხოველთა და ფრინველთა უფლებებს, რისთვისაც დიდად გემადლიერებით. ახლა ერთი ჩვენი თხოვნა: აჭარიდან თქვენი მოულოდნელი წასვლის შემთხვევაში (ამის შესახებ, როგორც იცით, დაბეჯითებით ირწმუნება მთელი საზოგადოება!), გთხოვთ, თქვენი ძაღლები, თხები, არწივები და სხვა ფრინველ-ცხოველი გადმოსცეთ ჩვენს ზოოპარკს. გარწმუნებთ, ჩვენ იმედებს არ გაგიწბილებთ და ღირსეულად გავაგრძელებთ თქვენ მიერ დაწყებულ საქმეს, თანაც ყველაფერს ვიღონებთ, რომ ცხოველებსა და ფრინველებს არასოდეს დაავიწყდეთ თქვენი სახელი.

**პატივისცემით**
**(ხელმომწერები)**



რადოვან კარაჯიჩი



მულა ომარი



მამა ბასილი

ასლან იბრაგიმოვიჩი -
რადოვან კარაჯიჩი -
ბინ ლადენი -
ალ ზავახირი -
მულა ომარი -
ბორის სარალიძე -
ამერიკელი ჯარისკაცი
ეშკროფტი - ამერიკელი
გენპროკურორი
მამა ბასილი

*კუბა, გუანტანამოს სამხედრო ბაზა, დიდი შემორაგული რკინის გალია, ქვიშა, პალმები. ქვეშ სხედან ხელ-ფეხშებორკილი პატიმრები, ზონაში შემოჰყავთ ახალი პატიმარი - ასლანი.*

**ბინ ლადენი** – მოდი, ძმაო, აგერ დაჯექი, ჩვენ ახლა ჯდომის მეტი არღარა დაგვრჩენია. რა უბნელი ხარ? შენი სახელი?

**ასლან** - გამარჯობათ. ასლან იბრაგიმოვიჩი, ბენზე-დან.

**მულა ომარი** - ეგ "იბრაგიმოვიჩი" გვარია? ამის უბნელი ხარ? (ანიშნებს კარაჯიჩზე)

**ასლან** - (უხერხულად) არა, (სხაპასხუპით) ბორია მიცნობს, ეგაა ჩემი უბნ ელი (უყურებს ბორიას).

ბორია ურეაქციოდ ზის და ჭადივით ჭამს ამომტვრეულ ასფალტს.

**ზავახირი** - მაგარი მოწმე ნახა რა, რაც აქა ვართ, ამას ხმა არ ამოუღია. ასფალტს ჭამს.

**ბინ ლადენი** - ბიჭო, რა დაესიეთ ამ კაცს, პროსტა ვკითხე რა, რახან აქაა, ზნაჩიტ ჩვენიანია. (ასლანს) რამდენი ტრუპი გყავს, ძმაო?

**ასლან** - ერთი ათი, რაც საქმეში მაქვს, დანარჩენი, წარმეიდგინეთ... ჩემი ბაქტერიოლოგიური იარაღი არ აღმოეჩინათ ბობოყვათში, მე ვიცი...

**მულა ომარი** - ათ ცალს, ბიჭო, ვახშამზე ვჭამდი თოხლად. შენ, ძმაო, "გუბერსკის" ბიჭი ყოფილხარ, ათი რა არი, ადი პალმაზე!

**ასლან** - მე გრანდიოზული გეგმა მქონდა! მაგრამ ჩამიფუშენ, თორემ ტიკრიტი და ნორდ-ოსტი მონაგონი იქნებოდა!

**ბინ ლადენი** - (ღიმილით) ბიჭო, გეგმა მე რომ მქონდა! ყველა საბავშვო ბაღს ვაფეთქებდი მსოფლიოს მასშტაბით, ერთ დღეს ერთ საათში სულ დავგლისავდი ბოვშებს! შე ბოზო, აქ კლიმატი გევასა არა, თან ზღვა, თან რამე, შენ მართლა "გუბერსკის" ბიჭი ყოფილხარ. (თავისთვის) ბიჭო, ვინები მოყავთ, ტო.

**ზავაჰირი** - ბიჭო, ვაფშე არ მახსოვს ეს ტიპი, გინახავთ ვინმეს? ბიჭო, ადი-მეთქი პალმაზე!

**მულა ომარი** - ეყოლებათ ამას და ვლადიკას ამოწყვეტილი ერთიორი კომლი. არაფატს რა უნდა კითხო, ბოზია. ბიჭო, შენ ის არა ხარ, წამალზე რო ჩალიჩობდი? ჰო, გამახსენდა, ექსტაზის ქარხანა არ გქონდა შენ ბობოყვათში? შენი ბარიგა... ადი პალმაზე!

**ასლან** - არა ტო, ექსტაზი ჩემთვის მინდოდა, მე თვითონ ვსვამდი და ვცეკვავდი ბუნგალოში. არა ვარ მე დასაკარგი კაცი, ბორია, თქვი რამე. (ხვეწნით)

ბორია უმეტყველო სახით აგრძელებს ასფალტის ღეჭვას.

**კარაჯიჩი** - სიაბანდია რა, მაგაზე სიმონ, human rights watch-ს ერთი საჩივარიც არ დაუწერია და როგორც მახსოვს, დაკატავებული აქვს. ასანიძე ამან გაუშვა.

**ზავახირი** - ასანიძე, ტო! ბევრს ნუ ატრაკებ, მაიტა ყურანი, თავი "ძროხა" - ეგეც თუ არ იცის და, ზნაჩიტ ნასედკაა. თან იქ რაღაც კლინტონებთან გაჭრილშია, როგორც მახსოვს. აბა, დავაი სურა მეოცე.

**ასლან** - ქართულად ვიტყვი, ფრიდონ ხალვაშის ბალადას, მაგ პონტშია კაკრაზ.

**ზავახირი** - წინასწარმეტყველი ხალვაში? არა, არა, ეგ ნასედკაა, თან, ხომ გეუბნებით, კლინტონებთან ჩითავდა.

**ბინ ლადენი** - დაღამდება და შევჭამოთ, ამის დედაც... მაინც ბაირამის ხსნილია.

**ასლან** - (ხვეწნით) ბორია, თქვი რამე! ბიჭო, არ გაგიჟდეთ, ეგ არა ქნათ, ინანებთ!

**მულა ომარი** - ე, სანანებელი იმდენი გვაქს, რომ შენ დაჟე მარხვაშიც რომ შეგვეჭამე, არა უშავს.

**კარაჯიჩი** - ისე, საკაიფო კისერი აქვს, მე კისერი და ფრთები მიყვარს. უფ, რა ფრთები ჰქონდა ბრეგოვიჩს... რას უკრავდა (ყლაპავს ნერწყვს). მარა ამას ნაკოლკა აქვს კისერზე. (უყურებს ნაკოლკას) ბიჭო, რამ დაგახატინა კისერზე რევოლვერებიანი ქალი? გინახავს ვაფშე?

**ასლან** - არ გაგიჟდეთ, ეს არ ქნათ, არაფატი მალე ჩამოვა და გააიასნებს, მე ვინც ვარ!

**ზავახირი** - არაფატის ლიბერალი... დურუშნიკია რა. ეგა, ვანესა რედგრეივი და ჩომსკი ერთი პონტია რა. ამის გულ-მუცელს მე შევჭამ.

**ბინ ლადენი** - ტვინი თოხლოდ? ვის უნდა?

**მულა ომარი** - კაროჩე, ღამე ვნახავთ, რა. (ასლანს) მანამდე ადი პალმაზე.

**ასლან** - მე კიდევ დაგჭირდებით! (მიდის და ჯდება)

**მულა ომარი** - სანამ კლუჩნიკი მოვა, ვიშუსტრებ, ერთსაც ვილოცებ რა, მზის ჩასვლამდე მაინც დროა...

**კარაჯიჩი** - რა ლოცვა, ბიჭო? აბა, სასმელი თქვენ არ გინდათ, კლუჩნიკს დავუძახოთ, რა.

**ბინ ლადენი** - (კარაჯიჩს) ე, შე ბოზო, როგორ ელაპარაკები მულას? შენ რომ პრიშტინის კომკავშირის მდივნად მუშაობდი, მულას რომ უყურებ, ას თოთხმეტი რუსი ჰყავდა უკვე მაშინ შეჭმული ცოცხლად და ოცი well-done, ასე რომ, ვისაც ლოცვა უნდა, ილოცოს, ვისაც - მოწიოს და ვისაც უნდა, ცაზე ვარსკვლავები დაითვალოს. (თავისთვის) ო, რა ღამე იყო 11 სექტემბერს!

**ზავახირი** - ახლა ერთი მასტერკა მომაწევინა და მაგის დედაც... რა გვიქნეს ამ პიჟონებმა.

*საკეტების ხმაური ისმის. შემოდის ამერიკელი ჯარისკაცი და შემოჰყავს მამა ბასილი ხელ-ფეხდაბმული. გაპარსულია. თხელი ბლანჟე აქვს.*

**ჯარისკაცი** - თუ არ დაანებებთ ბლატაობას თავს, ცალ-ცალკე დაგკეტავთ ამასავით. იმეტყველეთ შექსპირის ენით. ქართველებმა მაჩაბლის მიხედვით. პაუზების გარეშე. (მკაცრად შეხედავს ასლანს)

**ზავახირი** - ასლან, ძამიკო, მოგვიყევი შენი ამბავი. მე ჩემსას ვიტყვი, ბინ თავისას და ასე შემდეგ, გავერთობით მზის გადასვლამდე. რატომ დაგარქვეს "ბაბუინი", აი, ისა თქვი, ტყუილი არ თქვა, თორემ ახვალ ისევ პალმაზე, როგორც გუშინწინ. ოხ, როგორ ცხელა.

**ასლან** - წარმეიდგინეთ (პაუზა) ერთხელ ქალაქში, რომლის სახელის ხსენებაც არ მსურს, ჩემს უბანში, ბენზე-ს ბიჭები ბირჟაზე ვდგავართ და ვლაზღანდარობთ. უცბად გამოჩნდა ქუჩის ბოლოდან ბაბუინი შეშინებული, ზოოპარკიდან გამოქცეული, ჩვენ გვთხოვდა შველას, დამალვას... გაჭირვებული პოზიცია... შორიდან უკვე მოისმოდა მდევრის ყვირილი. მე მას ვანიშნე, შესულიყო იქვე, ეზოში. მოხუცი პატიმარი ბაბუინი ჩვენი სახლის ეზოში შევარდა და ხეზე აძვრა. ამ დროს მოვიდა მილიცია და ზოოპარკის დირექტორი, საზარელი, რომელიც თურმე თუთიყუშებს დრინებით სცემდა. შემოარტყენ ალყა საბრალო ბაბუინს და დაუწყენ სროლა. მოხუცი ბაბუინი ევედრებოდა მათ... მაინც მოკლენ. ტყვიებისაგან დაფლეთილი დავასაფლავე ჩემს ეზოში და დავიფიცე, ავიღებდი ბაბუინის სისხლს. აქედან კლიჩკა "ბაბუინი". როცა გავიზარდე ასაკით (სიმაღლეში არა) და ზღვის ქალაქი დავიპყარი, მეტოქეები ჩემი ხელით მოვაშთე, ჰკითხეთ ჯაიანს. ზოოპარკის დირექტორი დაბერებულიყო და პეპლებს იჭერდა ხულოს მინდვრებში. შევაპყრობინე იგი ჩემს ქელფეთას, მოვაყვანინე სასახლეში და მივუგდე ნაგაზებს დასაფლეთად, თვალები კი დაუკორტნენ არწივებმა. იხვეწებოდა ის საბრალო და შველას მთხოვდა, მაგრამ უეცრად მომაგონდა მოხუცი ბაბუინის სისხლიანი გვამი და პახის არტერიიდან ამოვწოვე სისხლი პირადად. სხვათა შორის, ვლადიკა მიცნობს, სოხუმელი, ჩემი ბრატია.

**ბინ ლადენი** - ალაჰსა ვფიცავ, იტყუება ეს ნაძირალა, ვინ ვლადიკა და ვინ ჯაიანი, არც ერთს არ ვიცნობ. მამა ბასილმა დაგიმოწმოს, მე მისი მჯერა.

**მამა ბასილი** - ბაბუინისა მე არ მსმენია, ვიცი მხოლოდ, რომ ასლან-ხანი სიჭაბუკეში მუშაობდა "კომუნალურში", პარიკმახერად, მე კი იქვე "წყალკანალის" მებარა დაცვა. თავს არ შევიქებ, ისე ვიტყვი, სწორედ იმ წლებში, გლობალისტებში გავავრცელე დიზინტერია, თოთხმეტი მოკვდა, დანარჩენებს კი დღესაც ახსოვთ ის საშინელი ფაღარათი.

**კარაჯიჩი** - თოთხმეტი კაცი (იცინის), თოთხმეტი კაცი არ მყოფნიდა პახმელიაზე. ოხ როგორ ცხელა. იბრაგიმოვიჩ, ადი პალმაზე.

**მულა ომარი** - სიაბანდია ბაბუინიც და ეს ბასილიც, ვინ მოიყვანა ეს შნირები ჩვენს კამერაში. ადი პალმაზე, თორემ ვფიცავ ყურანის სურებს, რომ სისხლს ამოგწოვ ტიტველ ყელიდან.

**მამა ბასილი** - (მულას) შენ მე არ მიცნობ, დაუკვირდი წარმოთქმულ სიტყვებს, თორემ ინანებ, არ გეგონო ამერიკელი, მე გლდანელი ვარ, ორლესული ჯვრებით მებრძოლი, დაჩეხილი მყავს უამრავი იეღოველი, საქართველოში ვერ მოიკიდეს ფეხი ზანგებმა, სანამ მე ვიყავ, ვაქვითინე კათოლიკენი და თვით "ლიბერტის" ინსტიტუტიც მე დავარბიე. შიშის ზარს ვცემდი კომპიუტერის ყველა პროგრამისტს და თუკი ვინმე მთქმელი იყო გლდანში "OK"-ს, ყველას კბილები ჩავუნგრიე ჯოხით ჰოკეის.

*ხმაურია ზონის გარედან, ვიღაცა ამბობს, "გენერალი მოდის". შემოდის გენერალი ეშკროფტი და მეგაფონით აცხადებს:*

**ეშკროფტი** - სალარიძე ბორისი გათავისუფლებულია. მისი თანხა გადახდილია გაერთიანებულ ქართულ ბანკში №6, მფო №3475, თანხა შემოტანილია ქვისლის მიერ. იბრაგიმოვიჩის და მულა ომარის თანხები არაა გადმორიცხული.

**ასლან** - საზღვაო ბანკმაც დამიკიდენ...

*სალარიძე გაჰყავთ, იბრაგიმოვიჩი პალმაზე ადის, მზე ჩადის.*

*გაგრძელება იქნება.*



ასლან იბრაგიმოვიჩი

## მთლად ახალი აჭარული სიმღერა

ნება ჰქონდეს ჩვენს გიორგის -
აბაშიძეს, ასლანის ძეს -
უფრო ადრე გაუშვებდა
იმ მართალ კაცს - ასანიძეს!
მისამღერი:
- ლამბორჯინი, მერიაო,
მამა გადამერიაო!
- მამა თუ გადაგერია,
მაი რა სამღერიაო!

**ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილს**

რაც წასვლა-მოსვლას ეხება -
ნამდვილად ვიცი, ჰამლეტო:
ასლანის წასვლის საკითხი
არ გადაცდება ამ "ლეტოს!"

**რეპორტაჟი ჩოლოქიდან**

- სად მუშაობ, ჯემალა, ბიჭო?
- თუ არ მოდობ ქვეყანას, გეტყვი!
- სამარე ვარ!
- ბაბუსთან ვარ, ქილერად!
- რა გაქ ხელფასი?
- გამომუშავებაზე ვარ!

**ჩაიწერა რუსთავი 2-ის კორესპონდენტმა**

(შორიდან. ახლოს არ მიუშვეს)

# როგორ აღმოჩნდა თავისუფლება ცუდ ხელში

*11 სექტემბრის შემდეგ ნიუ იორკის თავისუფლების ქანდაკება მნახველთათვის მიუწვდომელი გახდა. ჩანაფიქრის თანახმად, მისი კვლავ გახსნის ორგანიზებისთვის ერთ კერძო ფონდს უნდა ეზრუნა. ახლა კი ეჭვობენ, რომ ამის ნაცვლად ფონდმა ამერიკის ეროვნული სიმბოლო საკუთარი მიზნებისთვის ბოროტად გამოიყენა.*



სოსისების გამყიდველი, ვინმე, ფრენკის სამუშაო ადგილიდან თავისუფლების ქანდაკებაზე დიდებული ხედი იშლება. ოდესღაც ის დიდი წარმატებით ჰყიდდა თავის საქონელს, დღეს კი, კარგი ამინდიც რომ იყოს, ფრენკს მაინცდამაინც ბევრი მუშტარი არა ჰყავს ხოლმე. მოცალეობის ჟამს ის "ქალბატონ თავისუფლებასაა" მიჩერებული – სხვა რა დარჩენია... "რაც თავისუფლების ქანდაკება დაკეტეს, კაციშვილი აღარ მოდის," ჩივის წვრილი მეწარმე.

ოდესღაც თავისუფლების ქანდაკების მონახულება ნიუ იორკში ჩასული ყოველი ტურისტისთვის აუცილებელი პროგრამის ნაწილს შეადგენდა. 11 სექტემბრის შემდეგ ქანდაკებაზე პასუხისმგებელმა ეროვნული პარკის სამსახურმა (NPS) მონუმენტი დახურა – ტერორისტების თავდასხმის შიშით. მათ, ვისაც აუცილებლად უნდათ კუნძულ ელისზე მოხვედრა, რამდენიმე საათის განმავლობაში უსაფრთხოების უწყებებში წვალება მოუწევს – მხოლოდ ამის შემდეგ დართავენ მას ბორანით გადასვლის უფლებას. იქაც ბევრი ვერაფერი სიამოვნება ელით – ორწელიწადნახევარზე მეტია, რაც "თავისუფლების" თავსა და ჩირაღდნიდან გადაშლილი შესანიშნავი პანორამა აღარავის უნახავს. არადა, სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობები, როგორიც, მაგალითად, ვაშინგტონის მონუმენტია, კარგა ხანია, გაიხსნა.

ისეთი პირი უჩანს, რომ თავისუფლების ქანდაკების გახსნის დაგვიანება შეიძლება ეროვნული მასშტაბის სკანდალში გადაიზარდოს. ეჭვი ჩნდება, რომ ამ საქმეში ჩართული ფონდი და NPS უშნოდ ითრევენ ფეხს, და უკვე ხმა დაირხა, რომ ისინი შეერთებული შტატების საზოგადოებრიობას აბითურებენ და ქანდაკებას თავიანთი ბნელი მიზნებისთვის იყენებენ.

თავიდან ყველა იმ აზრისა იყო, რომ ქანდაკება კვლავ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ბოლოს და ბოლოს, ის რაღაც რიგითი ღირსშესანიშნაობა ხომ არაა! ამერიკელების რწმენით, თავისუფლების ქანდაკება არის "უნივერსალური შუქურა მათთვის, ვინც თავისუფლებას და შანსებს ეძებენ" – ეს ციტატა NPS-ის სარეკლამო პროსპექტიდანაა მოყვანილი. უსაფრთხოების მიზნით მასში დამატებითი კიბე უნდა აეშენებინათ – იმ შემთხვევისთვის, თუ ღმერთი გაწყრება და მონუმენტს ცეცხლი გაუჩნდება. ამ საქმისთვის განკუთვნილი თანხა, სავარაუდოდ, 2,3 მილიონ დოლარს შეადგენს.

გადაწყდა, რომ აღნიშნულ თანხას ვაშინგტონის კონგრესი კი არა, კერძო ფონდი, "თავისუფლების ქანდაკება - ელისის კუნძულის ფონდი" გაიღებს. ეს ფონდი, რომელიც 1982 წელს დაარსდა, წესით, საუკეთესო კანდიდატურა უნდა ყოფილიყო: დიდი გამოცდილება ჰქონდა, რადგან სწორედ ის უძღვებოდა სარესტავრაციო სამუშაოებს, რომლებიც თავისუფლების ქანდაკების ასი წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა.

2003 წლის სექტემბერში ფონდმა დიდი კამპანია წამოიწყო: "დაგვეხმარეთ თავისუფლების ქანდაკების კვლავ გახსნაში!" თავდაპირველი გათვლით საჭირო 2,3 მილიონი დოლარის ნაცვლად ფონდმა ხუთი მილიონის შეგროვება განიზრახა – "თავის დაზღვევის მიზნით". ფირმები და კერძო პირები მრავლად გასცემდნენ შესაწირავს. ასე, "ემერიკენ ექსპრესის" ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელმა ერთბაშად სამი მილიონი დოლარი გაიმეტა და რეჟისორ მარტინ სკორსეზეს "თავისუფლების" შესახებ დოკუმენტური ფილმის გადასაღებად საჭირო თანხაც მიაწოდა. სხვებმა ამდენი ვერ შეძლეს, უბრალოდ, ამდენი არ ჰქონდათ, მაგრამ ფაქტია, რომ ფონდის მოწოდებას ათიათასობით მოქალაქე გამოეხმაურა.

ყველაფერი ისე კარგად წარიმართა, რომ 2004 წლის თებერვალში ფონდმა განაცხადა, 5,6 მილიონი დოლარი უკვე შეგროვდაო. მაგრამ ისიც ითქვა, რომ "საპროექტო გეგმები გაფართოვდა", შესაბამისად, მათი განხორციელებისთვის უკვე შვიდი მილიონი დოლარი გახდა საჭირო, და ფონდი "თუნდაც მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად" განაგრძობს ფულის შეგროვებას. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები არც კი დაწყებულა, არადა, ფონდის ხელმძღვანელი თავისი ურთულესი სამსახურის საფასურად ყოველწლიურად 345 ათას დოლარს იღებს...

საერთოდ, ფონდი შიმშილით ნამდვილად არ კვდება. მოქალაქეებს რომ სცოდნოდათ, რომ 2003 წლის ბოლოს ის 30 მილიონის მფლობელი იყო, ფულს ასეთი ენთუზიაზმით ნამდვილად არ გაიმეტებდნენ. რიგითმა ამერიკელებმა ისიც არ იცოდნენ, რომ ქანდაკების თავსა და ჩირაღდანში აღწევა მაინც არ ეღირსებოდათ, მხოლოდ კვარცხლბეკზე თუ აცოცდებოდნენ. ეს დეტალები ფულის შეგროვებისას არავინ გაამხილა, ახლა კი ეს უსიამოვნო ამბავი ყველამ გაიგო. არადა, "კვლავ გახსნა" ხომ ყველა ნაწილის გახსნას უნდა ნიშნავდეს!

რიგითი მოქალაქეები ძალიან გაბრაზდნენ. თავისუფლების ქანდაკების ამბით სათანადო უწყებებიც დაინტერესდა. ნიუ იორკის გენერალურმა პროკურორმა შემოწირულობების აქციის დეტალების გამოძიების განკარგულება გასცა. მისი სპიკერის განცხადების თანახმად, ეჭვი გაჩნდა, რომ ფონდმა ხალხის თავისუფლების ქანდაკების მიმართ სიყვარული ბოროტად გამოიყენა და ფული სხვა, არცთუ კეთილშობილი მიზნებისთვის მოიხმარა, ვთქვათ, ჯიბეში ჩაიდო.

ეროვნული პარკის სამსახურს საყვედურობენ, რომ "კერძო ფონდს ეროვნულ საგანძურზე მეტისმეტად დიდი ძალაუფლება მიანიჭა", და ამჟამად NPS და ფონდი იმით არიან დაკავებული, რომ ყველაფერს ერთმანეთს აბრალებენ. ამას ისიც ემატება, რომ ისევე, როგორც მთელი ერი, პროექტის მსხვილი სპონსორებიც გაბითურებულად გრძნობენ თავს. მილიონების გამცემ "ემერიკენ ექსპრესზე" რომ აღარაფერი ვთქვათ, ნიუ იორკის მერმა, მაიკლ ბლუმბერგმა 100 ათასი დოლარი საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა! ის ძალიან უკმაყოფილოა, მაგრამ თავსაც იმშვიდებს და ხალხსაც ამშვიდებს: "ეს ამერიკის სიმბოლოა. არა უშავს, თუ მის გამო ცოტა გაჭირვება დაგვადგება. ის საყოველთაო საკუთრებაა და ასეთად დარჩება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქ მიბრძანებული ყოველი ადამიანის გვერდით თითო პოლიციელის დაყენება მოგვიწევს".

## საკანვორდი



## TV პროგრამა

15 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "კარიბის ზღვის მეკობრეები". მთ. რ-ში: ჯონი დეპი, ჯეფრი რაში

ს. **23.25** დ დიზაინი. **05.20** განგაში ღამით.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "პიანისტი" **11.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** გაცოცხლებული ფურცლები **15.15** მხ. ფილმი "ჩემი ამერიელი ბიძა" 5-6ს. **16.55** დოკ. ფილმი "საგნების ისტორია" **17.10** შეხვედრა მუსიკოსთან - მარგარიტა ჩხეიძე **17.35** რეალური სამყარო **17.50** რამპა **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ჯანმრთელობა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.10** ღამის ჯაზი **23.30** მხ. ფილმი "ბირგიტ ჰასი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "ნიღაბში და უსახელო". მთ.რ-ში ჯეფ ბრიჯესი, პენელოპა კრუსი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "შიშის ძალა". მთ. რ-ში ანჯელინა ჯოლი, დენზელ ვაშინგტონი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე" (ჯეფრი რაში) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ნოსტალგია" (ოლეგ იანკოვსკი)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.30** კინოსეანსი "შერეკილები არდადეგებზე" **21.00** დოკ. ფილმი "ფორმულა-1" **21.25** მოკლ. მხ. ფილმი "საფეხურები" **21.40** "ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი "ლულუ სამუდამოდ"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "თომას კრაუნის აფიორა" **14.00** მხ. ფილმი "სიმონა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ძვლების მტვრეველი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სახელმწიფო უშიშროების სამსახური" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.50, 17.20, 02.00** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.30** ტვმარკეტი **14.05** სერიალი "შტოკინგერი" **15.15** მხ. ფილმი "ერთად სიკვდილი" **16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "თენდება გვიან" **21.30** საქმე ! **23.00** ესტაფეტა **23.30** მხ. ფილმი "მარტოხელა" (ბელმონდო)

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** მელოდრამა "გულთან ახლოს" **11.30** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** თრილერი "საყიდლები გვიან ღამით" **13.50, 15.50, 17.50, 03.00, 05.30** მუსიკა **14.10** კომედია "ჩვენ ანგელოზები არა ვართ" **16.20** მელოდრამა "შრეკი" **18.20** სათავგადასალო ფილმი "ექვსი დღე, შვიდი ღამე" **20.10** კომედია "როგორ მოვიცილოთ თავიდან მამაკაცი 10 დღეში" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** დრამა "შეყვარებული შექსპირი" **03.20** მელოდრამა "წყნარი ოკეანის ისტორია"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" **13.20 Худ.фильм "Пришла и говорю" 15.00** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Миллион алых роз" **20.50** "Стирка на миллион" **21.00 Сериал "Евлампия Романова: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** Время **23.40** "Человек и закон" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "Ударная сила" **01.40** "Гении и злодеи" **02.10** "Голливудские преступления". Ч. 1 **02.40 Худ.фильм "Приключения семьи Робинзонов" 04.30 Сериал "Мертвая зона"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал "Пятый ангел" 11.00** Сегодня утром **11.25** Квартирный вопрос: пять дочек **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.25** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Олеся" 15.15** Время есть **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики". "Левый груз" 19.35** Протокол **20.40 Сериал "МУР есть МУР". 4 с. 21.45 Сериал "Пятый ангел". 8 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "К барьеру!". Ток-шоу **00.40** Тайны разведки: "Олдрич Эймс - о ком звонит "Колокол" **01.10 Сериал "МУР есть МУР"**

# მოვწიოთ თუ არ მოვწიოთ?



მამუკა ქირია

ბოლო წლებში ჯანმრთელი ცხოვრების წესი უფრო და უფრო მოდაში შემოდის და საგრძნობლად კლებულობს მწეველთა რიცხვი. უკანასკნელი სტატისტიკა ადასტურებს, რომ ამ მავნე ჩვევას, თურმე, მამაკაცები უფრო ანებებენ თავს, ვიდრე - ქალები; უფრო მეტიც, ზოგ ქვეყანაში ახლაგაზრდა ქალები უფრო ინტენსიურად იწყებენ მწეველის კარიერას ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცები.

რაც შეეხება თავის დანებებას. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ თუ ადამიანმა ცხოვრების უმეტესი დრო სიგარეტის ბოლში გაატარა, თავის დანებება არ ღირს, რადგან ამან, შეიძლება, უკურეაქცია გამოიწვიოს და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას. ზოგი კი – პირიქით ამტკიცებს.

ქალბატონების მოწევისადმი მიდრეკილება ზოგ შემთხვევაში აიხსნება იმით, რომ არსებობს ერთი მოსაზრება, თითქოს, სიგარეტით "ტკბობა" ქალის უკიდურესი სექსუალურობის მანიშნებელია და, რატომღაც, ქალებმა გადაწყვიტეს, ამ ხერხს მიმართონ. მაგრამ, ასე ცოტა ფიქრობს. ბევრი მეცნიერი ეჭვობს, არის კი სიგარეტის მოწევა ეროტიკული სიამოვნება? - ამას თავის გამოკვლევებში ბევრი მათგანი ამტკიცებს.

ახლა კი გადავხედოთ სტატისტიკას იმ დაავადებების შესახებ, რომლებიც, სავარაუდოდ, სიგარეტმა შეიძლება გამოიწვიოს. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ სიგარეტი და მისი წვის პროდუქტები, დაახლოებით, 4200 სხვადასხვა მავნე ნივთიერებას შეიცავენ, რაც დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ორგანიზმს. როგორი ძნელი მოსასმენიც უნდა იყოს, მოწევა იმდენად მავნებელია, რომ კიბოს გამოწვევაში 30 პროცენტის წილად სიგარეტს ერგო. მწეველებში სტენოკარდია და ინფაქტი 13-ჯერ აღემატება არამწეველთა შანსებს ამ დაავადებების მიმართ. ეს ის მწირი ჩამონათვალია, რაც, შეიძლება, სიგარეტმა ადამიანს მოუტანოს. საინტერესოა დროის დანაკარგის შესახებ სტატისტიკაც. მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიური მწეველები 3-ჯერ მეტ დროს კარგავენ უქმად, ვიდრე ისინი, ვისაც არასოდეს მოუწევია.

დაბოლოს, რიგ დასავლურ ქვეყანაში უკვე მყარად მუშაობს სიგარეტთან ბრძოლის ნაციონალური პროგრამები. შედეგმაც არ დააყოვნა და ასეთ ქვეყნებში მწეველთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ არც ისე საგრძნობლად.

თუ კაცობრიობა უარს იტყვის მოწევაზე, დაახლოებით, 10 წელიწადში, 10 პროცენტით შემცირდება ფილტვით დაავადებულთა რიცხვი, კიბოთი დაავადებულთა რიცხვი - 30 პროცენტით, გულსისხლძარღვთა დაავადებების რიცხვი - 31 პროცენტით, სხვა დაავადებებისა კი - 21 პროცენტით.

ასე რომ, სტატისტიკაც და მედიცინაც გვირჩევენ, ხვალისთვის ნუ გადავდებთ ამ საქმეს და ამ მავნე ჩვევას წერტილი დღესვე დავუსვათ.

# ამერიკული ოჯახების 75 პროცენტი ინტერნეტით სარგებლობს



2004 წლის მარტს კომპანია Nielsen/Netratings-ის მიერ გამოქვეყნებულია მონაცემები ამერიკული ინტერნეტ-აუდიტორიის შესახებ. ცნობილი ხდება, რომ მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება და უკვე 75 პროცენტს მიაღწია. წინა, 2003 წლის მონაცემებით, ინტერნეტით ამერიკელთა 2/3 იყო საერთაშორისო ქსელთან დაკავშირებული. გამოდის, რომ ყოველი ოთხი ოჯახიდან სამი ჩართულია ინტერნეტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკაში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 204 მილიონ ადამიანს აღწევს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქალთა შორის ინტერნეტის მომხმარებელი გაცილებით მეტია, ვიდრე მამაკაცთა შორის, ხოლო მომხმარებელთა დიდი ნაწილის ასაკი 35-დან 54 წლამდე მერყეობს. ამ ასაკის ქალების 81,7 პროცენტი, მამაკაცების კი 80,2 პროცენტი ინტერნეტით სარგებლობს. ახალგაზრდებში, რომელთა ასაკი 18-24 წელია, მომხმარებელთა რიცხვი 75 პროცენტს არ აღემატება - ე.ი. ეს რიცხვი საშუალოსტატისტიკურ პროცენტს უტოლდება.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ

ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს

"ყვითელი ანგელოზი"

19, 26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"
დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21



ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება სანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციულ ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები
თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი
ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84; მობილური: 893-35-20-67
ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისურის კურსების გავლა

ლონდონში

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.